ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 41 დღე

№150 (12526) 28 ივნისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

## მსოფლიოს 1966 და 1974 წლის ჩემპიონატები ჩაწყობილი იყო

ჟოაო ავლანჟის სკანდალური განცხადება »»» 6



## ლემპარდი და კვარეშმა ინტერში, სტანკოვიჩი ტურინთან ახლოს

"ფრანს ფუტბოლის" ინფორმაციით, **ფრენკ ლემპარდმა** "ინტერთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. დიდი ხანია, **მასიმო მორატი** "ჩელსის" ვარსკვლავზე ნადირობს. **ჟოზე მოურინიოს** ფაქტორმა ლემპარდისთვის ბრძოლას მეტი ეშხი მისცა. ჟოზე და ფრენკი ისევ ერთად, ამჯერად, "ინტერში" - მორატის ოცნება ახდენილია. ინგლისელ ნახევარმცველს მან ზღაპრული პირობები შესთავაზა: 7.3 მილიონი ევრო წლიურად.

ასევე გუშინ გვიან გავრცელებული ცნობით, "ინტერმა" **რიკარდო კვარეშმას** ტრანსფერს წერტილი დაუსვა. როგორც პორტუგალიური გამოცემა "ო ჟოგუ" გვამცნობს, "ნერაძური" გარემარბში 25 მილიონ ევროს გადაიხდის და ზედაც,



ფრენკ ლემპარდი

ჰონდურასელ **დავიდ სუასოსა** და პორტუგალიელ ნახევარმცველ **პელეს** დაამატებს. ტრანსფერის საკითხი გუშინ, "ინტერის" მესვეურთა პორტუგალიური ვოიაჟის დროს გადაწყდა. როგორც ამბობენ, მილანელებს **ამანტინო მანსინის** ვარიანტი ბოლო მომენტში ჩაეშალათ და კვარეშმაც ამიტომ აღარ გაუშვეს ხელიდან.

ამასობაში, "ინტერმა" და "იუვენტუსმა" **დეიან სტანკოვიჩის** ტრანსფერზე მოილაპარაკეს. 30 წლის სერბი ნახევარმცველი ტურინში 9 მილიონ ევროდ გადადის. "იუვე" ოფიციალურ განცხადებას დღეს-ხვალ გააკეთებს, როცა ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

ხვალ ფინალია. გერმანია-ესპანეთი. 22:45

# არაგონესი: გერმანიას დავამარცხებთ...

EURO2008 Austria-Switzerland



## ...ვილიას გარეშეც!



## ლიოვი: შევუტევთ, როგორც პორტუგალიას!

ფრინგსი ითამაშებს, კლინსმანიც ვენაშია »»» 8-9



## ლოკომოტივს თავისი ევროპა აქვს

# ეგცელას მოვცელავთ!

»»» 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი (0:0) 19:00, მიხეილ მესხი

# ლოკომოტივი vs ეტცელა

## ეტცელას გადავლახავთ, აცხადებს ლოკომოტივი





რატი ალექსიძე

გუშინ 17:30 სთ-ზე **გიორგი კიკნაძის** გუნდმა, "მიხეილ მესხზე", მატჩისწინა ვარჯიში გამართა. წვრთნა, რომელიც საათზე ცოტა მეტხანს გაგრძელდა, მრავალფეროვანი გამოდგა. ერთი რამ აშკარად თვალშისაცემი იყო - ფეხბურთელებს მონდომება არ აკლდათ. იმასაც გაცნობებთ, რომ "ლოკომოტივი" საპასუხო შეხვედრას უდანაკარგოდ ხვდება. **ლევან ცქიტიშვილს** ლუქსემბურგშიც არ უთამაშია და დღესაც ვერ ვიხილავთ. თუმცა, როგორც ამბობენ, თუ "ლოკომოტივმა" ეს ბარიერი გადალახა, გუნდს "სატურნთან" მატჩებში დაეხმარება.

მოდით ვნახოთ, რა განწყობით ხვდებიან ფეხბურთელები "ეტცელასთან" თბილისურ მატჩს.

**ვიტალი დარასელია:**

- ჩემი და გუნდის აზრი ერთმანეთს ემთხვევა - ეს ეტაპი უნდა გადავლახოთ. ამის გაკეთება შეგვიძლია და მჯერა, ასეც იქნება. მეტიც, ჩემი პროგნოზით 3:0-ს მოვიგებთ. რა თქმა უნდა, ამ ჩანაფიქრის რეალიზება გულშემატკივართა მხარდაჭერის გარეშე გაგვიჭირდება. იმედია, ქომაგობა არ მოგვაკლდება.

**რატი ალექსიძე:**

- უპირველეს ყოვლისა, გულშემატკივარებს მოვუწოდებ, რომ მოვიდნენ, მხარი დაგვიჭირონ და იმედებს ნამდვილად არ გავუცრუებთ. ქომაგი მე-12 ფეხბურთელია და ჩვენ მათი მხარდაჭერა გვჭირდება.

**- მეტოქეზე რას იტყოდი?**

- "ეტცელა" კლასით ჩვენზე ნაკლები, მაგრამ, მებრძოლი და ჟინიანი გუნდია. დაცვა კარგად ეხერხებათ და კონტრშეტევებზე "კბენაც" იციან.

**- მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- მეტოქე მებრძოლი გუნდია, მაგრამ სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ, ჩვენ ამ ბარიერს გადავლახავთ.

**ზვიად ჩხეტიანი:**

- "ეტცელა" ჩვენი დონის გუნდია არაა, მაგრამ, იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის. თუმცა, ამ ბარიერის გადალახვა ჩვენს შესაძლებლობებს არ აღემატება და მომდევნო რაუნდში უნდა გავიდეთ.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდი?**

- თავმდაბლობა სჯობს, ჩვენი მხოლოდ 60 %-ია.

*ფეხბურთელების შემდეგ, "ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძეს გავესაუბრეთ.*

- გადამღლელი სეზონის შემდეგ, გუნდს ერთი კვირაც არ დაუსვენია. ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ სეზონი გადავაბით. შესაბამისად, ფეხბურთელები ნელ-ნელა კრეფენ კონდიციებს. გასვლითი მატჩი 0:0 დავამთავრეთ. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ, თამაშის ხარისხზე იგივეს ნამდვილად ვერ ვიტყოდი. საპასუხო შეხვედრა შინ გვაქვს. მჯერა, საშინაო კედლების ფაქტორს გამოვიყენებთ და მომდევნო ეტაპზე გავალთ. "ეტცელასთან" პირველ მატჩთან შედარებით გუნდი 10%-ით უკეთ გამოიყურება.

**- რამდენად კარგადაა "ლოკომოტივი" მოტივირებული?**

- ის ფაქტი, რომ ევროსარბიელზე ჩვენი ძალების მოსინჯვა გვწადია და მომდევნო მეტოქე "სატურნია", უკვე მოტივაციაა. ალბათ ვარჯიშზეც ნახეთ, რომ გუნდი მოტივირებულია. თუ ახლა წარმატებას მივაღწევთ, "სატურნთან" ბევრად უკეთ ვითამაშებთ.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?**

- "ეტცელა" შინ დაცვაში ჩაჯდა და კონტრშეტევებზე დაიწყო ზრუნვა. მეტოქეს პორტუგალიური წარმოშობის 3-4 ფეხბურთელი ჰყავს. ცდილობენ ტაქტიკურად გამართული ფეხბურთი აჩვენონ და ამ მხრივ, რაც შეუძლიათ, აკეთებენ. სრული შემადგენლობით ვემზადებით. ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობისა და ინდივიდუალიზმის ხარჯზე ეს ეტაპი აუცილებლად უნდა გავიაროთ. მერე, ალბათ, ლევანი ცქიტიშვილიც დაგვემატება.

**- დაბოლოს, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ გაანაწილებდი?**

- ვფიქრობ 70 % ჩვენია.

## უიმედოდ არც სტუმრები არიან...

"ეტცელა" გუშინ გამთენიისას გვეწვია. სტუმრები "შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდნენ. ლუქსემბურგელთა გუნდს, ამ ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ, წარმოშობით კოსოვოელი **ფლორინ ალიჯაი** წვრთნის. სტუმრებმა გუშინ 19 საათზე დაიწყეს წვრთნა და საათზე მეტხანს ივარჯიშეს. ალიჯაის ვარჯიშამდე გავესაუბრეთ.

- ვფიქრობ, ორივე გუნდისთვის რთული მატჩი იქნება. ჩემი აზრით, ამ წყვილში ფავორიტი "ლოკომოტივია". თუმცა, ჩვენ წარმატებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ერთი სიტყვით, მომდევნო ეტაპზე ჩვენ უნდა გავიდეთ და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- პირველი მატჩის შედეგისა და ნაჩვენები თამაშის მიხედვით, შანსებს თანაბრად გავანაწილებდი. ამას ჩემი გუნდის სიმპათიებიდან გამომდინარე არ ვამბობ. ეს რეალობაა და ხვალინდელ მატჩში კიდევ ერთხელ დავამტკიცებთ.

**- თქვენს გუნდში რომელი სათამაშო რგოლია გამორჩეული?**

- გუნდი ყველა რგოლში თანაბრადაა ბალანსირებული. მოტივაცია არ გვაკლია. ცოტა კი ცხელა, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- მეტოქეს როგორ დახასიათებდით?**

- ვფიქრობ, "ლოკომოტივი" კლასით ჩვენზე უკეთესი გუნდია. თუმცა, ჩემს ბიჭებს მონდომება და მოტივაცია არ აკლიათ. ეს ფაქტორი ხშირად გადამწყვეტია და სწორედ ამისი იმედი მაქვს.

**- ხვალაც დაცვით ფეხბურთს ითამაშებთ თუ შეუტევთ?**

- შევუტევთ. გვინდა თავიდანვე ფორა მოვიპოვოთ. თუმცა, საკუთარი კარის უსაფრთხოებასაც დიდ ყურადღებას დავუთმობთ.

**- ხვალ რა შედეგს ელით?**

- (იცინის), გვინდა პირველად ჩვენ გავიტანოთ... ჩემი აზრით, მატჩი 1:1 ან 2:2 დასრულდება და მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ.

**- ზემოთ თქვით, "ლოკომოტივი" ფავორიტიაო. მეტოქეს კომპლიმენტები უძღვენით?**

- არა, ეს რეალობაა. ჩვენს წყვილში ფავორიტი მართლაც "ლოკომოტივია", მაგრამ ისეც ხდება, რომ ფავორიტები მარცხდებიან. ყველანაირად შევეცდებით, ხვალაც ასე იყოს.

ლუქსემბურგელთა თავკაცთან საუბარს მოვრჩით, სადაცაა ვარჯიში უნდა დაიწყოს და გასახდელიდან გვიან გამოსული, ლუქსემბურგის ნაკრების მცველი **კლოდ ჰაიტერი** გამოჩნდა. თანაგუნდელები მას აპლოდისმენტებით შეხვდნენ. "ლელოს კი შემდეგი განუცხადა.

"დიახ, ლუქსემბურგის ნაკრების წევრი ვარ. ეროვნულში 40-მდე მატჩი მაქვს ჩატარებული. მცველი ვარ და მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე, ისიც რუსეთის ნაკრებთან. სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებთანაც ვითამაშე ამხანაგური მატჩი. ის შეხვედრა 1:1 დასრულდა. ქართველების თამაში ჩემთვის ახალი ხილი ნამდვილად არაა. პირველ მატჩში ჩვენ ორი გოლის გატანა შეგვეძლო. ის თამაში 0:0 დასრულდა. ვფიქრობ, შანსები თანაბარია. ფავორიტი "ლოკომოტივია", მაგრამ მჯერა თბილისში ფრეს მაინც მივაღწევთ.

"ლოკომოტივი'-"ეტცელას" მატჩი "მიხეილ მესხზე" 19 საათზე დაიწყება. ბილეთის ფასი 3 ლარია. შეხვედრას ჩერნოგორიელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **პავლე რადოვანოვიჩია**, ასისტენტები **დეიან საკოვიჩი** და **ვესლინ რადუნოვიჩი**. მეოთხე მსაჯი კი **ლაშა სილაგავაა**.

**დავით ცაბაძე**



კლოდ ჰაიტერი



მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები. **გია ჟვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალკაცი გაფრთხილებთ: აირიდეთ 203!

გუშინდელ "ლელოში" გაუწყეთ, რომ პრემიერმინისტრი **ვლადიმერ გურგენიძე** საქართველოს ფეხბურთის ფედრაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცსა** და გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** შეხვდა. საუბარი ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამას შეეხო, რომელიც ვერა და ვერ ამოქმედდა. ახალკაცს ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ.

- საბოლოო შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის. შეხვედრაზე გამოიკვეთა ეროვნული ჩემპიონატის სპეციფიკა, რომლის გარეშე სანაკრებო ფეხბურთი წინ ვერ წავა. თუ სახელმწიფო ფეხბურთის განვითარების თანამონაწილე არ იქნება, სერიოზულ შედეგს ვერ მივაღწევთ. არც ერთ ქართულ გუნდს არ აწყენს დამატებითი სტიმულირება. გამოიყოფა გარკვეული თანხა კლუბებისთვის და ამას დაემატება ბონუსები შედეგის მიხედვით - დაფინანსების ასეთ პრინციპზეა ლაპარაკი, - გვითხრა ახალკაცმა.

ფედერაციის პრეზიდენტა დაგვიდასტურა, რომ სახელმწიფო დოტაციას ფედერაცია უწინდელისგან განსხვავებულად დახარჯავს ანუ, თუ ბოლო ორ წელიწადში სახელმწიფო გრანტის უდიდესი ნაწილი ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბზე ნაწილდებოდა, ასე აღარ იქნება, მოხდება დიფერენცირება და თანხის მეტი ნაწილი ასაკობრივ ნაკრებებს მოხმარდება.

ახალკაცთან გადავამოწმეთ ერთი ამბავიაც - ფედრაციისა და პროფლიგის მესვეურები გენერალურ პროკურატურაში იყვნენ საქართველოს ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში გარიგებული მატჩების გამოაშკარავებასთან დაკავშირებით.

- სამუშაო პროცესი მიდის და სანამ ეს პროცესი არ დასრულდება, დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. მსურს, ყველას შევახსენო, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურად მუშაობს პროკურატურა და ყველას ვურჩევ, სამაგალითო იყოს საკუთარ საქმეში.

ახალკაცმა იურისტის დიპლომი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში აიღო და ლექციებს საქართველოს უნივერსიტეტში კითხულობს. სამართალდამცველ ორგანოებში მას არ უმუშავია, თუმც კარგი იურისტისთვის ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რა სპეციფიურ საქმეს შეეჭიდა პროკურატურა.

- ვინც პროფესიონალია, მისთვის ასეთ საქმეზე მუშაობა ძალიან საინტერესოა. რაც უფრო რთულია სამუშაო, გამოწვევაც უფრო დიდია, - მიაჩნია ახალკაცს.

კოდექსში არის მუხლი 203: პროფესიული სპორტული შეჯიბრის ანდა, კომერციული სანახაობის კონკურსის მონაწილის ან ორგანიზატორის მოსყიდვა. მუხლს ქვეპუნქტებიც აქვს და პროკურატურაც ამ მიმართულებით მუშაობს.

დღეს კი ახალკაცი და უგულავა ვენაში მიდიან და ევროპის ჩემპიონატის ფინალის გარდა, საქმიან შეხვედრასაც დაესწრებიან - უეფას წევრი ყველა ქვეყნის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტები და გენსეკები სხვათა გარდა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ფორმატის შეცვლასა და კონკრეტულად გუნდების რაოდენობის გაზრდაზე იმსჯელებენ. ახალკაცმა გვითხრა, შესაძლოა ვენაში ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის რომელიმე კანდიდატსაც დაველაპარაკო.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# ქართველებმა წაიფორხილეს



მინდორზე გაშოტილი აშვეთიას "ანჟი" ფრემ დაალონა

**გუშინ**, რუსეთის პირველ დივიზიონში მორიგი, მე-20 ტურის მატჩები გაიმართა. ჩვენს ინტერესს მახაჭყალაში გამართული შეხვედრა იწვევდა, სადაც ქართველთა გუნდად წოდებული „ანჟი" კალინინგრადის „ბალტიკას" მასპინძლობდა. **ომარ თეთრაძემ** თავიდანვე დააყენა **გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ არზიანი** და **მიხეილ აშვეთია**. აღარც კი გვახსოვს, როდის იყო ასე ცოტა ქართველი „ანჟის" სასტარტოში. სათადარიგოთა სკამზე მოხვდნენ **რევაზ ჯიქია** და **რევაზ ბარაბაძე**.

სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყო რუსეთის მოქალაქე **გიორგი მიქაძე**, სათადარიგოთა სკამზე კი ასევე რუსეთის მოქალაქე **სანაია**. მასპინძელთა უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო, მე-12 წუთზე არზიანის დარტყმული სტუმართა მცველმა კარის ხაზიდან კუთხურზე მოიგერია. 32-ე წუთზე გატანა უკვე აშვეთიას შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული გოლკიპერმა გაუვნებელჰყო. 39-ე წუთზე აშვეთია-არზიანის კომბინაცია ამ უკანასკნელის ოდნავ არაზუსტი დარტყმით დამთავრდა. მე-40 წუთზე შეტევებში გართული „ანჟი" კინაღამ დაისაჯა, აქაც ქართველმა „გამოიჩინა" თავი. ნავალოვსკი საკუთარ საჯარიმოში შეცდა, თუმცა გიორგიმ თავადვე გამოასწორა შეცდომა და სტუმართა ფორვარდს ბურთი ბოლო წამს ააცალა ფეხიდან. 57-ე წუთზე მასპინძელმა **ჟოსანმა** საჯარიმო დარტყმით დააწინაურა „ანჟი". სტუმრებმა 72-ე წუთზე გაათანაბრეს. ბევრს ცდილობდა შეცვლაზე შესული ბარაბაძე, მაგრამ მან ვერ შეძლო გამარჯვების გოლის გატანა – 1:1. „ანჟის" წაფორხილებით ეგრევე ისარგებლა „როსტოვმა", რომელმაც სტუმრად „მაშჩუკი" დაამარცხა 1:0. „როსტოვი" 43 ქულით პირველია, „ანჟი" 39 ქულით – მეორე. **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის „დინამო" 12 ქულით ბოლო ადგილზეა, **გია გრიგალავას** ასკ 26 ქულით მე-11 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

# გრანტი დიდი მწვრთნელი არ არის, მაგრამ შედეგი ჰქონდა

## ხიზანიშვილი ნაკრებში მწვრთნელის სწრაფად დანიშვნის მომხრეა

**ინგლისის პრემიერლიგის კლუბები ისვენებენ. შვებულება ერთ კვირაში დასრულდება და ზურაბ ხიზანიშვილი „ბლექბერნს" დაუბრუნდება. თუმცა, მიუხედავად შვებულებისა, ზურას ვარჯიში არ შეუწყვეტია და ინდივიდუალურად ემზადება.**

- ორი კვირა თურქეთში ვიყავი და იქ დავიწყე ვარჯიში. ყველა ფეხბურთელს ინდივიდუალური დავალება გვაქვს და მოსამზადებელი ეტაპისთვის წონამომატებულები და ფორმიდან ამოვარდნილები არ უნდა შევიკრიბოთ. რა თქმა უნდა, ჯერ მზად არ ვარ, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპისთვის ფორმას მაქსიმალურად ავიდგენ. ამხანაგური შეხვედრებიც სწორედ ამისთვისაა გათვალისწინებული.

**- სეზონი ისე დასრულდა, რომ ძირითად შემადგენლობაში აღარ გათამაშებდნენ. თუმცა მანამდე ახალი კონტრაქტი გააფორმე, რომელიც, წესით, ძირითადში შენი მოხვედრის გარანტია უნდა გამხდარიყო. რა ხდებოდა, რატომ არ გათამაშებდნენ?**

- რატომ მოხდა ასე, არ ვიცი. მწვრთნელთან ზოგადად კი ვისაუბრე, მაგრამ საკითხი ჩემთვის მაინც გაუგებარი დარჩა - ტრავმა არ მქონდა, ფორმაში ვიყავი, მაგრამ ბოლო ხუთი თამაში მაინც გამოვტოვე.

**- დრო გადის და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯერ კიდევ არ დანიშნულა. ნაკრების ფორმირებას პროცესის ასეთი გაწელვა ხელს ხომ შეუშლის?**

- რა თქმა უნდა, ახალი მწვრთნელის სწრაფად დანიშვნა უკეთესი იქნება. ის თავის გუნდს მოიყვანს და ფეხბურთელებაც უფრო მშვიდად შეარჩევს. დღეისთვის ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტია, მაგრამ როგორც ჩანს, მას არ დანიშნავენ. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე სპეციალისტთან და გამოდის, ახალი თავკაცი გვეყოლება. როგორც ვიცით, ახლა საუბარია ავრამ გრანტის დანიშვნაზე. რამდენად მართალია ეს ამბავი, ფეხბურთელებსაც გვაინტერესებს.

**- შენი აზრით, გრანტი არის იმ რანგის მწვრთნელი, რომლის მოძებნაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სურს?**

- მიჭირს თქმა. ერთი „ჩელსიშია" ნამუშევარი, მეტი მასზე არაფერი ვიცი. ისრაელის კლუბებსაც ავარჯიშებდა, მაგრამ გრანტის იმდროინდელ საქმიანობაზე ბევრი არაფერი ვიცი. მას ძალიან კარგად ახასიათებს ის ფაქტი, რომ ლონდონელები ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, მაგრამ საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთს შორის განსხვავება არსებობს.

დასამალი რაა, გრანტს დიდ მწვრთნელად არ მიიჩნევენ, მაგრამ შედეგი კი ჰქონდა – ლიგის ფინალში გასვლა და ინგლისის პრემიერლიგაში მეორე ადგილი ნებისმიერი მწვრთნელისთვის საპატიო იქნებოდა. მოკლედ, ასე თუ ისე, შედეგი ჰქონდა.

**მერაბ მამულაშვილი**






დინამო. ინტერვიუ ბუბა ტყავაძესთან

# ჩემპიონატის ეს ფორმატი სამართლიანი არ არის

## იაშვილი ისევ დინამოსია



ბუბა ტყავაძე

**თბილისის "დინამო" მოსკოვს გაემგზავრა, იქიდან კი გერმანიაში ჩავა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას გააგრძელებს. საინტერესოა, თუ რა ხდება ჩემპიონთა ბანაკში, კიდევ ვის უნდა ველოდოთ რაინერ ცობელის გუნდში, ვინაა ტრავმირებული და ვისი თამაშია საეჭვო. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე კლუბის დირექტორ ბუბა ტყავაძეს გავესაუბრეთ, რომელსაც ჯერ დამდეგი ეროვნული ჩემპიონატის ახლებურ ფორმატზე ჩამოვუგდეთ სიტყვა**

- მიმაჩნია, რომ ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა გუნდი ერთნაირ მდგომარეობაში უნდა იყოს. ახალი ფორმატის მიხედვით კი, ზოგი გუნდი სხვებზე უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან შინ მეტი თამაში აქვს. პროფლიგის გამგეობის სხდომაზე ჩვენ საკუთარი პოზიცია დავაფიქსირეთ, საჯაროდ განვაცხადეთ, რომ ეს ფორმატი სამართლიანი არ იყო. თუმცა ხმათა უმრავლესობით ეს საკითხი მაინც გავიდა. პროფლიგის გამგეობაში ჩვენიანად ოთხი კლუბია წარმოდგენილი და საკითხავია, პროფლიგის გამგეობა რამდენად ასახავს უმაღლესი ლიგების კლუბების საერთო აზრს.

**- ეს ფორმატი დაიწუნეთ, მაგრამ რა ალტერნატივა შესთავაზეთ?**

- ჯერ კიდევ შარშან, როცა გადაწყდა, რომ მე-20 ჩემპიონატში, უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი იასპარეზებდა, მაშინვე ვიკითხეთ, რა სისტემით ჩატარდებოდა გათამაშება. იმ დროისათვის ითქვა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა გაიმართებოდა. თავისთავად, თორმეტგუნდიან ჩემპიონატში ძნელია იდეალური სისტემის გამონახვა. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა ორი წრის შემდეგ თორმეტი გუნდი პირველ და მეორე ექვსეულებად გაყოფილიყო და მათ შორის ცალ-ცალკე გაგრძელებულიყო გათამაშება.

**- გასაგებია, რომ ეს ახალი ფორმატი არ მოგწონთ. თუმცა გათამაშების კალენდარს თუ გადავხედავთ, "დინამოსთვის" ურიგო არ უნდა იყოს.**

- ერთი შეხედვით, ეს კალენდარი ჩვენთვის ცუდი არაა, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას ყველაფერი უფრო ნათლად გამოჩნდება. თუმცა არაერთი იქნება ისეთი გუნდი, რომლისთვისაც ეს კალენდარი მისაღები და სამართლიანი არ გამოდგება. პირველი ტურის გარდა, კალენდარში თარიღები ჯერ არ არის დადგენილი და ეს ხელს შეგვიშლის გეგმაზომიერ მუშაობაში.

**- ახლა გუნდში მომხდარ ცვლილებებზე გკითხავთ. ლექსო ინწკირველი დაიმატეთ და რამდენიმე ფეხბურთელთან კონტრაქტები გაახანგრძლივეთ.**

- დიახ, ალექსანდრე ინწკირველი "ვიტ ჯორჯიის" წამყვანი ფიგურა იყო. მერე კარიერა აზერბაიჯანში გააგრძელა. ამ ფეხბურთელით დავინტერესდით. მწვრთნელები ინწკირველს ვარჯიშებზე დააკვირდნენ და ამის შემდეგ მასთან ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, კლუბთან კონტრაქტები დაუმთავრდათ ოლეგ გველესიანსა და გულვერდ თომაშვილს. ჩვენ ორივე ამ ფეხბურთელთან თითო წლით გავახანგრძლივეთ ხელშეკრულება. აქვე ერთს დავამატებდი: გიორგი მერებაშვილთან კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე წელიწადზე მეტი დრო იყო დარჩენილი, ფეხბურთელისა და კლუბის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და მასთან კიდევ ერთი წლით გავაგრძელეთ ხელშეკრულება.

**- სანდრო იაშვილი "დინამო 2"-ში ვარჯიშობდა. ის ისევ "დინამოში" ხომ არ ითამაშებს?**

- სანდრო იაშვილი ჩვენი კლუბიდან "თუნში" იყო განათხოვრებული. თუ შვეიცარიული კლუბი მის დატოვებას მოისურვებდა, მაშინ "თუნი" მთლიანად გადაიხდიდა იმ თანხას, რაზეც კლუბები ადრევე შევთანხმდით და იაშვილი შვეიცარიული კლუბის ფეხბურთელი გახდებოდა. "თუნმა" ეს პირობა არ შეასრულა და შესაბამისად იაშვილი ისევ "დინამოს" ეკუთვნის. თუმცა სანდრო "დინამოს" გვიან შეუერთდა და ამიტომაც ის "დინამო 2"-ში ვარჯიშობდა. იაშვილთან გვქონდა საუბარი და მან უკვე იცის ჩვენი მოთხოვნები. თუ ამ ფორვარდით რომელიმე კლუბი დაინტერესდება, ჩვენ მას ხელს არ შევუშლით.

**- "დინამო" მოსკოვში გაემგზავრა, სადაც იქაურ "დინამოსთან" ელის მატჩი.**

- თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთის დედაქალაქში მოსკოვის "დინამოს" მიპატიჟებით მივემგზავრებით. ძალიან გვინდოდა, მოსკოვში უძლიერესი შემადგენლობით ჩავსულიყავით, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. გაბონის ნაკრებს სწორედ 28 ივნისს აქვს ლესოტოსთან გამოტოვებული მატჩი. ეს თამაში ფიფას თარიღშია და შესაბამისად, არ გვქონდა უფლება, გაბონის ნაკრებისგან ოვონოსა და აკირემის გათავისუფლება მოგვეთხოვა. ამ ორი ლეგიონერის გარდა, ტრავმირებულებიც გვყავს. ვაწაძე მწყობრში არაა, ზამირ ჯანაშიასაც ტრავმა აწუხებს. მერებაშვილი მსუბუქადაა დაშავებული, გველესიანს კუნთი დაეჭიმა, სპასოევიჩი ნაოპერაციებია და ჯერ სრულად არაა გამოჯანმრთელებული. მოგეხსენებათ, მოსკოვიდან გერმანიაში მივემგზავრებით მოსამზადებელ შეკრებაზე. გერმანიის ვიზა ჯერ კიდევ არ აქვთ დონალდ ჯიუსტსა და გიორგი ქავთარაძეს. ამ მოთამაშეებს თბილისში ვტოვებთ სავიზო პრობლემის მოსაგვარებლად და იმედი გვაქვს, ისინი გუნდს გერმანულ შეკრებაზე დროულად შეუერთდებიან.

**- "დინამო" გერმანიაში ახალი ლეგიონერების დამატებას აპირებს. კიდევ რამდენი ფეხბურთელით აპირებთ გუნდის გაძლიერებას?**

- 3-4 ფეხბურთელი შემოგვიერთდება, მცველები და თავდამსხმელები. ისინი გუნდთან ერთად ივარჯიშებენ და საკონტროლო მატჩებშიც დავაკვირდებით. ასე რომ, ყველაფერი მათზე იქნება დამოკიდებული.

**დავით ცაბაძე**

# რუსთავში თურქ ჯეელს სინჯავენ

რუსთავის "ოლიმპში" საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელებს ელიან. ჯერ ბრაზილიური კლუბის, "სენტრალის" ვიზიტი იგეგმებოდა, მაგრამ სამხრეთამერიკელთა ტურნე ერთი თვით გადაიდო.

ამჟამად საქართველოს ექსჩემპიონის ხელმძღვანელობა ოთხ მოთამაშეს ელის. გუშინ დილით თბილისში თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 22 წლის **გიუქან ბასლი** ჩამოვიდა, რომელიც ექვსი თვის წინ ჰოლანდიურ კლუბ "მაასტრიხტში" თამაშობდა. უთამაშია თურქეთის 16-წლამდელთა, 19-წლამდელთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში. ის საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელად დაგვიხასიათეს.

მოგეხსენებათ, ასეთები საქართველოში არ ჩამოდიან. თურქეთის ახალგაზრდული ნაკრები და "მაასტრიხტი" საკმაოდ მაღალი დონეა იმისთვის, რომ ამის შემდეგ ფეხბურთელმა საქართველოში ითამაშოს. როგორც მან გვითხრეს, ამ ნაბიჯს თავადაც არ გადადგამდა, რომ არა მის თავს დატრიალებული ტრაგედია – ექვსი თვის წინათ ავარიაში დედ-მამა და ორი ძმა გარდაეცვალა. დეპრესიაში ჩავარდნილს, ბუნებრივია, არ ეფეხბურთებოდა. საქართველოში ჩამოსვლას კი იმიტომ დათანხმდა, რომ ფორმა აღიდგინოს.

ამას გარდა, რუსთაველები კიდევ სამ ბრაზილიელ ფეხბურთელს ელიან. ერთი მათგანი მცველია ("ფლამენგოს" დუბლების მოთამაშეა), ორიც თავდამსხმელი (ერთი "კორინთიანსის" დუბლებიდანაა, მეორე ბოლივიის უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთი კლუბის წევრი).

თუმცა ეს ბრაზილიელები **გოჩა ალადაშვილის** რეკომენდაციით არ ჩამოდიან, მათი ტესტირების ინიციატივა ერთ-ერთი ჰოლანდიური სამენეჯერო სააგენტოდან მომდინარეობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ბავშვთა ფეხბურთი

# ხსოვნის ტურნირები

ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნები ფუნქციურად უკვე სრულადაა დატვირთული - ტარდება ბავშვთა ტურნირები. ნაძალადევის რაიონში, კიკვიძის პარკის მოედანზე, ამ დღეებში მერკვილაძის (1997-1998 წლიანებში) და დარასელიას (1998 წლიანებში) ხსოვნის პრიზები გათამაშდა.

მერკვილაძის ტურნირში 20 გუნდიდან ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ "დინამოს" და 35-ე სკოლის თანატოლები. მატჩს 3:0 ნორჩი დინამოელები იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში სამივე გოლი გაიქვითა. პენალტების სერიაში 35-ე სკოლელებმა იმარჯვეს და მთავარი პრიზიც მათ ხვდათ (მწვრთნელი **კ. კიკალეიშვილი**, სკოლის დირექტორი **ა. არველაძე**). მესამე ადგილი "გეორგია 2"-სა და ახალგაზრდა "დინამო 2"-ს მიენიჭა.

ვ. დარასელიას თასზე "ორბი 1" იყო უძლიერესი, რომელმაც ფინალში "გეორგია 1"-ს მოუგო 4:2. გამარჯვებულის მწვრთნელია **კობა მჟავანაძე**, რომელსაც ტურნირის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი გადაეცა.



35-ე სკოლის გუნდი

საკონტროლო მატჩი

# ოლიმპი გამარჯვებით იწყებს



ხვიჩა ქასრაშვილი

ქვემო ქართლის ორი გუნდის - რუსთავის "ოლიმპისა" და ბოლნისის "სიონის" ყველა დაპირისპირება საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. გამონაკლისი არც გუშინდელი მატჩი იყო; თანაც, ორივე გუნდისთვის, ახალი სეზონის დაწყების წინ ეს პირველი საკონტროლო შეხვედრა გახლდათ. საკონტროლო და ამხანაგურიო, ვამბობთ და "ნორჩი დინამოელის" სტადიონზე ჩატარებული შეხვედრის ხილვა მეტისმეტად საპატიო სტუმრებმაც მოინადინეს - ქვემო ქართლის გუბერნატორმა **დავით კირკიტაძემ**, მისმა მოადგილე **გიორგი არევაძემ** და ბოლნისის გამგებელმა **გიორგი დაუშვილმა**. იმასაც ვიტყვით, რომ თამაშის ხასიათი ამხანაგური ნამდვილად არ იყო - მატჩის არბიტრს **ალექსანდრე კრიჭაშვილს** ყვითელი ბარათების გარდა ერთ ეპიზოდში წითელი ბარათის ჩვენებაც მოუხდა. თუმცა ორივე გუნდის მწვრთნელს - **ხვიჩა ქასრაშვილსა** ("ოლიმპი") და **ოთარ კორღალიძეს** ("სიონი") საბოლოო შედეგზე მეტად ახალწვეულების საქმეში ნახვა და რგოლების შეთამაშება აინტერესებდა. ერთი რამ წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ: "ოლიმპი" ახალ სეზონში ერთობ სახეშეცვლილი შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი. "სიონთან" მატჩში "ოლიმპმა" კლასიკური (4-4-2) განლაგება აირჩია. რაც შეეხება "სიონის" ახალ მთავარ მწვრთნელს ოთარ კორღალიძეს, პირველ ტაიმში ოთხი ახალწვეული ათამაშა; ბოლნისელთა სასტარტო შემადგენლობა კი ასეთი იყო: **მამალაძე - ქურასბედიანი, სვანიძე, ოქროპირიძე, ხუბუა - სანიკიძე, ზ. ჭელიძე, ბაჯელიძე, კოშკაძე - კვიტაიშვილი - ხაჭიპერაძე.**

პირველ ტაიმში "ოლიმპი" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა და ლოგიკურიც იყო, რომ შესვენებამდე ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდა. ორივე გოლი ახალწვეულმა **გია მეგრელაძემ** გაიტანა: ჯერ საჯარიმო დარტყმით, მერე კი **რევაზ გეწაძის** ზუსტ პასს ეფექტური "თავური" მოაყოლა. რა თქმა უნდა, პირველი საკონტროლო მატჩიდან დასკვნების გამოტანა ნაადრევია, მაგრამ ერთი რამ უდავოა: გოლის ჩინებული ალღოთი უხვად დაჯილდოებულმა მეგრელაძემ "ოლიმპს" დიდი სამსახური უნდა გაუწიოს.

მეორე ტაიმში ორივე მწვრთნელმა უამრავ ცვლილებას მიმართა. "ოლიმპმა" სულაც ყველა ფეხბურთელი გამოცვალა: მცველთა ოთხეული **გიგაურმა, მახარაძემ, ჭიჭვეიშვილმა** და **რეხვიაშვილმა** შეადგინეს, ნახევარდაცვაში - **ჯოჯუა, ძებისაშვილი, გაბიდაური** და **სებისკვერაძე** ვიხილეთ, თავდასხმაში - **მიქაბერიძე** და **გაგა ჩხეტიანი**. "სიონის" შემადგენლობაში კი ექვსი ცვლილება მოხდა - მოედანზე **ბობლიაშვილი, ნაყოფია, ვაშაკიძე, ჯიქია, ნოზაძე** და **ალავერდაშვილი** ვიხილეთ.

მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა ორივე გუნდს ამისთვის ცდა არ დაუკლია. ყველა ხელსაყრელი მომენტი "სიონის" ახალწვეულს **გიორგი ალავერდაშვილს** ჰქონდა, მაგრამ მისი ეფექტური თავური დარტყმა **ბექა შეყრილაძემ** მოიგერია.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ მახვილაძე: რომ არა სიმურგი, ამერში ვითამაშებდი

## სიმურგი ისევ საქართველოში მოემზადება



ინფორმაცია, თითქოს **დავით ბოლქვაძე** ბაქოს „სტანდარდში" ქართველმა სპეციალისტმა მიიწვია და ის გუნდს შეუერთდა, არასწორი გამოდგა. ჩვენმა აზერბაიჯანელმა კოლეგებმა იჩქარეს, როდესაც **კახა ცხადაძის** ჩანაფიქრი ფაქტად გამოაცხადეს.

ენერა, თითქოს ცხადაძემ „სტანდარდში" უკვე მიიყვანა მეკარე **მიხეილ ალავიძე**. სინამდვილეში, მოლაპარაკება მართლა დაწყებულია, მაგრამ თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილ მეკარეს ჯერ ბაქოელებთან კონტრაქტი არ გაუფორმებია.

ცხადაძეს კიდევ ერთი ქართველის მიწვევა სურდა –„სიმურგის" ნახევარმცველ დავით ბოლქვაძის. ბოლქვაძისადმი „სტანდარდის" ინტერესზე დიდი ხანია ცნობილია, ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელი მისდამი სიმპათიას საქართველოში მუშაობის დროსაც არ მალავდა.

თავიდან ცნობილი იყო, თითქოს ბოლქვაძე „ამერს" უბრუნდებოდა – აზერბაიჯანში სწორად თბილისურმა კლუბმა გაანათხოვრა. საბოლოოდ, ის არც საქართველოში ითამაშებს და არც ბაქოს „სტანდადში", 27 წლის ნახევარმცველმა კონტრაქტი ისევ „სიმურგთან" გაახანგრძლივა და ზაქათალაში კიდევ ერთი სეზონი იასპარეზებს.

„სიმურგის" მაისურს მოირგებს რუსთავის "ოლიმპის" კაპიტანი **მიხეილ მახვილაძეც**, რომელსაც რუსთაველებთან კონტრაქტი დაუმთავრდა და უცხოეთში წასვლის სურვილი, როგორც იქნა, აიხდინა.

გუშინ მიხო მახვილაძეს აზერბაიჯანში დავუკავშირდით.

- კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი უკვე გავაფორმე. როგორც ვხვდები, საკმაოდ ძლიერი და ამბიციური კლუბია.

**- საქართველოშიც საკმაოდ ძლიერი კლუბები გიწვევდნენ და მაინცადამაინც აზერბაიჯანში თამაში რატომ ამჯობინე? ნუთუ ასეთი ზღაპრული პირობები აქვთ?**

- ზღაპრულის რა გითხრათ და საქართველოში შემოთავაზებულ ყველა წინადადებაზე უკეთესი იყო. ჩემდა სამწუხაროდ, ასეა. „სიმურგმა" ფინანსურად ყველაზე კარგი წინადადებით მომმართა.

**- მართალია, თითქოს, „ამერსა" და თბილისის „დინამოში" გიწვევდნენ?**

- მეც გავიგე, რომ „დინამო" დაინტერესებული იყო, მაგრამ პირადად არავინ დამლაპარაკებია. "ზესტაფონიც" მიწვევდა და თბილისის "ამერიც". სიმართლე გითხრათ, ბოლოს "ამერში" გადასვლა გადაწყვეტილი მქონდა და აზერბაიჯანელები რომ არ გამოჩენილიყვნენ, "ამერში" ვითამაშებდი. მათთან შეთანხმებული ვიყავი, როდესაც "სიმურგში" გადასვლა შემომთავაზეს. ვნახე "ამერის" ხელმძღვანელობა და ყველაფერი ავუხსენი – ისეთ ასაკში ვარ, ახლა ჩემთვის ფინანსური მოტივაცია ძალიან ბევრს ნიშნავს.

### კახა ჩხეტიანი:

- მეც ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. "ზესტაფონს" ზამთრის შემდეგ აღარ ვეკუთვნი და თავისუფალი აგენტი ვარ.

**- სიმფეროპოლის „ტავრიასა" და ამბიციურ ქართულ კლუბებში გამოსვლის შემდეგ, „სიმურგში" თამაში გაკმაყოფილებს?**

- კმაყოფილი რომ არ ვიყო, აქ არც გავჩერდებოდი. პირობებზე აღარაფერს ვამბობ. წელს ინტერტოტოზე გასასვლელად ვიბრძოდით. ახალ სეზონში კი ხალხის დამატებასა და სამეულში მოხვედრას ვგეგმავთ. რატომაც არაა ამბიციური კლუბი?!

როგორც შევიტყვეთ, ზაქათალის ‚სიმურგში" ქართველი თავდამსხმელის, **ირაკლი სირბილაძის** გასინჯვასაც აპირებენ. მანამდე **კოკა მიკუჩაძეს** იწვევდნენ, მაგრამ საბოლოოდ, ვერ შეთანხმდნენ.

აზერბაიჯანული კლუბი მოსამზადებელი ეტაპის ნაწილს, ტრადიციულად, საქართველოში ჩაატარებს და ქრთველი ლეგიონერების თამაშის ხილვის საშუალებაც გვექნება. „სიმურგი" თბილისში 1-დან 21 ივლისამდე იქნება და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გამართავს. გთავაზობთ წინასწარ დაგეგმილი მატჩების განრიგს:

1 ივლისი. **„სიმურგი" – „ოლიმპი" რუსთავი.**

7 ივლისი. **„სიმურგი" – "ოლიმპი" რუსთავი.**

10 ივლისი. **„სიმურგი" – ბოლნისის „სიონი" ბოლნისი.**

(თარიღი დასადგენია) **„სიმურგი" – „ცხინვალი" თბილისი.**

*(ყველა შეხვედრა 18.00 საათზე გაიმართება)*

გარდა ამისა, შესაძლოა, აზერბაიჯანული კლუბი "ვიტ ჯორჯიასა" და ქუთაისის "ტორპედოსაც" შეხვდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ზესტაფონი ანკარაშია

## უეფას წარმომადგენელი სომხეთიდან

"ზესტაფონი" ურეკიდან დაბრუნდა და თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. იმერული გუნდი ახალი სეზონისთვის ამჯერად დედაქალაქ ანკარაში მოემზადება. "ზესტაფონი" იქ 10 ივლისამდე დარჩება. ანკარაში ფეროელები ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ. "ზესტაფონი" შეკრებაზე სრული შემადგენლობით ვერ გაემგზავრა. გაბონიდან ჯერაც არ დაბრუნებულან **პოლ კესანი** და **ეტიენ ბიტოო**, რომლებიც სანაკრებო შეკრებაზე იმყოფებიან და გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან.

შეკრების პარალელურად კი ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები გრძელდება. ყველაფერი გეგმის მიხედვით გრძელდება, მთავარი სიახლე ისაა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება. ტრიბუნები ხუთი ფერის სკამებით გაეწყობა.

25-26 ივნისს ზესტაფონსა და ქუთაისში უეფას წარმომადგენელი იმყოფებოდა. ეს ფუნქცია სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების მენეჯერმა **არნო სარგსიანმა** შეასრულა. მას სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარე **ბაქარ ჟორდანია** და იმავე კომიტეტის წარმომადგენელი **გიორგი გოგოლაძე** ახლდნენ.

სტუმრებმა ზესტაფონის სტადიონის გარდა, სასტუმროები და კოპიტნარის აეროპორტი დაათვალიერეს. სარგსიანის პატაკს უეფაში განიხილავენ და და საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებენ. "ზესტაფონის" ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს, რომ გადაწყვეტილება დადებითი იქნება და "ზესტაფონი" საერთაშორისო მატჩს საკუთარ ქალაქში ჩაატარებს. ზესტაფონს ევროშეხვედრების გამოცდილება უკვე აქვს. "მარგვეთმა" უეფას თასზე მალტურ "სლიმასთან" ითამაშა, ორი წლის წინ კი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ოფიციალურ მატჩში ასევე მალტის ახალგაზრდულს სძლია.

უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა უეფას შტაბბინაში 1 ივლისს ჩატარდება. მას "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** დაესწრება. "ზესტაფონისა" და "ვიტ ჯორჯიას" სავარაუდო მეტოქეთა ჩამონათვალი კი ასეთია:

ჰერთა (გერმანია)
აუსტრია (ავსტრია)
ზალცბურგი (ავსტრია)
ვროცლავი (პოლონეთი)
ლეგია (პოლონეთი)
ბელინცონა (შვეიცარია)
ტრნავა (სლოვაკეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი)
დებრეცენი (უნგრეთი)
მტკ (უნგრეთი)
ნისტრუ (მოლდოვა)
დაჩია (მოლდოვა)

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ჭელიძეს სლოვაკეთში გოლი სურს

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის განმეორებით მატჩში სლოვაკური "ნიტრა" ბაქოს "ნეფთჩის" უმასპინძლებს. პირველი თამაში "ნეფთჩიმ" 2:0 მოიგო. სავარაუდოდ, აზერბაიჯანელთა შემადგენლობაში ითამაშებს გუნდის ქართველი ახალწვეული **გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე**. ახალგაზრდა ფორვარდი "ნეფთჩიში" საკუთარ პერსპექტივებს ოპტიმისტურად უყურებს.

*"ყველაფრით კმაყოფილი ვარ, კლუბში ძალიან თბილად და მეგობრულად მიმიღეს. "ნეფთჩიში" დიდ პატივისცემასა და ნდობას ვგრძნობ და მზად ვარ, საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად. აზერბაიჯანის ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დროა, მანამდე თავი ინტერტოტოზე უნდა გამოვიჩინო. იმედი მაქვს, "ნიტრასთან" შეხვედრაში მოედანს უგოლოდ არ დავტოვებ. გიორგი ადამიას კარგად ვიცნობ, მის გარდა, "ნეფთჩის" ფეხბურთელებიდან* **დმიტრი კრუგლოვთან** *ვმეგობრობ, რომელთანაც მოსკოვის "ლოკომოტივში" ვთამაშობდი"*, - ამბობს ჭელიძე.



გიორგი ჭელიძე

"ნიტრას" ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, მეორე ეტაპზე "ნეფთჩი" ბელგიურ "ჟერმინალს" დაუპირისპირდება. სლოვაკეთიდან ბაქოელები ჰოლანდიაში გაემგზავრებიან და შეკრებას იქ მოაწყობენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ფიფია ევროპას იმედოვნებს



გოგი ფიფია

**გოგი ფიფიას**, რომელიც ჯერაც "ზესტაფონის" კუთვნილებაა, გასული სეზონის მეორე ნახევარი მთლიანად გაუცდა. წლეულს ფეროელთა ყოფილ ლიდერს ერთი ოფიციალური მატჩიც კი არ ჩაუტარებია. მას გუნდის შეცვლა სურს, მაგრამ "ზესტაფონი" კონტრაქტის განყვეტაზე უარს ამბობს და ამის გამო ფიფია სათამაშო პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი. ფიფიას მსგავს სიტუაციაში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელია.

ფიფია მაინც იმედოვნებს, რომ "ზესტაფონის" ხელმძღვანელობა პოზიციას შეიცვლის და მალე თავისუფალი აგენტი გახდება. *"ალბათ, მალე ყველაფერი კარგად იქნება. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ახალ სეზონს ახალ კლუბში დავიწყებ. საქართველოში დარჩენა ნამდვილად აღარ მსურს, კარიერის გაგრძელება ევროპაში მინდა და ამის შანსი საკმაოდ დიდია. აგენტი არ მყავს, მაგრამ მაინც მაქვს უცხოური ვარიანტები. კონკრეტულ მსურველებს ვერ დაგისახელებთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საუბარია გერმანიის მეორე ბუნდესლიგისა და ავსტრიის პირველი ბუნდესლიგის კლუბებზე. ამ ავსტრიულ კლუბებში "შტურმიც" არ შედის"*, - უთხრა "ლელოს" გოგი ფიფიამ.

უცხოეთში მას ადრეც უთამაშია, "კაიზერსლაუტერნის" ჭაბუკთა გუნდში გამოდიოდა, საქართველოში კი "თბილისსა" და "ზესტაფონში" უდავოდ გამორჩეული იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ქართველები გოგუას გარეშე

ნალჩიკის "სპარტაკმა" გროზნოს "ტერეკის" დუბლებთან საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და 2:1 გაიმარჯვა. ნალჩიკელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშეს **ალექსანდრე ამისულაშვილმა** და **დავით სირაძემ**. "სპარტაკის" მესამე ქართველს, **გოგიტა გოგუას** ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. კვირას "სპარტაკი" უკვე "ტერეკის" მთავარ გუნდს შეხვდება.

# შენგელიას ცნობარი ბრუნდება




ქართულ ფეხბურთს არცთუ ცოტა რამ აკლია და ბოლო სამ წელიწადში საფეხბურთო ცნობარიც შემოაკლდა. სტატისტიკოსი **რევაზ შენგელია** ჯერ კიდევ საბჭოთა დროს მუშაობდა ყოველწლიურ ცნობარებზე და ამ საქმეს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთშიც შეეჭიდა. ეს ცნობარი ძალიან ბევრ მასალას იტევდა, გულშემატკივრისთვის და ფეხბურთში მოსაქმე ხალხისთვის საინტერესო სტატისტიკურ ინფორმაციებს მოიცავდა, საფეხბურთო ჟურნალისტისთვის სულაც სამაგიდო წიგნი გახლდათ.

2004 წლიდან ეს ცნობარი აღარ გამოდიოდა, თუმც შენგელია მუშაობას აგრძელებდა და მალე ცნობარის გამოცემა გაგრძელდება. შენგელიამ, ვინც ახლა ფეხბურთის ფედერაციაში გენერალურ სამდივნოს ხელმძღვანელობს, გვითხრა, რომ ცნობარი უკვე მზადაა და სამ გაცდენილ წელიწადს მოიცავს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# აველანჟი: 1966 და 1974 წლებში მუნდიალები ჩაწყობილი იყო

## ფიფას ყოფილი პრეზიდენტი ხელს მსაჯებისკენ იშვერს და ამბობს, შეთქმულების ავტორებს ბრაზილიელთა ჩაძირვა სურდათო...

ფიფას ყოფილი პრეზიდენტი **ჟოაო აველანჟი** სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მისი მტკიცებით, 1966 და 1974 წლების მსოფლიოს ჩემპიონატები ჩაწყობილი იყო, რათა ტიტული ინგლისსა და გერმანიას მოეგოთ. ამავე დროს, შეთქმულების ავტორები ბრაზილიის ნაკრების ჩაძირვაზე მუშაობდნენო, ამბობს ყოფილი ფუნქციონერი. აველანჟის სკანდალური ინტერვიუ "ფოლია დო სან პაულუს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა. მისი კომენტარები მთელ მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედო და დიდი ხმაური გამოიწვია.

ინგლისელმა მიმომხილველებმა გაიხსენეს, რომ სეუ ჟოაო მათ ფეხბურთს არასოდეს სწყალობდა, თვით ფიფას პრეზიდენტობის დროსაც კი. ის დრო და დრო ინგლისელთა საწინააღმდეგო განცხადებებით გამოიჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ ამჯერად აველანჟმა ამაყი ბრიტანელების ყველაზე დიდი გამარჯვება, მსოფლიოს ჩემპიონობა ამოსვარა ტალახში. მოხუცი ჟოაო დაუკრეფავში გადავიდაო, წერს "დეილი მეილი".


ფიფას ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი

"სანმა" მკითხველს შეახსენა, რომ ფიფას ყოფილი პრეზიდენტი 92 წლისაა. ტაბლოიდს პირდაპირ ამ სიტყვებით არ დაუწერია, მაგრამ აზრი ასეთი იყო - საბრალო მოხუცი გამოჩურჩუტდა და მის განცხადებებს ყურადღებას აღარ მივაქცევდით, ჩვენი პატიოსნება ეჭვქვეშ რომ არ დაეყენებინაო.

ახლა უფრო კონკრეტულად აველანჟის ბრალდებების შესახებ. სერ ჟოაოს კომენტარს სიტყვა-სიტყვით შემოგთავაზებთ: *"ინგლისში, 1966 წლის მუნდიალზე, ბრაზილიის ნაკრების მიერ გამართულ სამ შეხვედრაში, სამი მსაჯიდან და ექვსი ლაინსმენიდან შვიდი ბრიტანელი და ორი გერმანელი იყო. ბრაზილია გავარდა, პელეს სასტიკად გაუსწორდნენ და უმძიმესი ტრავმა მიაყენეს, ფინალში კი ინგლისმა და გერმანიამ ითამაშა, ისე, როგორც ფიფას იმჟამინდელ პრეზიდენტს, სერ სტენლი როუსს სურდა. გერმანიაში, 1974 წელს, ზუსტად იგივე განმეორდა. ბრაზილია-ჰოლანდიის მატჩისას მსაჯი ინგლისელი იყო, ჩვენ 2:0 წავაგეთ, მსოფლიოს თასს კი გერმანია დაეუფლა. 1966-შიც და 1974-შიც ჩვენ მსოფლიოში საუკეთესო ნაკრები გვყავდა. ზუსტად ის, რომელმაც 1962 წელს ჩილეში და 1970 წელს მექსიკაში გაიმარჯვა. მაგრამ ინგლისსა და გერმანიაში ჩვენი გამარჯვება აღარ აწყობდათ, ამიტომ მასპინძლებს დაეხმარნენ."*

თუკი 1966 წელს, ინგლისის გაჩემპიონებას აველანჟი ფიფას ინგლისელ პრეზიდენტ **სტენლი როუსს** აბრალებს, საინტერესოა, ვინ დაეხმარა გერმანიას რვა წლის შემდეგ? ისევ ფიფას პრეზიდენტი ხომ არა? 1974 წელს ფიფას ხელმძღვანელი არც მეტი, არც ნაკლები, თავად აველანჟი იყო. ის ამ თანამდებობაზე ტურნირის დაწყებამდე აირჩიეს და 1996 წლამდე იმსახურა, როდესაც მისი სკამი ვიცე-პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** ერგო. გერმანელები ფიფას ყოფილი ბოსის განცხადებას ჯერ არ გამოხმაურებიან. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ეს ამბავი ასე მარტივად არ ჩაივლის.

ტოტენჰემი

# გომესი მამლებში ჩაირიცხა

## ხუანდე რამოსმა, ჯერჯერობით, ყველაზე მეტი ფული დახარჯა

"ტოტენჰემმა" საზაფხულო ტრანსფერებში 27.5 მილიონი გირვანქა დახარჯა. კლუბის ბოლო შენაძენია "ეინდჰოვენის" მეკარე **ეურელიო გომესი**. ლონდონელებს ბრაზილიელი ლეგიონერი 7 მილიონი დაუჯდათ. გომესის ტრანსფერზე მუშაობა ერთი კვირა გაგრძელდა და გუშინ, შეთანხმებით დაგვირგვინდა.

გომესის გადასვლა **პოლ რობინსონის** უმუშევრად დარჩენას ნიშნავს. ინგლისის ნაკრების გოლკიპერს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. მას რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს. ყველაზე რეალურია "ასტონ ვილაში" გამგზავრება. ბირმინგემელები 5 მილიონ გირვანქას იხდიან. "ტოტენჰემს" კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

"ვილის" თავკაცმა **მარტინ ონილმა** სელტიკელი **არტურ ბორუციც** მოიკითხა, მაგრამ გლაზგოელებმა ცივი უარით გაისტუმრეს. ამ ზაფხულს ბირმინგემელები ორ მეკარეს გამოეთხოვნენ - დანიელ **ტომას სორენსენს** კონტრაქტი არ გაუგრძელეს, ხოლო "ლივერპულიდან" იჯარით აყვანილი სკოტ კარსონი "ენფილდზე" დაბრუნდა. ამ ვითარებაში ონილმა საუკეთესო კანდიდატად რობინსონი მიიჩნია.


ეურელიო გომესი ლონდონელების კარს დაიცავს

"ეინდჰოვენმა" გომესის სანაცვლოდ თავდაპირველად 10 მილიონი მოითხოვა. ფეხბურთელმა კლუბს ტრანსფერში ხელის შეწყობა სთხოვა. ჰოლანდიელები დიდსულოვანნი აღმოჩნდნენ. 3 მილიონი დააკლეს და გარიგებაც შედგა. ეურელიო ინგლისში დღეს ან ხვალ ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტის დეტალებს შეათანხმებს. ამასობაში, "ტოტენჰემი" ფეხბურთელის საბუთებს ბრიტანეთის საემიგრაციო სამსახურს გადაუგზავნის. კლუბი იმედოვნებს, რომ სამუშაო ვიზის მიღება პრობლემა არ იქნება.

"ეინდჰოვენმა" გომესის გაყიდვით კიდევ ერთი ხეირი ნახა: ის კორეელ მარცხენა მცველ **იან პიო ლის** სულ რაღაც 800 ათას გირვანქად შეიძენს. მკითხველს შევახსენებთ, რომ "ტოტენჰემმა" ბრაზილიელი მეკარის გარდა, ხორვატი ფლეიმეიქერი **ლუკა მოდრიჩი** და მექსიკელი თავდამსხმელი **ჯოვანი დოს სანტოსი** იყიდა. 19 წლის დოს სანტოსი, რომელიც "ბარსელონიდან" წაიყვანეს, მოუთმენლად ელოდება სეზონის დაწყებას.

**ხუანდე რამოსს** კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენა სურს. ესაა ბლექბერნელი **დევიდ ბენტლი**. ინგლისის ნაკრების მარჯვენა ნახევარმცველს ინგლისური გრანდები - "არსენალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟებიან.

ლივერპული

# დაუნინგი ბენტლის ნაცვლად

"სანის" ცნობით, "ლივერპული" "მიდლსბროს" ნახევარმცველ **სტიუარტ დაუნინგს** ეპატიჟება. რაფა ბენიტესს ფლანგების გაძლიერება სურს. მისი უმთავრესი სამიზნე ბლექბერნელი **დევიდ ბენტლი** იყო, მაგრამ "ტოტენჰემის" გააქტიურების შემდეგ, ინიციატივა "მამლების" მხარეს გადავიდა. ვარაუდობენ, რომ ბენტლი ლონდონში გაემგზავრება. "ლივერპული" კი დაუნინგის ტრანსფერისთვის იბრძოლებს.

ამ ბიჭის შეძენა ადვილი არ იქნება. "მიდლსბროს" თავკაცი **გარეთ საუთგეიტი** სტიუარტს საკვანძო მოთამაშედ მიიჩნევს. ახალ სეზონში, საუთგეიტი სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას გეგმავს. მას შემადგენლობის გაძლიერება სურს და არა შესუსტება. თუ დაუნინგი ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს, რივერსაიდელები მას იაფად არ შეელევიან.

ფეხბურთელმა "მიდლსბროსთან" ახალი კონტრაქტი თებერვალში გააფორმა. 2013 წლამდე ის კლუბის საკუთრებაა. დაუნინგის ფასი კონტრაქტითაა განსაზღვრული. ლივერპულს 10 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს.

ამასობაში, "ლივერპულისა" და ისრაელის ნაკრების ნახევარმცველმა **იოსი ბენაიუნს** რამდენიმე სარფიანი შეთავაზება მიიღო. მას "აიაქსიდან", "ტოტენჰემიდან" და "პორტსმუთიდან" შეეხმიანნენ. ამსტერდამელებმა ფეხბურთელს უკეთესი ხელფასიც კი აღუთქვეს. ბენაიუნს "ენფილდზე" კვირაში 30 ათას გირვანქას უხდიან.

"პორტსმუთის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** დაადასტურა, რომ ებრაელი ნახევარმცველის შეძენა სურს. მწვრთნელს ამ ბიჭთან ერთად "ვესტ ჰემში" უმუშავია. რედნაპი მერსისაიდელებს 15 მილიონ გირვანქას სთავაზობს, ოღონდ ამ ფასში, ბენაიუნის გარდა, **პიტერ კრაუჩის** წაყვანაც უნდა. ერთი კვირის წინათ "ლივერპულმა" "პორტსმუთს" კრაუჩის 9 მილიონად დათმობაზე უარი უთხრა. ბენიტესის შტაბს ახალ წინადადებაზე ჯერ არ უმსჯელია.

### თერიმი თურქეთში რჩება

**ფათიჰ თერიმმა** გადაიფიქრა, ან გადააფიქრებინეს. BBC-ს ინფორმაციით, თურქი სპეციალისტი, რომელმაც ევროზე გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა, პოსტზე 2010 წლის ივლისის ბოლომდე დარჩება და ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოამზადებს. გერმანიასთან წაგების შემდეგ, თერიმმა განაცხადა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შევხვდები და მერე გადავდგებიო, თან გამოსამშვიდობებელი სიტყვაც წარმოთქვა, მაგრამ... ეტყობა, თურქებს მის იქით გზა ჯერ არ აქვთ...

ბარსელონა

# ტურამი ფეხბურთიდან მიდის?

## პარიზელმა ექიმებმა მას გულის საშიში დაავადება აღმოუჩინეს

**ლილიან ტურამი** "პარი სენ ჟერმენში" არ გადავა. 36 წლის ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. პარიზელი ექიმები ტურამის გულის მდგომარეობამ შეაშფოთა. ტურამს დამატებით გამოკვლევას ჩაუტარებენ. ლილიანს დაახლოებით ერთ თვეში ეცოდინება, შეძლებს თუ არა კარიერის გაგრძელებას.

სახელგანთქმულ ფრანგ მცველს "ბარსელონასთან" კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდა. "პარი სენ ჟერმენმა" მას ერთწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა. მხარეებს ფინანსური საკითხების მოგვარება არ გასჭირვებიათ. ფრანგული კლუბის თავკაცმა **პოლ ლე გენმა** მომხდარის გამო იმედგაცრუება ვერ დამალა.


ლილიან ტურამი

ლილიანმა პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებთან ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მინდოდა, მეთქვა, რომ ახალი სეზონიდან პარიზში ვითამაშებ. სამწუხაროდ, აქ იმისთვის მოგიწვიეთ, რომ გაუწყოთ: ტრანსფერი არ შედგება და შეიძლება, ფეხბურთისთვის თავის დანებება მომიხდეს. გულის პრობლემების აღმოჩენა მოულოდნელი იყო. სხვა შემოწმებებისას ასეთი რამ არ უთქვამთ. როგორც ჩანს, მეც ოჯახის სხვა წევრებს დავემგვანე. გულით ავადმყოფობა ჩვენი ოჯახური სისუსტეა."*

1990-იან წლებში, ტურამს გულის შეტევით უმცროსი ძმა გარდაეცვალა. ისიც პროფესიონალი სპორტსმენი იყო და კალათბურთს თამაშობდა. ლილიანის საბრალო ძმა ერთ-ერთი მატჩისას, მოედანზე დაიღუპა.

ლე გენი იმედს მაინც არ კარგავს - ლილიანი დიდ სამსახურს გაგვიწევდა, მისი ფასდაუდებელი გამოცდილება ძალიან გვჭირდებაო. ტურამმა საფრანგეთის ნაკრებში 142 მატჩი ჩაატარა. ის 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონია. ფეხბურთელმა 2006 წლის მუნდიალის ფინალშიც ითამაშა. ევროპის ჩემპიონატიდან გავარდნის შემდეგ, ლილიანი ეროვნულ გუნდს გამოეთხოვა. სახელოვანი კარიერის განმავლობაში, მას "მონაკოში", "პარმასა" და "იუვენტუსში" უთამაშია. ტურამმა "ბარსელონას" 2006 წელს მიაშურა. როგორც ჩანს, კატალონიური გრანდი იმის უკანასკნელი სამსახურია. ვეტერანს არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, აპირებს თუ არა მუშაობას მწვრთნელად.

ჩელსი

# სკოლარიმ შვებულება შეკვეცა

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ფეხბურთელები დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე დაიბარა. ლონდონელ ვარსკვლავებს შვებულებათა შემოკლება მოუწევთ. ბრაზილიელი მწვრთნელი ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს და დამატებითი შვიდი დღე ჰაერივით სჭირდება.

იმ მოთამაშეებს, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე არ უთამაშიათ, ლონდონში 7 ივლისს ელოდებიან. ჯონ ტერისა და ფრენკ ლემპარდს უკვე შეეხმიანნენ: ინგლისის ნაკრების ლიდერები თითქმის ერთი თვეა, ისვენებენ. სკოლარის მოთხოვნასთან დაკავშირებით მათ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სეუ ლუიშს ურჩობა არ უყვარს. თუ დასჭირდა, 59 წლის მწვრთნელი მუშტებზეც დაიხედავს. ამის მაგალითად 2006 წლის მუნდიალის გახსენებაც კმარა. პორტუგალიის იმჟამინდელმა თავკაცმა სკოლარიმ სერბ მცველ **ივიცა დრაგუტინოვიჩს** ყბაში მოსდო, რის გამოც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა (მოგვიანებით, სასჯელი ორ მატჩამდე შეუმცირეს).

სკანდალის შემდეგ, სკოლარიმ ჟურნალისტებს განუცხადა: *"მან (დრაგუტინოვიჩმა) ჩემი ოჯახის წევრები აუგად მოიხსენია. რაკი ესპანურად შეიგინა, ყველაფერი ჩინებულად გავიგონე"*. მწვრთნელმა ისიც განაცხადა, ხელი კი მოვუღერე, მაგრამ არ შევხებივარ, ამიტომ ოთხმატჩიანი სასჯელი უსამართლო იყოო.

სკოლარი ინგლისში მუშტების ქნევას აღარ აპირებს. მან იმჟამინდელი საქციელი იმავე ჩემპიონატისას მოინანია - მშვიდი პიროვნება ვარ, მაგრამ ხანდახან, როგორც ჩანს, ჩემნაირი პიროვნებებიც კარგავენ წონასწორობასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# მორატი: მოურინიო ჩემი ერერაა

**ანჯელო მორატის**, "ინტერის" ძველ პატრონსა და დღევანდელი ბოსის, **მასიმო მორატის** მამას, მწვრთნელად **ელენიო ერერა** ჰყავდა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ლეგენდარული სპეციალისტი გახლდათ. ერერა, ყბადაღებული "კატენაჩოს" მამა, დიდი არგენტინელი, რომლის ხელშიც "ნერაძურის" ისტორია სკუდეტოებითა და ჩემპიონთა თასებით გამდიდრდა. მასიმოს "ინტერი" ყოველთვის რჩებოდა ანჯელოსეული "ინტერის" ჩრდილში. ნავთობმაგნატი ბოსი ვერ იქცა "ინტერისთვის" ევროდიდების მომტან პატრონად თუ პრეზიდენტად. ჯერჯერობით, მის ხელში შავლურჯებმა მხოლოდ უეფას თასი მოიგეს (1998). ამიტომაც იყო, რომ მასიმომ გუნდში **ჟოზე მოურინიოს** უხმო. მისი აზრით, სწორედ მოურინიოა ის სპეციალისტი, რომელიც "ინტერს" ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებს.

ჟოზემ ეს ხილი უკვე იგემა, მაგრამ არა "ჩელსიში", სადაც ზედიზედ ორჯერ აღმართა პრემიერლიგის მთავარი ტროფეი, არამედ "პორტუში". ანუ, მოურინიომ იცის, რა და როგორ უნდა. ასეთია მორატის გათვლა და მოგვიანებით გამოჩნდება, სწორად გათვალა თუ არა "ინტერის" ბოსმა. მაგრამ ვერც ერთი მწვრთნელი, ვერასდროს, ვერ იქნება ვერანაირი შედეგის გარანტი, რადგან დიდი გამარჯვება მხოლოდ კარგი მწვრთნელითა და ვარსკვლავებით არ მოდის. უამრავი დეტალია, რომელსაც წინასწარ ვერ გაითვალისწინებ, უამრავი გუნდია, რომელსაც არანაკლებ სწადია მთავარი საკლუბო ტურნირის მწვერვალზე ასვლა. და უნდა მოახერხო, რომ ამათ შორის იყო საუკეთესო, ჭეშმარიტად საუკეთესო, უამრავი პარამეტრით. და კიდევ, რაც არანაკლებ მთავარია, იღბალიც უნდა გწყალობდეს. იღბალი კი, ბოლო ათწლეულში, "ნერაძურის" ნაკლებად სწყალობდა. ნაკლებად კი არა, დაწყევლილი გუნდიაო, ამბობდნენ...

...მაგრამ, ბოლო სამი სკუდეტო? - იკითხავთ, ალბათ. ამ სამიდან, ერთი "იუვენტუსს" წაართვეს (რამდენად დამსახურებულად, ეს სხვა საქმეა), ერთი უკონკურენციო გარემოში მოიგო, და ერთიც, ბოლო, ნამდვილად დამსახურებული იყო, დამსახურებულიც და ერთგვარი გამონაკლისიც, ისტორიული დინებებიდან გამომდინარე. მოვლენათა ლოგიკური განვითარება გვიჩვენებს, რომ მორატის სატრანსფერო პოლიტიკა მუდამ წამხედურობაზე იყო აგებული. მთავარი მიზანი: არ ჩამოვრჩეთ "მილანს"! მაგრამ, თუკი "მილანში" ამ პოლიტიკას ნაწილობრივ მწვრთნელებიც განსაზღვრავდნენ, ამ მხრივ "ინტერში" მწვრთნელის როლი დაკნინებული იყო. მოდით, გავიხსენოთ: გუნდიდან წასვლის შემდეგ, "ნერაძურის" ყველა დამრიგებელი ჩიოდა, რომ გუნდს საკუთარი შეხედულებისამებრ ვერ აკომპლექტებდა. ის ვალდებული იყო, მორატის კაპრიზი გაეთვალისწინებინა. ყველამ იცით, რომ დიდი ხანია, **ალვარო რეკობას** ფეხბურთი, როგორც ასეთი, აღარ უთამაშია, მაგ-



ელენიო ერერა და ანჯელო მორატი



მასიმო მორატი და ჟოზე მოურინიო

რამ მორატი მაინც არ უშვებდა გუნდიდან. რატომ? ალვარო კარგი ბიჭია, ის ჩემი შვილივითაა, - ამბობდა პრეზიდენტი. მასიმო? ის მამასავით მეპყრობა, - ეს უკვე რეკობას სიტყვებია...

მწვრთნელების გაუთავებელი ცვლა - ესეც ერთ-ერთი მიზეზი არასტაბილურობისა და, შესაბამისად, წარუმატებლობისაც. **რობერტო მანჩინიმ** "რეკორდულად" დიდხანს გაძლო მორატის ხელში. მაგრამ მანჩინი სხვა პიროვნებაა. მან მეტნაკლებად შეძლო, ყოფილიყო დამოუკიდებელი. მას შეეძლო, ეთქვა მორატისთვის - არა! მაგრამ, არა ყოველთვის. თუმც ესეც ბუნებრივია...

ახლა მოურინიო. ბევრს არ სჯერა, რომ ჟოზე და მასიმო ერთმანეთში შეხმატკბილებულები იქნებიან. მოურინიო "განსაკუთრებული პერსონაა", მას თავისი ურყევი პრინციპები აქვს. ის ვერ იქნება მორატის ნების უსიტყვო შემსრულებელი, და გაცილებით მეტად, ვიდრე მანჩინი. კონტრაქტზე საუბრისას, პორტუგალიელის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო სრული დამოუკიდებლობა სატრანსფერო და საკადრო პოლიტიკაში. როგორც ჩანს, მორატი ამაზე წავიდა. წავიდა იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მიხვდა - მთავარი ფიგურა მწვრთნელია. თუ ენდობი, ბოლომდე უნდა ენდო. დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიხვდა...

"გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში, მოურინიოსა და ერერას შედარებისას, მორატი ამბობს: *"მთელი რიგი თვისებებით, ისინი საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. მოურინიოს ვაკვირდებოდი და ყოველთვის ვხედავდი მასში რაღაც დიდს, მაგიურს, იმას, რაც ერერას ჰქონდა. და ყოველთვის ასე ვფიქრობდი, დიდი ხნით ადრეც, როცა ის "ინტერისგან" ძალზე შორს იყო. ჟოზე და ელენიო დიდ მწვრთნელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ. ისინი სამუშაოზე არიან გადამკვდარები, ყველაზე მცირე დეტალსაც კი, რომელიც ერთი შეხედვით უმნიშვნელოდ მოჩანს, უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ძალიან მომწონს მოურინიოს მეთოდები, მიდგომები... მიდგომები ფეხბურთელებთან ურთიერთობებში. მაგალითად, აღფრთოვანებული დავრჩი, როცა კრისტიან კივუ ოპერაციის შემდეგ ჰოსპიტალში მოინახულა. ვიცი, რომ ის ელაპარაკა სხვა ფეხბურთელებსაც... თქვენ ნახეთ, როცა რობერტო მანჩინი გავუშვით, "ინტერის" ქომაგებს ჩვენთვის ზურგი არ უქცევიათ. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, კლუბის კეთილდღეობისკენ გადადგმული ნაბიჯებია და მოურინიოც კარგად გააკეთებს თავის საქმეს, რადგან მუშაობაში ის დაუღლელი კაცია".*

## ინტერი იტალიური ვერ იქნება, ჯერჯერობით...

ცხადია, მორატის სატრანსფერო მოძრაობაზეც მოუწია საუბარი. არახალია, რომ მოურინიო ძველი შეგირდების გადაბირებას ცდილობს. **ფრენკ ლემპარდისა** და **რიკარდო კვარეშმას** თაობაზე მოლაპარაკებები დაწყებულია, პირველი რიგის სამიზნეა აგრეთვე "რომას" გარემარბი **ამანტინო მანსინიც**.

*"ჩვენ გვაქვს ნათელი და კარგად აწონ-დაწონილი იდეები, აქტიურებიც ვართ, მაგრამ მოთმინებაა საჭირო. გავაკეთებთ იმას, რასაც საჭიროდ ჩავთვლით და თან ისეთ დროს, როგორც კი ამის აუცილებლობას დავინახავთ... მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ ზაფხულისთვის ერთ დიდ გარიგებას უკვე მივაღწიეთ: ჩვენ გვყავს მოურინიო".*

მორატიმ ისაუბრა "ინტერში" იტალიელი მოთამაშეების შესაძლო მომრავლებაზეც. "ნერაძური" სერია A-ს ყველაზე "არაიტალიური" გუნდია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ძალიანაც რომ უნდოდეს, მან მოურინიოს ხედვას უნდა გაუწიოს ანგარიში. მეორეც: იმ პოზიციებზე, რომელთა გამაგრებაზეც "ინტერში" დღენიადაგ ზრუნავენ, თურმე, იტალიელთა მოძიება ძალზე რთულია:

*"ადვილი არ არის ამ გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ყველაფერს ბაზარი გვკარნახობს, ბაზარზე კი ისეთი იტალიელი მოთამაშე, რომელიც ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, იმ პოზიციებზე, რომელთა გადახალისებაც გვჭირდება, ძნელი მოსაძებნია. ამიტომაც ვიყურებით საზღვრებს მიღმა. პარალელურად, დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ახალგაზრდულ სკოლას, რომელიც იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მომავალში სწორედ აქედან ველით შევსებას".*

ლუიშ ფიგუ "ინტერში" კიდევ ერთი წლით აპირებს დარჩენას. კონტრაქტის გაგრძელებას მორატიც ადასტურებს: *"დიახ, ფიგუსთან ხელშეკრულება განახლდება. რაც შეეხება ახალწვეულებს, ეს თქვენს კოლეგა-ჟურნალისტებს უნდა ჰკითხოთ, რადგან ეტყობა, მათ ჩემზე გაცილებით მეტი იციან. ამ ახალწვეულთა სახელებს ვერ დავაკონკრეტებ, თუმც ზოგადად გეტყვით, რომ ჯერჯერობით, ერთი ნახევარმცველი და ორი-სამი გარემარბი გვჭირდება. ამავე დროს, ჭკვიანურად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან არ მინდა, ფული ტყუილად ვხარჯოთ".*

## ჟირკოვი და რობენი?

ბოლოს კი, მორატისთვის ესოდენ "საყვარელი" ჩვენი კოლეგა-ჟურნალისტების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებსაც მოგაწვდით. ჩვეულებრივი სატრანსფერო სპეკულაციებია. მაგალითად, "ინტერი" რუსეთის ნაკრების მარცხენაფლანგელ **იური ჟირკოვით** დაინტერესებულა. გეცოდინებათ, 25 წლის ჟირკოვი ცსკა-ს ღირსებას იცავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანელ **ფილიპ ლამთან** ერთად, თავის პოზიციაზე ის ბრწყინვალედ გამოიყურება და თუ რუსეთმა ევროზე ამდენს მიაღწია, მისი დიდი დამსახურებაცაა.

ჰოდა, "ინტერის" დაინტერესება ნამდვილად არ არის გასაკვირი. აგერ, "ბარსელონა" ადასტურებს, რომ **ანდრეი არშავინი** უნდა. მაშინ, რატომ არა ჟირკოვიც? თუმც ვერ ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი მოურინიოსთვის პრიორიტეტია, რადგან ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მხოლოდ **ამანტინო მანსინისა** და **რიკარდო კვარეშმას** თაობაზე მიმდინარეობს. უბრალოდ, ჟირკოვი ერთგვარი დაზღვევაა. როგორც ამბობენ, მოურინიოს ის ძალზე მოსწონებია, რაკი მცველადაც შეუძლია თამაში და გარემარბადაც. სავარაუდოდ, ცსკა ჟირკოვს 15 მილიონ ევროდ შეელევა.

გარემარბები ვახსენეთ და, **არიენ რობენზეც** ვთქვათ. რობენი ჟოზეს ყოფილი მონაფეა. ის "ჩელსიდან" "რეალში" მოურინიოს სურვილის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა. სხვათა შორის, სწორედ აქედან იღებს სათავეს ის უთანხმოებაც, რაც "სტემფორდ ბრიჯზე" მოხდა და ბოლოს მოურინიოს წასვლით დასრულდა. აღვნიშნოთ, რომ რობენს "რეალის" ძირითადში მყარი ადგილი არ აქვს და ამან, პოზიტიური როლი შეიძლება ითამაშოს მოსალოდნელ გარიგებაში.

მწვრთნელი

# დაბრუნების თეორია

**ფაბიო კაპელომ**, რომელმაც "მილანთან" ერთად ფანტასტიკური ხუთი წელიწადი (1991-96) გაატარა, მოიგო ოთხი სკუდეტო და ჩემპიონთა ლიგა, ერთხელ ასეთი რამ თქვა - შევცდი, "როსონერიში" რომ დავბრუნდიო. ეს იყო 1997/98 წლების სეზონი, როცა კაპელოს "მილანი" ჩემპიონ "იუვენტუსს" მთელი 30 ქულით ჩამორჩა. კაპელო ადგა და "რომაში" წავიდა, სადაც 18-წლიანი პაუზის, შემდეგ "ჯალოროსის" სკუდეტო მოაგებინა...

მოკლედ, ინგლისის ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი ასეთ რამეს ამტკიცებს: რასაც ერთხელ, ერთ რომელიმე კლუბში მიაღწიე, იმას ვეღარ გაიმეორებო. საკამათო აზრია და, სხვათა შორის, იმავე კაპელომ ეს პირადი მაგალითითაც გააქარწყლა. ამაზე, ცოტა ქვემოთ. დისკუსია კი დაიწყო ერთი ამბის გამო: ხუთშაბათს, **მარჩელო ლიპი** იტალიის ნაკრებში დაბრუნდა. დაბრუნდა მწვრთნელი, რომელმაც სანაკრებო დონეზე მწვერვალს მიაღწია - 2006 წელს "სკუადრა აძურა" მსოფლიო ჩემპიონი გახადა. ისმის კითხვა - ამჯერად, რა მოტივაცია ამოძრავებს ლიპის? არსებობს თეორია და, ამასაც პრაქტიკა ამყარებს, რომ დიდი წარმატების შემდეგ, ლოგიკურად იწყება დაღმასვლა და ეს იტალიის ამ ნაკრებმაც დაამტკიცა. მართალია, ეს უკვე **რობერტო დონადონის** ხელში მოხდა, მაგრამ თითქმის იმავე შემადგენლობით, რომლითაც იტალიამ მეოთხედ მოიგო მსოფლიოს მთავარი სანაკრებო ჯილდო. რა თქმა უნდა, მწვრთნელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რამხელაა იმის ალბათობა, რომ თუნდაც ლიპის ხელში ეს "აძურა" ევროპას მოიგებდა?

*"ძალიან, ძალიან ბედნიერი და მოტივირებული ვარ"*, - ეს იყო მარჩელოს პირველი სიტყვები ნაკრების მწვრთნელად ხელახლა "კურთხევის" შემდეგ. იტალიაში ბევრმა ეს ცინიზმად მონათლა. როგორ? მეტი რაღა უნდა ქნას მწვრთნელმა სანაკრებო ფეხბურთში, როცა მსოფლიო ჩემპიონატი უკვე მოგებული აქვს?

მგონი, მივადექი ამოცანის ამოხსნას. ლოგიკურად, ლიპის ერთადერთი მოტივაცია უნდა იყოს არა ის, რომ კიდევ ერთხელ მოიგოს მუნდიალი, ანუ წმინდა სტატისტიკური მხარე, არამედ, გაუტოლდეს ლეგენდარულ თანამემამულე **ვიტორიო პოცოს**, რომელმაც, სწორედ რომ ზედიზედ, 1934 და 1938 წლებში, იტალიას ორჯერ ააწევინა "ნიკეს" თასი. ამაშია საქმე. არ მეთანხმებით? 60 წლის ლიპისთვის უკვე დადგა ის დრო, როცა უბრალოდ, ტიტულები კი არ უნდა ითვალოს, არამედ მსოფლიო ლეგენდების გვერდით მოკალათდეს.

მაგრამ იტალიელთა დიდი ნაწილი, როგორც გამოკითხვებით ჩანს, კი მიესალმება ლიპის დაბრუნებას, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილს სჯერა, რომ მის ხელში "სკუადრა აძურა" ტიტულის დაცვას მოახერხებს. არადა, იმავე ლიპის კარიერაშიც ყოფილა მსგავსი პრაქტიკა: "იუვენტუსში" მან ზედიზედ ორჯერ მოიგო სკუდეტო, როცა "ქალბატონის" სკამზე მეორედ დაბრუნდა, პირველ ვადაში კი ყველა საშინაო თუ საგარეო ტიტული უკვე დაგემოვნებული ჰქონდა. და რატომ არ შეიძლება ამის გამეორება იტალიის ნაკრებში?

სხვა მწვრთნელების მონაგარსაც გადავხედოთ. იგივე კაპელო, ერთ მდინარეში მეორედ არ უნდა შეხვიდეო, რომ ამბობს, განა თავად ასე არ მოიქცა, 2006 წლის ზაფხულში "რეალს" რომ მიაშურა? 10 წლის წინათ, სამეფო კლუბთან ერთად მას უკვე მოგებული ჰქონდა (პირველივე ცდაზე) პრიმერა დივიზიონი და ანალოგიურ წარმატებას მიაღწია ბოლო მადრიდული კამპანიის დროსაც. ან თუნდაც, **ოტმარ ჰიტცფელდი**, რომელიც "ბაიერნში" თავიდანვე ყველაფერს შესწვდა, დაბრუნებულზე კი დუბლიც დაამატა.

არსებობს საპირისპირო ფაქტებიც. 1994 წელს, **კარლოს ალბერტო პარეირამ** ბრაზილიას მეოთხედ მოუტანა მსოფლიო თასი, სამაგიეროდ, 2006 წელს ჩაფლავდა. პარეირაზე შორს წავიდა **მარიო ზაგალო**, როცა 1998 წელს "ჯადოქრები" ფინალში გაიყვანა, თუმც ვერ გაიმეორა 1970 წლის ტრიუმფი.



მარჩელო ლიპი

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ თავიდანვე შეცდომა დაუშვა, როცა 2006 წელს ლიპი გამოუცდელი და ახალგაზრდა დონადონით ჩაანაცვლა. ბუნებრივია, "დონმა" გუნდში ის პატივისცემა და ავტორიტეტი ვერ მოიპოვა, რაც გამარჯვებულის მენტალიტეტით აღჭურვილი მარჩელოსთვის ჩვეულებრივი ამბავია.

მოტივაციის არქონა ვახსენეთ და... მოიცათ, მოიცათ, იქნებ, ისიც მოტივაციაა, რომ ახალი ააშენო? ასე რომ არ იყოს, **არსენ ვენგერი** "არსენალში" 10 წელიწადი როგორ გაჩერდებოდა? მარტო გამარჯვებები კი არა, შენებაც მოტივაციაა, თავისებური სტიქიაა. ლიპის კი ნამდვილად მოუწევს ამ პროცესის დაწყება, რადგან ევრო 2008-ზე მოთამაშე "აძურას" 14 ფეხბურთელი 30 წელს მიღმაა. მაგრამ აქაც დოზირებაა საჭირო, რადგან ხალხი უმალ შედეგს ითხოვს, ლიპი კი, ამ შემთხვევაში, უდავოდ შესაფერისი ფიგურაა.

ზოგი იმასაც ამბობს, უკეთესი იქნებოდა, **რობერტო მანჩინი** დაენიშნათო, ან **ლუჩანო სპალეტი**, ან თუნდაც **ჩეზარე პრანდელიო**... მაგრამ, ვფიქრობ, ლიპი რომ არა, უთუოდ **კარლო ანჩელოტი** უნდა ყოფილიყო "აძურას" ახალი მესაჭე. ეგ არის, რომ კარლეტო ვერ გაატარებდა თავის საფირმო სათამაშო პოლიტიკას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იტალიას დღეს შემტევი ნახევარმცველების დეფიციტი აქვს. ანჩელოტი, შეიძლება, მოვიდეს ლიპის შემდეგ, როცა იტალიის 21-წლამდელთა ნაკრები, ტალანტებით გაპენტილი გუნდი, დაბრძენდება და დალვინდება.

ერთი სიტყვით, თეორია, რომ ერთ სკამზე მეორედ არ უნდა დაჯდე, დოგმა არ გახლავთ, მეგობრებო. მთავარია კონკრეტული მომენტი, რომელშიც მუშაობა გიწევს - ვთქვათ, თაობა, რომელმაც შეიძლება გაგიმართლოს, შეიძლება არა. ბოლოს კი, როგორ არ გავიხსენოთ **პოლ ნიუმენის** (რომელსაც საოცრად ჰგავს მარჩელო ლიპი) გმირი, **ედი ფელსონი**, ფილმიდან - "ფულის ფერი". ფელსონი ცნობილი შულერია, რომელიც ვერ უძლებს ცდუნებას და უბრუნდება იმ საქმეს, რომელიც ყველაზე კარგად იცის...

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფინალო ტაქტიკა

სქემა: **იოახიმ ლიოვმა** უნდა გადაწყვიტოს, ულირს თუ არა 4-5-1 სქემის გამოყენება. მწვრთნელის ჩანაფიქრმა საუცხოო შედეგი გამოიღო პორტუგალიასთან მატჩში, მაგრამ ნაკლებად ეფექტურად იმუშავა თურქეთთან. ლიოვის საყვარელ სქემად კლასიკური 4-4-2 ითვლება.

**ლუის არაგონესს** სქემა არც ერთხელ არ შეუცვლია. მისმა გუნდმა ყველა შეხვედრაში 4-4-2 განლაგებით ითამაშა და უკლებლივ ყველა მატჩი მოიგო. მაგრამ ფინალის წინ მწვრთნელს მინიმუმ ერთი იძულებითი ცვლილების განხორციელება მოუწევს. **დავიდ ვილია** დაშავებულია. თუ მის ნაცვლად **ფრანსესკ ფაბრეგასი** ითამაშებს, სქემა ავტომატურად 4-5-1-ად გადაკეთდება.

ძლიერი მხარეები: გერმანელთა სიძლიერე მათი საუცხოო ფსიქოლოგიური მომზადებაა. ეს თაობა იმ თაობათა შთამომავალია, რომელთაც არაერთ ფინალურ მატჩში უთამაშიათ. ის, რომ დღევანდელი ბუნდესნაკრებიც ცივსისხლიანია, ნახევარფინალისას გამოჩნდა. თურქეთმა ანგარიში 86-ე წუთზე გაათანაბრა. გერმანელებმა კი გამარჯვების გოლი 90-ე წუთზე გაიტანეს.

ესპანელების სიძლიერე ტექნიკური მომზადების მაღალი დონეა. ესპანელი ფეხბურთელები დიდი ხანია, ერთმანეთის გვერდიგვერდ თამაშობენ. მათ პარტნიორების უსიტყვოდ ესმით. შემთხვევითი არ არის, რომ არაგონესის გუნდი ფინალამდე 21-მატჩიანი წაუგებელი სერიით მოვიდა.

სუსტი მხარეები: თურქეთთან მატჩისას, გერმანელთა დაცვამ უჩვეულოდ სუსტად ითამაშა. ცალკეულ ეპიზოდებში არც **იენს ლემანი** გამოიყურებოდა საიმედოდ.

ესპანელთა სისუსტე ის არის, რომ მაღალი ფეხბურთელები არ ჰყავს. მეორე სართულზე გერმანელ მცველებს უპირატესობის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ.

დაცვა: გერმანელთა მეკარესა და ოთხ მცველს გამოცდილება არ დაეწუნებათ, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, თურქეთთან მატჩი მათ კარიერაში საუკეთესო არ იყო. ცენტრალურ მცველებს, **პერ მერტეზაკერსა** და **კრისტოფ მეტცელდერს** მაღალ თავდამსხმელებთან თამაში კარგად ეხერხებათ. **სესკ ფაბრეგასისა** და **ანდრეს ინიესტას** მსგავს მეტოქესთან გამკლავება სულ სხვა საქმეა. ისინი ნახევარმცველები არიან, მაგრამ გამუდმებით ერთვებიან შეტევაში.

ესპანელთა დაცვას ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ მთელი ტურნირი საკმაოდ სტაბილურად ჩაატარა. მეკარე **იკერ კასილიასსა** და ცენტრალურ მცველ **კარლეს პუიოლს** შეცდომა თითქმის არ დაუშვიათ. მარჯვენა მცველი **სერხიო რამოსი** მარტო უშუალო ფუნქციების შესრულებით არ შემოიფარგლება და თავდასხმაშიც აქტიურობს.

ნახევარდაცვა: **მიხაელ ბალაკმა** თურქეთთან მატჩი, ფაქტობრივად, ჩააგდო. მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრებში, როგორც წესი, შეუდარებელია. გერმანელებს შეუძლიათ, კაპიტნის იმედი იქონიონ. მოედნის ცენტრის დაკავებას ფინალური მატჩის შედეგისათვის პრინციპული მნიშვნელობა ექნება. **ბასტიან შვაინშტაიგერი** და **ლუკას პოდოლსკი** შთამბეჭდავად თამაშობენ. თუ **ტორსტენ ფრინგსი** ტრავმას საბოლოოდ მოიშუშებს, ძირითად შემადგენლობაში იქნება და ცენტრალურ რგოლს სიმტკიცეს შემატებს.

რუსეთის ნაკრებს ესპანელთა ნახევარდაცვამ მოუთავა ხელი. შუა ხაზის ფეხბურთელებმა ბევრი იმუშავეს და საუცხოო პასები არიგეს. შეუდარებელი იყო ფაბრეგასი. გერმანელებს ამ რგოლის გასანეიტრალებლად ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ.

თავდასხმა: **მიროსლავ კლოზემ** მეოთხედფინალშიც გაიტანა და ნახევარფინალშიც. ის ისევე ეფექტურად თამაშობს, როგორც 2006 წლის მუნდიალისას, როდესაც ის ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ხვალ გერმანიას კლოზეს შედეგიანი თამაში ისე დასჭირდება, როგორც არასოდეს.

ვილიას დაშავების შემდეგ, ფერნანდო ტორესს წინა ხაზში მარტო მოუწევს დარჩენა. მეტიც, მას ნახევარმცველების დახმარებასაც დაავალებენ. ტორესი მძიმე სამუშაოსათვის უნდა მოემზადოს. მეორე ტაიმში მოსალოდნელია პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის, **დანიელ გუისას** გამოჩენა. მან ესპანელებს ამ ჩემპიონატზე უკვე დიდი სარგებელი მოუტანა.

ესპანეთი

# არაგონესი რეკორდებს ამხობს

## ლუისი ყველაზე წარმატებული ესპანელი მწვრთნელია

ესპანური ფეხბურთი ისტორიულ წარმატებებს აღწევს. ყოველ სტატიაში ახალ-ახალ ფაქტებზე საუბარი გვიწევს. ვთქვით, რომ "სელექსიონი" ნახევარფინალში 24-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გავიდა. დაგვეთანხმებით, ეს მართლაც ისტორიული წარმატებაა. პირენეელები ახლა მორიგი ჰეროიკული გამარჯვების მიჯნაზე იმყოფებიან. ამ გუნდს დიდ ტურნირში აგერ უკვე 44 წელია არ გაუმარჯვია. ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა შორეულ 1964 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მას შემდეგ დიდი პაუზა აილო. ფინალს **ლუის არაგონესი** ოპტიმიზმით ხვდება, მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენციის ფრაგმენტებს აუცილებლად შემოგთავაზებთ, მანამდე კი სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე გესაუბრებით.




არაგონესი ფაბრეგასს ძირითადისთვის მოიაზრებს

როგორც იცით, "სელექსიონმა" რუსეთის ნაკრები ევრო 2008-ზე მეორედ დაამარცხა, პირველი გამარჯვება ჯგუფურ ეტაპზე იქნა მოპოვებული, მეორე კი ხუთშაბათს. რუსებისთვის ანგარიში კატასტროფული აღმოჩნდა. 1964 წლის შემდეგ ევროპის პირველობის ნახევარფინალში ასეთი ანგარიშით არავინ დამარცხებულა. კურიოზულია, მაგრამ 44 წლის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ნახევარფინალში დანია დაამარცხა (3:0). ახლა კი სამარცხვინო ანგარიშით თავად წააგეს. სხვათა შორის, იმავე საბჭოთა გუნდმა 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში 3:0 წააგო. მაშინ ისინი გერმანიას ემსხვერპლნენ.

სტატისტიკას კიდევ უფრო ჩავუღრმავდეთ. რუსული დათვის ბეჭებზე გაკვრამ ლუის არაგონესი ესპანეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად აქცია. მართალია, მას და მის ბიჭებს ტიტული ჯერ არ მოუპოვებიათ, მაგრამ სენიორ ლუისს ბედნიერების საბაბი უკვე მიეცა. საქმე ის არის, რომ ხუთშაბათს არაგონესმა "სელექსიონის" თავკაცის რანგში რიგით 37-ე გამარჯვება მოიპოვა. ასეთი მაჩვენებელი კი სხვა არც ერთ სპეციალისტს არ გააჩნია. მხცოვანმა მწვრთნელმა **ხავიერ კლემენტეს** რეკორდი გააუმჯობესა. პირენეელთა ყოფილ დამრიგებელს ეროვნულ გუნდში მოღვაწეობის განმავლობაში 36 მატჩი ჰქონდა მოგებული. ბასკი სპეციალისტი ქვეყნის უმთავრეს საფეხბურთო კოლექტივს 62 შეხვედრაში ხელმძღვანელობდა. არაგონესისთვის კი გუშინწინდელი დაპირისპირება 57-ე გახლდათ. როგორც ხედავთ, ლუისის მიღწევა გაცილებით უფრო შთამბეჭდავია. არაგონესს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდა და იტალია ძირითად დროში დაემარცხებინა აბსოლუტურად ყველა რეკორდს დაამხობდა. აპენინელთა დამარცხების შემთხვევაში ის ზედიზედ მეცხრე გამარჯვებას მოიპოვებდა და **მანუელ კასტროს** მონაპოვარს გააუმჯობესებდა. დღევანდელი გადმოსახედიდან უცნაურად მოგვეჩვენება, რომ 1921-27 წლების განმავლობაში "სელექსიონმა" სულ რაღაც რვა თამაში ჩაატარა. როგორც ხვდებით, რვავე მატჩი ესპანელების გამარჯვებით დასრულდა.

# გერმანიასაც დავამარცხებთ

## არაგონესის პრესკონფერენცია

არაგონესმა წარმატებებს გემო გაუგო და გაჩერებას აღარ აპირებს. მის ხმაურიან განცხადებებს უკვე მიჩვეულები ვართ. გემახსოვრებათ, რომ ნახევარფინალის წინ ესპანელთა დამრიგებელმა პირდაპირ თქვა, რუსებს გავანადგურებთო. პროგნოზი გამართლდა, **გუუს ჰიდინკის** გუნდის წაგებას მხოლოდ წაგება არ ჰქვია, ეს სწორედ რომ განადგურება გახლდათ. რუსებმა მეტოქეს მინიმალური წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს. სენიორ ლუისი ტრადიციას არ ღალატობს და ახლა იმას ამბობს, რომ ესპანეთი გერმანიასაც დაამარცხებს: *"ჩვენ ველარავინ შეგვაჩერებს. დღეს ისეთ ფორმაში ვართ და ისეთი შემართული გახლავართ, მსოფლიოს ნებისმიერ ნაკრებს დავამარცხებთ. გერმანიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ გაცილებით კარგი გუნდი გვყავს, უფრო დაბალანსებული, უფრო ტექნიკური და უფრო მოძრავი. ესპანეთი აზროვნების უნარითაც გამოირჩევა. ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ. ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ. მახსოვს, ჩემი ყოფილი შეგირდი გარი ლინეკერი ამბობდა, გერმანიასთან თამაშს აზრი არ აქვს, გერმანიას ებრძვიან, გერმანიას უტევენ, გერმანიას გოლს უტანენ, მაგრამ ბოლოს მაინც ყოველთვის გერმანია იგებსო. ჩვენს გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ამ მითს დავამსხვრევთ და სამშობლოში ევროპის თასით დავბრუნდებით."*

ბუნებრივია, პრესკონფერენცია ისე არ ჩაივლიდა, რომ არაგონესისთვის წინა დღით მოპოვებული გამარჯვების შესახებ არ ეკითხათ. ლუისმა ნახევარფინალზე ისევ დიდი სიამოვნებით ილაპარაკა: *"მგონი დავამტკიცეთ, რომ მე და ჩემი ბიჭები სიტყვებს ჰაერზე არ ვისვრით. ტურნირის დაწყების წინ მიზნად ფინალში გასვლას ვისახავდით, ახლა მე თქვენ გეკითხებით, შესრულდა თუ არა ეს მიზანი? დიახ, თამამად და ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ ამოცანა გადაჭრილია. ყველა გულშემატკივარს ვულოცავ, ესპანეთი 24 წლის შემდეგ ისევ ფინალშია. ჩემი შეგირდების თამაშით აღფრთოვანებული ვარ. პირველ ტაიმში თითქოს ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ეს მოჩვენებითი და მცდარი შეხედულება გახლდათ. გუშინაც ვთქვი და დღესაც გავიმეორებ, რუსებს ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა ისე უჭირდათ, რომ მთელი ენერგია პირველივე ნახევარში დახარჯეს. შესვენების შემდეგ არაჩვეულებრივად ავთამაშდით. აბსოლუტურად ყველაფერი გამოგვდიოდა. ფაბრეგასი შეხვედრაში ძალიან კარგად ჩაერთო. ვილიას ტრავმის გათვალისწინებით, სესკს, ალბათ, ფინალურ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში დავაყენებ. ნახევარდაცვაში შეუდარებლები ვიყავით. შეტევებისას ბურთს იშვიათად ვკარგავდით. რუსების იერიშებს კი ხშირ შემთხვევაში ასევე მოედნის ცენტრში ვაჩერებდით. პათეტიკური არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ყველა უფლება მაქვს იმისთვის, რომ ბედნიერად ვიგრძნო თავი და ჩემს ბიჭებზე აღფრთოვანებით ვისაუბრო. ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვა."*

# ვილიას თამაში გამოირიცხა

## ფაბრეგასი გერმანიაზე კბილებს ილესავს

წლევანდელი ესპანეთის მთავარი ღირსება, მობილურობა და გასაოცარი დინამიკაა, თუმცა ამ ყველაფერს ლოგიკური გაგრძელება და გოლი თუ არ მოსდევს შრომა ფუჭი და არაფრის მომტანი იქნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ "სელექსიონს" ევროპის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის, ყველაზე ეფექტური და წარმატებული თავდასხმა ჰყავს. ვილია, **ტორესისა** და **გუისას** ტრიოს პოტენციალი ამოუწურავია. სამწუხაროა, რომ ფინალში ვალენსიელი სუპერფორვარდი ვერ ისპარეზებს. დავიდს ნახევარფინალის პირველ ტაიმში ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. შესვენებაზე ჩატარებული სახელდახელო სამედიცინო შემოწმების წყალობით დადგინდა, რომ ვილიას კუნთი დაეჭიმა. წუხელ ვილიას ვენის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში კომპიუტერული გამოკვლევა ჩაუტარეს, რომელმაც პირველადი დიაგნოზი დაადასტურა. ფაქტობრივად 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ევრო 2008-ის საუკეთესო ბომბარდირი ფინალურ ორთაბრძოლას გამოტოვებს. თუ ესპანელი მცველები ყურადღებით ითამაშებენ და **პოდოლსკის**, ან **კლოზეს** გოლებს არ გაატანინებენ, დავიდი მოედანზე გაუსვლელად ტურნირის საუკეთესო მეგოლის წოდებას მოიპოვებს. ბუნებრივია, ფინალის გამოტოვება ნებისმიერ ადამიანს დაწყვეტს გულს. გამონაკლისი დავიდ ვილიაც არ გახლავთ: *"საჭირო რომ იყოს, კოჭლობით ვითამაშებდი, თავს გადავდებდი და ფინალში მოედანზე მაინც გავიდოდი, მაგრამ ეს სიგიჟე იქნება და სხვა არაფერი. რა თქმა უნდა, ჯობია, 100 პროცენტით მომზადებულმა ფეხბურთელმა ისპაროზოს. გადაწყვეტილებას ლუის არაგონესი მიიღებს. ჩვენ არაჩვეულებრივი მოთამაშეები გვყავს. დანიელ გუისამ რუსებთან საუცხოო გოლი გაიტანა. დარწმუნებული ვარ, ფინალშიც არ შეირცხვენს თავს. ვნახოთ, ვის მიანიჭებს უპირატესობას მთავარი მწვრთნელი. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემი გუნდის უპირველესი გულშემატკივარი ვიქნები. ბიჭებს მისტიკური ძალით იმ ენერგიას გადავცემ, რომელიც გამარჯვებას მოგვიტანს. პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ბუნებრივია, თამაში განუზომელ სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ ახლა სხვანაირი სიამოვნება უნდა მივიღო. სავარძელში მოვკალათდები და ესპანეთის ნაკრების შესრულებით დიდი ფეხბურთის ყურებით დავტკბები. დარწმუნებული ვარ, "სელექსიონი" შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს და ისტორიულ გამარჯვებას მოიპოვებს."*

არაგონესმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ვილიას ნაცვლად, სავარაუდოდ, **სესკ ფაბრეგასს** ათამაშებს. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე "არსენალის" ვარსკვლავი დარწმუნებული იყო, რომ ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრებდა ადგილს, მაგრამ სესკს ოცნება არ აუსრულდა. ახლა მას შანსი აქვს, რომ ძირითადში პირველად ისპაროზოს. ფაბრეგასი ამ დღეს მოუთმენლად ელის: *"საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვილიას ნაცვლად მე ვითამაშებ. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, თუმცა ესპანეთის ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობა ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება. მზად ვარ, თავი გადავდო და გერმანიის დამარცხებაში წვლილი შევიტანო. ძალიან ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები მართლაც ამოუწურავია. თუ ფინალშიც ისევე ვითამაშებთ, როგორც გუშინ, გერმანიას შანსი არ ექნება."*

ესპანეთი ფინალისთვის მზადებას უკვე შეუდგა. ლუის არაგონესმა ფეხბურთელებს დასვენების საშუალება არ მისცა. ეს ალბათ, იმის გამო მოხდა, რომ "სელექსიონმა" იოლ გამარჯვებას მიაღწია. რა დასამალია, რომ ესპანელებს დიდი ენერგია არ დაუხარჯავთ. ამიტომ, სენიორ ლუისმა ბიჭები მინდორზე დილით გაიყვანა და მსუბუქად ავარჯიშა. ფაბრეგასი ძირითადი შემადგენლობის ბიჭებთან ერთად დარბოდა. ასე რომ, სესკს ფინალში ველით.

**ილია ნიკოლაიშვილი**

EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

# მთავარი ბრძოლა მოედნის ცენტრში

## ლიოვმა გადაწყვიტა: ფრინგსი ითამაშებს! კლინსმანიც იქ არის...

**ფინალი**

**გერმანია-ესპანეთი**

ვენა. 29 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გერმანია:** ლემანი - ფრიდრიხი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ლამი - ფრინგსი, ჰიტცლშპერგერი - შვაინშტაიგერი, ბალაკი, პოდოლსკი - კლოზე.

**ესპანეთი:** კასილიასი - რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილა - სენა - ინიესტა, ჩავი, ფაბრეგასი, სილვა - ტორესი.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)



ლიოვს ფრინგსის იმედი აქვს

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ამბობს, ესპანეთის ნაკრებს უდიდეს პატივს ვცემ და ამიტომ, **ტორსტენ ფრინგსს** აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში გავამწესებო. მიუხედავად იმისა, რომ საყრდენი ნახევარმცველი ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და მისი თამაში რისკთანაა დაკავშირებული, ტორსტენი ფინალში აუცილებლად ისპარეზებს. იოგის განცხადებიდან ისე გამოდის, რომ თითქოს ის თურქეთის ნაკრებს პატივს არ სცემდა, რაკი ნახევარფინალში ფრინგსი ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესა, მაგრამ შევეშვათ ნახევარფინალს, რაც უკვე წარსულია. ბუნდესგუნდი უდიდესი ამოცანის წინაშე დგას. 12 წლიანი პაუზის შემდეგ, ევროპის სამგზის ჩემპიონები კვლავ ფინალში არიან.

მნიშვნელობა არა აქვს, როგორ დამთავრდება ფინალი - წააგებს, თუ მოიგებს, მატჩის შემდეგ, ბუნდესგუნდი ბერლინში ჩავა, სადაც ფეხბურთელები ორშაბათს ბრანდენბურგის კარიბჭესთან ფანებს შეხვდებიან. ზეიმი 14 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და ზუსტად ისე, როგორც 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები ქომაგებს მხარდაჭერისთვის მადლობას გადაუხდიან.

ასკონაში, სადაც ბუნდესგუნდს დღეს დილამდე ბანაკი ჰქონდა დაცემული, ევროპის ჩემპიონატის ფინალის მოახლოებასთან დაკავშირებული ციებ-ცხელება ოდნავადაც არ იგრძნობოდა. არანაირი ხმაური, არანაირი ეიფორია და ასეთივე ატმოსფერო გუშინ იყო ბუნდესგუნდის სასტუმროშიც. დღეს დილით კი ალემანები ვენისკენ აიღებენ გეზს, სადაც აბსოლუტურად ყველა ხვალინდელი მატჩით ცხოვრობს. *"თითოეული ჩვენგანი ყოველ წამს გრძნობს, რომ ჩვენს უკან 82 მილიონი ადამიანი დგას, რომლებიც იმაზე ოცნებობენ, რომ ესპანეთი დავამარცხოთ,"* - აცხადებს **კრისტოფ მეტცელდერი.**

ბუნდესგუნდი ზეწოლის ქვეშაა. გულშემატკივრები გამარჯვებას მოითხოვენ და ეს იმ დროს, როცა ფავორიტად ესპანეთია შერაცხული. მართალია, ფინალში ფავორიტი არ არსებობს, მაგრამ ლოგიკას აზრი მაინც იქითკენ მიჰყავს, რომ უპირატესობა ესპანეთის ნაკრებს მიენიჭოს. თუნდაც იმიტომ, რომ **ლუის არაგონესის** გუნდმა გზიდან ჯერ იტალიის ნაკრები ჩამოიშორა, მერე კი ჰოლანდიის გამანადგურებელი რუსეთი გაანადგურა. გერმანელებმა რუსეთისა და ესპანეთის ჯახს სასტუმროს ბარში უყურეს. ესპანეთის გუნდმა მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ შიშით კი არცერთი მათგანი არ შეუშინებია.

გუშინ ლიოვს საათნახევრიანი საუბარი ჰქონდა გერმანიის ნაკრების შეფ-სკაუტ **ურს ზიგენტჰალერთან,** რომელიც ესპანეთისა და რუსეთის მატჩს დაესწრო და რომელსაც იოგისთვის არაერთი საჭირო ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა. საერთო ჯამში, ბუნდესნაკრების სამწვრთნელო შტაბმა მეტოქის ტაქტიკა და თითოეული ფეხბურთელის მოქმედება ისე გაანალიზა, როგორც ეს დანარჩენი მეტოქეების შემთხვევაში ხდებოდა. ფინალისთვის ლიოვს და კომპანიას ახალი არაფერი მოუფიქრებიათ. ლიოვი და ზიგენტჰალერი ერთად ბჭობდნენ იმაზე, თუ როგორი ტაქტიკით უნდა ითამაშოს გერმანიამ ხვალ და საუბრობდნენ იმაზეც, სავარაუდოდ რა სტრატეგიას აირჩევს არაგონესი. ბუნდესმწვრთნელი და მისი შეფ-სკაუტი დიდხანს ეძებდნენ პასუხს კითხვაზე: როგორ უნდა შეაჩეროს გერმანიამ ესპანეთის უძლიერესი რგოლი, ნახევარდაცვა?

*"მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იქნება ჩვენი ტაქტიკა ან სასტარტო შემადგენლობა, ზოგადი ფილოსოფიის შეცვლას არც ფინალში ვაპირებთ - გერმანიამ შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს,"* - აცხადებს ლიოვი. თუმცა იოგი ნამდვილად ვერ გაექცევა იმას, რომ პირველ რიგში მეტოქე უნდა შეაჩეროს, რომელიც უფრო მეტადაა შეტევაზე ორიენტირებული. მას მერე, რაც გაირკვა, რომ **დავიდ ვილია** ვერ ითამაშებს, იოგი დარწმუნებულია, რომ არაგონესი მხოლოდ ერთი ფორვარდით ითამაშებს და ეს ერთადერთი თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესი** იქნება. ზიგენტჰალერი კი არ მალავს, რომ გერმანიის ნაკრებისთვის ყველაზე პრობლემური ესპანელთა ნახევარდაცვის ჩინებული ტრიოა, სადაც **სესკ ფაბრეგასი, ჩავი ერნანდესი** და **ანდრეს ინიესტა** თამაშობენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ესპანეთს დაახლოებით პორტუგალიის დონეზე განიხილავს. ლიოვი პირდაპირ ამბობს, არაგონესის გუნდიც ძალიან ტექნიკური, მობილური და სწრაფიაო, მაგრამ იქვე ამატებს: *"განსხვავება მხოლოდ ერთშია: ესპანელები პორტუგალიელებისგან განსხვავებით დაბრძენებულები არიან."*

*"დამერწმუნეთ, ესპანეთის ნაკრები გერმანიას უდიდეს პატივს სცემს. მას მერე, რაც პორტუგალიას შავი დღე ვაყარეთ, პირენეელებს ჩვენი ეშინიათ. ეს ჩემმა მადრიდელმა მეგობრებმა მითხრეს,"* - ამბობს მეტცელდერი, რომელსაც მუდმივი კონტაქტი აქვს თავის თანაკლუბელ **სერხიო რამოსთან,** რომელსაც მეტცესთვის უთქვამს, რაც არ უნდა მოხდეს, თამაშის შემდეგ აუცილებლად ერთად ვიზეიმოთო.

მაგრამ ის, რომ ესპანელები გერმანელებს პატივს სცემენ და ვინ იცის, იქნებ მართლა უფრთხიან კიდეც, ბუნდესგუნდისთვის ფინალის მოგების გარანტია ნამდვილად არ არის. ამისათვის საჭიროა, რომ გერმანელებმა მინიმუმ ზუსტად ისეთი კონცენტრაციით, ისეთი ალმაფრენით ითამაშონ, როგორც პორტუგალიასთან. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ლიოვი ხუთ ნახევარმცველს ათამაშებს, რათა მეტოქის შუა ხაზის კრეატიულობა მაქსიმალურად შეამციროს. გერმანელები ესპანელებს მთავარი ბრძოლის გამართვას სწორედ მოედნის ცენტრში უპირებენ. როგორც გითხარით, ფრინგსი სასტარტოში ბრუნდება, ტორსტენი **სიმონ როლფესს** შეცვლის.

*"თავს ძალიან კარგად ვგრძნობ,"* - ამბობს ბრემენელი, - *"მეტოქეს გასაქანი არ უნდა მივცეთ. ნახევარდაცვაში ამის გარანტი მე ვიქნები."*

*"ფინალის მოსაგებად შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენებაა საჭირო. და ცხადია, იღბალიც ჩვენს მხარეს უნდა იყოს,"* - ეს კი მეტცელდერის სიტყვებია.

ვენაში ჩადის **იურგენ კლინსმანიც,** გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცი, რომელიც ევროპის ჩემპიონატს აქამდე თვალ-ყურს ამერიკიდან ადევნებდა. კლინსი შვეიცარია/ავსტრიაში დღემდე სპეციალურად არ ჩავიდა, ამბობდა, არ მინდოდა, რომ ჩემი იქ ყოფნით პრესისთვის დამატებითი მასალა მიმეცა და ლიოვი წნეხის ქვეშ მომექციაო. თუმცა ფინალზე დასწრების სურვილის გამოხატვით, იურგენმა მაინც მისცა მასალა გერმანულ პრესას. "ბილდი" წერდა, იქნებ კლინსიც დაელაპარაკოს ფეხბურთელებს და მათ გულებში ცეცხლი ძველებურად დაანთოსო. გერმანელები კლინსმანზე ამბობენ, ფეხბედნიერია და ბუნდესგუნდს მხოლოდ ჩამოსვლითაც უდიდეს სამსახურს გაუწევსო.

კლინსმანი ვენაში პირადად **თეო ცვანციგერმა** დაპატიჟა. "ეს მისი ფინალიცაა," - ამბობს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი...

**გოტფრიდ ლენცი**

# ვინ დათარსა ვილია?



სპეციალური რეპორტაჟი

ლელოსთვის, ვენიდან

**მამუკა კვარაცხელია**

*"ერთადერთი, რაც მინდა, კვირას მივიღო - სიხარულის მიზეზი მქონდეს. ცოტათი გულდაწყვეტილი ვარ, მოედანზე რომ ვერ გავალ, მაგრამ უკეთესია, ვინმე ჯანმრთელმა ითამაშოს... ისე, ძალიან ვკოჭლობ"* - განაცხადა გუშინ შერეულ ზონაში კოჭლობით მომავალმა **დავიდ ვილიამ.**

ნაღდად შენი დათარსულიაო, ხუმრობანარევი აგრესიით მეცნენ ესპანელი კოლეგები - თამაშის წინ მის სკამზე რომ დაჯექიო. უხსენი ახლა ამათ, რომ ჩემპიონთა ლიგაში მუშაობისას უამრავი ფეხბურთელის სკამზე ვმჯდარვარ თამაშის დაწყების წინ, რაკიღა ყველამ იცის, რომ გასახდელის გადაღება აუცილებელი პირობაა ამ ტურნირის გაშუქებისთვის. ამის უზრუნველყოფა სწორედ მე მევალება ხოლმე, მაგრამ, რაკი ახლა აკრედიტებული ჟურნალისტი ვარ და არა უეფას წარმომადგენელი, პროფესორ ხაჩიკიანის ცნობილი ფრაზით რომ ვთქვა, "სავსემ ნე უვაჟაიუტ".

არც ვაციე და არც ვაცხელე - მადლობის მაგივრად, საყვედურს მეუბნებით, ფინალში გაგიყვანეთ, სადაც ჩემს დაბადებამდე, 1964 წელსღა ყოფილხართ-მეთქი. თანაც, ჩემი კი არა სულაც ვილიას ბრალია, რამ წამოალებინა 4 ბუცი (გუშინ შეცდომით გითხარით. 3 კი არა 4 ბუცი ეწყო ვილიას სკამქვეშ, რაც სურათზეც კარგად ჩანს - მ.კ.), წამოელო ბატონო 7 წყვილი და 7 გოლს გაიტანდა, ტვინი რომ გქონდეთ, ფინალის წინაც შემიყვანდით გასახდელში და **ფერნანდო ტორესის** ადგილზე წამომასკუპებდით, სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონობა ჯიბეში იგულეთ-მეთქი. ბევრი ვიცინეთ და არაა გამორიცხული, ისევ მოვხვდე ესპანეთის გასახდელში. მოკლედ, რა მე და რაღა მჩხიბავი შამანები...

ეს ხუმრობით. დღეს კი ერთ კარგ ღონისძიებაზე ვიყავი. "ადიდასი" რის "ადიდასი" იქნებოდა, რაღაც კარგი რომ არ მოეფიქრებინა - ვენის ცენტრში, იოზეფ მაინრად პლაცზე, ბურგთეატრში აკრედიტებული ყველა ჟურნალისტი ბრაზილიელი **დიეგოსა** და ტოგოელი **ადებაიორის** პრესკონფერენციაზე დაგვპატიჟა. ამათ ხომ აქეს და ადიდეს "ადიდასი", ასე და ისეო (რა ქება "ადიდასს" უნდა?!), ბოლოს კი ისეთი ფრაზა თქვა დიეგომ, ყველას სიცილი წაგვსკდა - მეო, ბატონო, ფულის კი არა, სიამოვნების გულისთვის ვთამაშობო. მერე იყო გემრიელი ალა-ფურშეტი და კარგადაც მოვილხინეთ, კედლებიდან კი "ადიდასის" ყველა დროისა და ჩემპიონატის ბურთები იმზირებოდნენ - "არგენტინული ტანგოთი" დაწყებული, მექსიკური "აცტეკათი" და პორტუგალიური "როტეიროთი" გაგრძელებული, და გერმანული "თიმ გაისთით" დამთავრებული. ვაჩხაკუნე და ვაჩხაკუნე ფოტოაპარატი. თეატრის წინ კი ტრადიციულად 16 ქვეყნის ვეება ბუცი დევს და ფინალში გასული ესპანეთისა და გერმანიის ბუცებს შორის ახალი, "ადიდასის" საოცარი ბურთი ჩაუდგამთ. სხვათა შორის, ფინალამდე სულ სხვა ბურთით - "ევროპასით" თამაშობდნენ, ახლა კი საგანგებოდ დამზადებულ ბურთს გამოიტანენ. ვნახოთ, ვის კარის ბადეში აფართხალდება ქართული ფენოვანი ხაჭაპურივით რამდენიმეფენოვანი "გლორია".

ჰო, მართლა, გუშინ უჩემოდაც კარგად მიადევნებდით თვალს საოცარ ნახევარფინალს, მაგრამ, ალბათ, არ გესმოდათ, რომ მეორე და მესამე გოლის შემდეგ ესპანელებმა "კალინკა" წამოიწყეს, ალბათ, რუსების გასაბრაზებლად. რამდენიმე გადაბმული პასის შემდეგ კი ტრადიციული ტორეროების შეძახილი - ოლე! ოლე! (მეგრულად ცოტა უხერხულად ჟღერს...) იკლებდა იქაობას...

შესვენებაზე კი ტუალეტებში რიგი იდგა... ვინანე, რომ ფოტოაპარატი არ წამოვიღე, ლამის ერთმანეთზე გადადიოდნენ. უფრო რუსები აქტიურობდნენ, რადგან თამაშის წინ შთანთქმული ალკოჰოლი თავისას შვრებოდა. სხვათა შორის, ძალიან განიცადეს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა წაგება და დღეს წამლად რომ გინდოდეს, ვენაში ერთ ვანიასაც კი ვერ შეხვდები. ეგ კი არა, ჩემმა მეგობარმა რამდენიმე რუსმა ჟურნალისტმა თქვა - გვეყო ჩემპიონატი, ახლა სახლში წავედითო...

ხვალ, დილის 10 საათზე, ქალაქის მერიის ინიციატივით გამართულ ყოველდღიურ პრესკონფერენციაზე მივალ და შევიტყობ, რამდენი და რა სახის დანაშაული მოხდა ამ ხნის განმავლობაში ავსტრიაში, ვინ გამოიჩინა თავი, ალბათ, კურიოზებიც იქნება და ცოტათი გავამხიარულებ "ლელოს" მკითხველს.

მოგეხსენებათ, როგორ სწყალობს უეფა ჟურნალისტებს და ახლაც უამრავი სიკეთეა მათთვის გათვალისწინებული. 7 ივლისამდე, ყველა ოფიციალურად აკრედიტებული ჟურნალისტი ავსტრიასა და შვეიცარიაში უფასოდ იმგზავრებს ყველა ტრანსპორტით, ტაქსის გარდა. ასე იყო 2 წლის წინათაც, გერმანიაში. ფიფას უეფამაც მიბაძა. კარგად მახსოვს, ბელგია/ჰოლანდიაში, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე, რამდენი ფული დავხარჯე ტრანსპორტში. ახლა, ამ სტატიას, რომ დავამთავრებ, "კურსალონ ვიენაში", უზარმაზარ დარბაზში მივდივარ, სადაც უეფა მედიისთვის საგანგებო საღამოს აწყობს. ხვალ ამაზე დაწვრილებით მოგიყვებით.



ესპანელს ვილა დააკლდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მწვრთნელი

# მილიონარიოსში მაგარი ბიჭები თამაშობენ

## დიეგო სიმეონეს ვნება ისევ და ისევ ფეხბურთია...

**არგენტინულ** ფეხბურთზე ჩვენში ცოტა რამ თუ იწერება. არადა, იქაური ჩემპიონატი საკმაოდ საინტერესო ტურნირია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ამ ქვეყნიდან უამრავი ფეხბურთელი მოდის ხოლმე ევროპაში სათამაშოდ, ტურნირი დონესა და საკუთარ სახეს არ კარგავს. ბოლო პერიოდში ქვეყანას ახალი გმირი გამოუჩნდა, ოღონდ არა მინდორზე (მორიგი "მომავალი მარადონა") არამედ სამწვრთნელო ასპარეზზე - ეს დიეგო სიმეონეა. მან ფეხბურთელის კარიერა ცოტა ხნის წინათ დაასრულა, მას მერე სამი წელიწადი გასული ჯერ არ იქნება. ამ დროში ჩოლომ (El Cholo –ასე უწოდებენ სამხრეთ ამერიკაში ისეთ ადამიანებს, რომელთაც სისხლში ინდიელის სისხლი ურევიათ) მწვრთნელობის დაწყებაც მოასწრო და ჩემპიონის ორი ტიტულის მოპოვებაც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მის ევროპელ კოლეგა ჟოზე მოურინიოს სამხრეთ ამერიკაში კონკურენტი გამოუჩნდა.

დიეგომ ევროპაში ფეხბურთელის რანგში 14 წელიწადი გაატარა და კარიერის მიწურულს სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ის დაბრუნდა იქ, სადაც ყველაფერი დაიწყო – აველიანედის "რასინგში". *"მე დავბრუნდი! დავბრუნდი იმიტომ, რომ ფეხბურთის თამაში და მისი სიყვარული აქ მასწავლეს,"* - განაცხადა ვარსკვლავმა. ეს 2005 წლის თებერვალში მოხდა. მისმა მოსვლამ გუნდზე დადებითი გავლენა იქონია და "რასინგი" ერთი პერიოდი თითქოს საჩემპიონო ბრძოლაშიც ჩაება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ გუნდს პირველ ადგილამდე 7 ქულა დააკლდა. მერე და მერე, ლამაზი ზღაპარი უკვე მოსაწყენ რეალობად იქცა და გუნდი ჯერ ცხრილის შუაში დაეშვა, ბოლოს კი სულაც გავარდნის პერსპექტივა დაემუქრა. გუნდის ხელმძღვანელობა რისკზე წავიდა და მწვრთნელის პოსტი დიეგოს ჩააბარა. არავინ იცოდა მოიტანდა თუ არა კოკა წყალს, მაგრამ... გადაწყვეტილება ჩვენმა მთავარმა გმირმაც ძალიან ადვილად მიიღო. მოხდა ისე, რომ სიმეონე პარასკევ დღეს გუნდთან ერთად ვარჯიშობდა და მეორე დღეს, შაბათს, უკვე გუშინდელი თანაგუნდელების მთავარი მწვრთნელი გახდა. სწორედ ასეთი სათაურით დაახასიათა ბრიტანულმა ბიბისიმ ფეხბურთელის ახალი თავგადასავლის დაწყება. სიმეონე თითქოს დებიუტიდანვე განწირული იყო წარუმატებლობებისთვის: პირველ სამ მატჩში სამი მარცხი, 8 გაშვებული და 0 გატანილი. ყველაზე ძნელი გუნდში წესრიგის დამყარება იმიტომ აღმოჩნდა, რომ სიმეონე-მწვრთნელს მოედანზე არ ჰყავდა სიმეონე-ფეხბურთელი. უკვე ორი თვის თავზე ამ წაგებებს ჟურნალისტები გაუგებრობას დაარქმევენ. დიეგოს შეგირდებმა საკმაოდ ადვილად მოახერხეს ლიგაში ადგილის განაღდება. სეზონის ბოლოს კი ფანტასტიკური სერიაც გამოაცხვეს, 5 მატჩში 4 "მშრალი" მოგება და ფრე. "ალბისელესტეს" ყოფილმა ვარსკვლავმა მშვიდი სინდისით მიიღო შედარებით ამბიციური "ესტუდიანტესის" წინადადება. "მშვიდი სინდისი" სულაც არაა ცარიელი სიტყვები, რადგან მისი წასვლის შემდეგაც კი, გუნდი ორი წელიწადი ახერხებდა საკმაოდ კარგად თამაშს და ამ პერიოდში გავარდნის საფრთხე ერთხელაც არ დამუქრებია. ამით შეიძლება კიდევ ერთი დასკვნის გაკეთება, რომ ჩოლო გუნდს გამოწურულსა და ამბიციამოკლებულს კი არა, საბრძოლო სულისკვეთებით სავსეს ტოვებს.

2006 წლის მაისში დიეგომ, მწვრთნელმა, ვისაც ზურგს მხოლოდ 14-მატჩიანი სამწვრთნელო კარიერა უმაგრებდა, ჩაიბარა საშუალო გუნდი, ვისაც ჩემპიონობის სიხარული, აგერ უკვე 23 წელიწადია, არ სწვეოდა. გუნდი, რომელიც ბოლო წლებში სტაბილურად გასავარდნი ზონის სიახლოვეს უფრო იყო, ვიდრე საპრიზო ადგილებთან. მაისიდან სექტემბრამდე არცთუ ისე დიდი დროა, მაგრამ სიმეონემ მოახერხა და თავი ყველას შეაყვარა როგორც მწვრთნელმა. ის გაზეთ "ოლეს" მკითხველებმა ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. გაზეთბის მტკიცებით, დიეგოში ერთად იყო თავმოყრილი "ბიელსას ვნება, ბასილეს ცრუმორწმუნეობა, ბილარდოს სკულპულოზურობა და მენოტის უტოპიურობა."

თავად სიმეონე კი საკუთარ თავს ასე ახასიათებდა: *"შრომა, შრომა და შრომა – აი, ესაა ჩემი საიდუმლო. მე ყოველდღიურად უკეთესი სპეციალისტი ვხდები, რადგან არცერთი შეცდომა ყურადღების მიღმა არ მრჩება. ყოველდღე რაღაც ახალს ვპოულობ. მჯერა აგრესიული გუნდების და მიყვარს მათი სათამაშო სტილი. ასეთებს პრესინგის თამაში 90 წუთი შეუძლიათ. მსურს, რომ გულშემატკივრებმა ასეთი სტილის მწვრთნელად აღმიქვან და დამიჯერონ, რომ ჩემი გუნდები მოედანზე ყოველთვის მაქსიმუმს გააკეთებენ."*

სიმართლე ითქვას, აქამდე სიმეონეს სიტყვა და საქმე ერთმანეთს არასდროს დასცილებია. მისი გუნდები ყოველთვის ბოლო წამამდე იბრძვიან. ახალი თაობის მწვრთნელების მსგავსად (მაგალითად **იურგენ კლინსმანიც** გამოდგება) მასაც აქვს ხოლმე ფეხბურთელების დამუხტვის თავისებური, უცნაური მეთოდები. სიმეონემ "ხიმნასიასთან" მატჩის წინ (საქმე აპერტურის ჩემპიონატს ეხება) მთელ გუნდს თავი მოუყარა და **ოლივერ სტოუნის** ფილმი "ნებისმიერ კვირა დღეს" (ლეგენდარული **ალ პაჩინოს** მონაწილეობით) აყურებინა. შედეგი სახეზეა, "სტუდენტებმა" 7:0 მოიგეს.

ფინიშს "ესტუდიანტესი" ფანტასტიკურ ფორმაში შეხვდა, 11 მოგება და ფრე ბოლო 12 მატჩში. ბოლო ტურში გუნდებს ქულათა რაოდენობა გაუთანაბრდათ, რამაც ჩოლოს გუნდს საშუალება მისცა, რომ "ბოკა ხუნიორსთან" ოქროს მატჩში გაერკვია ჩემპიონის ბედი. ღირს კი იმით გაკვირვება, რომ ამ შეხვედრაში სიმეონეს გუნდმა ბრწყინვალე სტილში მოახერხა გამარჯვება? ალბათ არა, რადგან მის ხელქვეითებს შორის ბრწყინვალე შემსრულებლები იყვნენ: **ხუან ლუის კალდერონი, ხუან სებასტიან ვერონი, მარიანო პავონე, ხოსე ერნესტო სოსა, ფერნანდო ორტისი, დიეგო გალვანი** და ასე შემდეგ. გუნდის განსაკუთრებულ საბრძოლო განწყობაზე ისიც მიუთითებს, რომ "ოქროს მატჩში" გუნდის აღიარებულ ლიდერ ხუან ვერონს ახალგაზრდა სოსამ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ჯარიმის დარტყმის საშუალება არ მისცა და ბრწყინვალე სტილში მოახერხა მეკარე **ბობადილიას** დამწუხრება. გადამწყვეტი სიტყვა კი, რა თქმა უნდა, გუნდის მთავარმა ბომბარდირმა პავონემ თქვა, როცა მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე "ოქროს გოლი" გაიტანა. სიმეონემ მატჩის შემდეგ მილოცვები ლამის მთელი მსოფლიოდან მიიღო. ცხელ გულზე ის მოერიდა ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ განაცხადა: *"ამ ეტაპზე სამწვრთნელო საქმიანობიდან მაქსიმალური სიამოვნების მიღებას ვახერხებ, მაგრამ აუცილებლად დადგება დრო, როცა ამ საქმეს რომელიმე ამბიციურ ევროპულ კლუბში მოვკიდებ ხელს. იმედია, ოდესმე ეს კლუბი "ლაციო" იქნება"*.

2007 წლის კლაუსურა გუნდმა უწინდელ დონეზე ველარ ჩაატარა, მაგრამ ამაში მწვრთნელის ბრალი მინიმალური იყო, რადგან კლუბის ხელმძღვანელობამ შემადგენლობის შენარჩუნება ვერ (თუ არ) მოახერხა. "ესტუდიანტესი" დატოვეს სოსამ (მიუნხენის "ბაიერნს მიაშურა) და პავონემ (გადავიდა სევილიურ "ბეტისში"). ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ დიეგოს წასვლის შემდეგ მისი ყოფილი გუნდები ბრწყინვალე სტილში ასპარეზობას აგრძელებენ-თქო. ამის დასტურად კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ. სიმეონეს ახალ კლუბ "რივერ პლეიტს" უკანასკნელ ტურამდე კონკურენციას მხოლოდ "ესტუდიანტესი" უწევდა.

დიახ, დიახ, დიეგომ მიატოვა მისი ხელითვე აღორძინებული კლუბი და ბედი ყველაზე ამბიციურ არგენტინულ კლუბ "რივერ პლეიტს" დაუკავშირა.



დიეგო სიმეონემ ორწლიან სამწვრთნელო კარიერაში მეორე ტიტულს გაუსინჯა გემო

მოთამაშეობისას დიეგო განსაკუთრებული ამბიციურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, როგორც მწვრთნელი, ის საკმაოდ პრეტენზიულია. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ საკმაოდ მოკლე დროის განმავლობაში ჩოლომ უკვე მესამე კლუბი ჩაიბარა და თითოეული წინაზე მეტი შესაძლებლობებითა და ამბიციებით გამოირჩევა. საინტერესოა, რომ მან "რივერში" მისვლისთანავე ხელმძღვანელობას სამი ფეხბურთელის შეძენა მოსთხოვა, ესენი იყვნენ: **ანდრეს დალესანდრო, ფაკუნდო კიროგა, როდრიგო არჩუბი**. სამეულიდან მხოლოდ უკანასკნელის გადმობირება მოხერხდა, მაგრამ მოულოდნელად სიმეონეს ამ ფეხბურთელმა არ გაუმართლა. უკვე სეზონის შუაში არჩუბი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. რაც შეეხება გუნდიდან წამსვლელებს, ახალმა მწვრთნელმა ვერ მოახერხა გუნდის ვარსკვლავების **ფერნანდო ბელუსკისა** და **მარკო რუბენის** შენარჩუნება. ყველაფერთან ერთად, გუნდის ექსთავკაცმა **დანიელ პასარელამ** შიდაგუნდური კონფლიქტების მთელი წყება დაუტოვა მემკვიდრეს. კარგი გუნდს, თითქოს, არაფერი ელოდა.

დიეგო სიმეონეს დიდი ხანი არ უფიქრია და საქმეს შეუდგა. გასახდელში უკვე ჩვეულ კონფლიქტებსა და სკანდალებზე მალე ფიქრი ყველამ დაივიწყა, მათ შორის ცნობილმა დებოშირმა და სპირტიანი სასმელების დიდმა მოტრფიალე **არიელ ორტეგამ**. რაც შეეხება გუნდის თამაშის ხარისხს, სიმართლე ითქვას, მიუხედავად პირველ 9 ტურში დაუმარცხებელი სერიისა, "მილიონარიოსი" არ ბრწყინავდა. სამხრეთი ამერიკისთვის უჩვეულო 4-2-3-1 შედეგს იძლეოდა, მაგრამ არა სანახაობას. აი, რა კომენტარი გააკეთა სიმეონემ სეზონის დასრულების შემდეგ: *"ძნელი სეზონი გვქონდა. საკმარისზე მეტი გაუგებრობები მქონდა ფეხბურთელებთან. მაგალითად, დიეგო ბუონანოტე სულ უკმაყოფილო სახით მიყურებდა. მას არ ესმოდა, რას ველოდი მისგან. არადა, უჩვეულოს არავისგან არაფერს ვითხოვდი. მათგან უნივერსალიზმს ველი, მეტს არაფერს. შეხედეთ გონსალო იგუაინს "რეალში". როცა ის "რივერში" თამაშობდა, გამოკვეთილი ცენტრფორვარდი გახლდათ, ვისაც მხოლოდ შეტევების დაგვირგვინება ევალებოდა, "სანტიაგო ბერნაბეუზე" კი ფლანგზე იყენებენ. ზუსტად ეს ავუხსენი ახალგაზრდა ბუონანოტეს. ხუან პაბლო კარისო უცნაური ბიჭია, მართალია, მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ უჩვეულოდ მძაფრად რეაგირებდა, როცა შეცდომებზე ვუთითებდი. მატიას აბელაირასიც უმთავრესად უკმაყოფილო იყო ხოლმე, როცა მისგან მეტ აგრესიას მოვითხოვდი."*

რაც არ უნდა ილაპარაკონ, სწორედ დიეგო სიმეონეს მუშაობამ აქცია პატარა **ბუონანოტე** ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეულ თავდამსხმელად და ბომბარდირად, სხვათა შორის, "ოლიმპოს" კარში ოქროს დუბლის ავტორი სწორედ ის გახდა. **ხუან კარისო ალფიო ბასილემ** ნაკრებში სწორედ უკანასკნელ ხანს მიიწვია, ხოლო **აბელაირასი** ევროპელმა ჟურნალისტებმა უკვე მონათლეს არგენტინელ პოლ სქოულზად.

ერთ-ერთი თამაშის შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ახალგაზრდობა გაიხსენა და საკუთარ ფეხბურთელებთან ერთად მცირე შეხლა-შემოხლაში მიიღო მონაწილეობა. *"რატომ გავაკეთე ეს? მისმინეთ, ჩვენ უბრალოდ მოდური ტიპები ვართ ახალთახალ ფეხსაცმელებში. მე მთელი ვნებით ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ამ წუთას მაბარია და ჩემი ბიჭების გვერდით ვიქნები ყოველთვის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ "მილიონარიოსში" ბიჭებს კვერცხები გვაქვს,"* – ასეთი განცხადების შემდეგ კიდევ ვინმე ფიქრობს, რომ "რივერ პლეიტი" პირველის გარდა რომელიმე ადგილს შეეგუებოდა?

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ჭიდაობა

# შვიდი მედალი ოქროს დიდი პრიზიდან, მაგრამ არა ოქრო

## ბედინაძე ქართველმავე დაამარცხა




გუშინ აზერბაიჯანის დედაქალაქში დაიწყო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირი, რომელსაც ამავდროულად **ჰეიდარ ალიევის** მემორიალი ეწოდება. ტურნირი ზუსტად იმ დარბაზში იმართება, სადაც შარშან მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. როგორც შარშან, წლეულსაც საზეიმო გახსნას FILA-ს შვეიცარიელი პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი** დაესწრო. „ოქროს დიდ პრიზზე" ფალავნები კვოტებით ხვდებიან, თუმცა მცირე ტრავმების გამო **ბეგი დარჩიამ,** საქართველოს ნაკრების თავკაცმა, სიფრთხილე გამოიჩინა და ოლიმპიელები **ბადრი ხასაია** და **რამაზ ნოზაძე** ბაქოში არ წაიყვანა. ამათ გარდა, ექვს ჩვენებურს ჰქონდა მოპოვებული ბაქოს საგზური, მათ შორის სამ ოლიმპიელს: **დავით ბედინაძეს, ლაშა გოგიტაძეს** და **მანუჩარ კვირკველიას**, თუმცა აზერბაიჯანელებმა კეთილი ნება გამოიჩინეს და კიდევ ხუთ ქართველ ფალავანს მისცეს ალიევის მემორიალზე ძალების მოსინჯვის საშუალება. ასე რომ, სომხური წახკაძორის შეკრებიდან დაბრუნებული ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ნაკრები 11-სპორტსმენიანი ამალით ჩავიდა ბაქოში.

ჩვენებმა კარგად იჭიდავეს, 11-დან 7-მა სპორტსმენმა მედალი მოიპოვა, 4 ვერცხლის და 3 ბრინჯაოსი. ვერცხლისმედალოსნები გახდნენ: **ლაშა გოგიტაძე** (55); მანუჩარ კვირკველია (74); **დავით ქარჩავა** (84 კგ.) და **გურამ ფერსელიძე** (120). ბრინჯაო მოიპოვეს: **რევაზ ლაშხმა** (60); **მუხრან მაჭუტაძემ** (66) და **შმაგი გულიაშვილმა** (74). ყველაზე მოულოდნელი მსოფლიო ჩემპიონ **დავით ბედინაძის** უმედლოდ დარჩენა იყო.

**55 კგ.** წონით კატეგორიაში ლაშა გოგიტაძე და **გიორგი გვენეტაძე** მონაწილეობდნენ. გვენეტაძე უმალვე დამარცხდა, მას აზერბაიჯანელმა **ქადირ სულეიმანოვმა** მოუგო სამ პერიოდში. გოგიტაძემ კი **ნატიკ ასლანოვი** (აზერბაიჯანი) დაამარცხა – ორ პერიოდში (1:1, 2:1), მეორე წრეში მან რუს **ჩერნოკუსტოვს** მოუგო – 3:0, 1:1. ნახევარფინალში ჩვენებური **მარატ გარიპოვს** დაუპირისპირდა. ქართველი ყაზახ მოჭიდავესაც გაუსწორდა, უბრალოდ ამისთვის სამი პერიოდი დასჭირდა. „ოქროს დიდი პრიზის" ფინალში ლაშას მეტოქე ადგილობრივი პირველი ნომერი **როვშან ბაირამოვი** იყო. სამწუხაროდ, მასპინძლის უპირატესობა აშკარა გამოდგა – 1:6, 0:4. ამ წონაში გოგიტაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო გვენეტაძე მე-13 ადგილზე გავიდა. ლაშასთვის ბრწყინვალე შედეგია, მით უფრო, რომ ტურნირის წინ ბეგი დარჩიამ განაცხადა, რომ მთავარია ამ ტურნირზე ოლიმპიადის მონაწილე ქართველმა ფალავნებმა პეკინამდე სატურნირო გამოცდილება მიიღონ, შედეგს მნიშვნელობა არა აქვსო.

**60 კილოში** მსოფლიო ჩემპიონი დავით ბედინაძე და რევაზ ლაშხი გამოდიოდნენ. ბედინაძე პირველ წრეში ეგვიპტელ **აბდელმანამ საიედს** შეხვდა და მოუგო – 1:1, 0:5, 5:0. ლაშხმა უნგრელი **ედე კომარომი** ძალიან იოლად დაამარცხა – 5:0, 6:0. მეორე წრეში ჩვენთვის მეტად საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა, ბედინაძე – ლაშხის წინააღმდეგ, რომელიც სენსაციურად დასრულდა. ორივე პერიოდში ლაშხმა ბოლოს აილო ქულები. ასე რომ, 1:1, 1:1 ამ შემთხვევაში მის სასარგებლოდაა. ნახევარფინალში ლაშხი აზერბაიჯანელთა პირველ ნომერ **ფუად ალიევს** გადაეყარა, მოიგო მასპინძელმა, პირველი პერიოდი ლაშხმა თავის სასარგებლოდ დაასრულა 2:1, მეორეში კი სულ ბოლოს გაეპარა ერთქულიანი ილეთი – 2:1, 1:1, 1:2. რევაზ ლაშხმა ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში პოლონელი **კრამარზ პაველი** დაამარცხა – 2:0, 7:0. საბოლოოდ რევაზ ლაშხის ბრინჯაო ბრწყინვალე შედეგია, ბედინაძე კი მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა.

**66 კგ** წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას მუხრან მაჭუტაძე იცავდა. მუხრანმა ჯერ თურქი **ერქან ულვანი** დაამარცხა სამ პერიოდში (3:0, 1:6, 1:1), შემდეგ – მასპინძელი **ელბრუს მამადოვი** ორ პერიოდში – 3:3, 1:1. აი, მეორე აზერბაიჯანელის, მსოფლიო ჩემპიონის **ფარიდ მანსუროვის** ძლევა მან უკვე ველარ შეძლო, არადა ძალზე გაუძალიანდა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მაჭუტაძემ უზბეკი **ფირდავს რაჯაბოვი** დაამარცხა – 3:0, 3:0.

**74 კილოში** ქართველთა კიდევ ერთი იმედი პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მანუჩარ კვირკველია და შმაგი გულიაშვილი ჭიდაობდნენ. კვირკველია პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში ის იოლად მოერია პოლონელ **ლუკაშ ფაფინსკის** – 4:0, 3:0. პირველ წრეში ისვენებდა გულიაშვილიც, მეორეში მან აზერბაიჯანელ ფალავანს, **ვუგარ გარაევს** აჯობა – 2:1, 6:0. ასე ვიხილეთ ქართული ნახევარფინალი, რომელიც უფრო სახელოვანმა კვირკველიამ მოიგო, თუმცა პირველი პერიოდი პირწმინდად დათმო – 0:3. საბოლოოდ, პერიოდებით 2:1 იმარჯვა მანუჩარმა და „ოქროს დიდი პრიზის" ფინალში გავიდა. ფინალში კი იგი აზერბაიჯანელ **ილგარ აბდულოვთან** დამარცხდა – 0:3, 1:3. შმაგი გულიაშვილმა კი პოლონელი ფაფინსკი დაამარცხა (1:1, 6:0) და ბრინჯაოს მედალი მოიგო.

**84 კგ** წონით კატეგორიაში სულ შვიდი მონაწილე იყო. აღსანიშნავია, რომ აქედან სამი ქართველი იყო, ორნი საქართველოს სახელით გამოდიოდნენ: **ვლადიმერ გეგეშიძე** და დავით ქარჩავა, ერთიც აზერბაიჯანის ღირსებას იცავდა – **შალვა გადაბაძე**. ქარჩავამ პოლ[illegible] **სრედერ სევერინს** და რუმინელ **პაველ ბურლას** მოუგო და ფინალში გავიდა, ხოლო გეგეშიძე ეგრევე დამარცხდა თურქ **მუჰამეთ იუსედაგთან**. ფინალში ბადის მეორე მხრიდან „აზერბაიჯანელ" გადაბაძეს, არც ფინალში გასჭირვებია ქარჩავასთან – 2:0, 3:0. ქარჩავა ვერცხლს დასჯერდა, რაც უდავოდ კარგი შედეგია, ხოლო გეგეშიძე ბოლო, მე-7 ადგილზე გავიდა.

**რამაზ ნოზაძის** წონაში **გენადი ხელიამ** იჭიდავა, მაგრამ წარუმატებლად. მან პირველ რაუნდში ფინელ **იონე იოკელასთან** წააგო – 1:2, 2:4. საბოლოოდ ხელია მეექვსე ადგილს დასჯერდა.

120 კგ წონით კატეგორიაში გურამ ფერსელიძეს არ გასჭირვებია აზერბაიჯანელი **კალალ ბაჰადუროვის** დამარცხება – 6:0, 4:0. შემდეგ მან პოლონელ **ბენაკ ლუკაშსაც** მოუგო სამ პერიოდში. ამით ფერსელიძე ფინალში გავიდა, სადაც თურქ **რიზა კაიალპთან** წააგო – 3:4, 0:5. ფერსელიძემ ნაკრებს მორიგი ვერცხლი შესძინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.**
„ოქროს დიდი პრიზი". 27 ივნისი, ბაქო.

**55 კგ.**
1. როვშან ბაირამოვი (აზერბაიჯანი)
2. ლაშა გოგიტაძე (საქართველო)
3. ნატიგ ბაგიროვი (აზერბაიჯანი)
3. მარატ გარიპოვი (ყაზახეთი)
..13. გიორგი გვენეტაძე (საქართ.)

**60 კგ.**
1. ფუად ალიევი (აზერბაიჯანი)
2. ვიტალი რაჰიმოვი (აზერბაიჯანი)
3. რევაზ ლაშხი (საქართველო)
3. დილშოდ არიპოვი (უზბეკეთი)
..7. დავით ბედინაძე (საქართველო)

**66 კგ.**
1. ტამაშ ლორინცი (უნგრეთი)
2. ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი)
3. მუხრან მაჭუტაძე (საქართველო)
3. უსამადინ რაჯაბოვი (უზბეკეთი)

**74 კგ.**
1. ილგარ აბდულოვი (აზერბაიჯანი)
2. მანუჩარ კვირკველია (საქართველო)
3. შმაგი გულიაშვილი (საქართველო)
3. ცუკასა ცურუმაკი (იაპონია)

**84 კგ.**
1. შალვა გადაბაძე (აზერბაიჯანი)
2. დავით ქარჩავა (საქართველო)
3. მუჰამეთ იუსედაგი (თურქეთი)
3. სერდერ სევერინი (პოლონეთი)
..7. ვლადიმერ გეგეშიძე (საქართველო)

**96 კგ.**
1. ვირაგ ლაიოში (უნგრეთი)
2. ოლეგ კრიოკა (უკრაინა)
3. იონე იოკელა (ფინეთი)
3. ანდრჟეი დებერნი (პოლონეთი)
..6. გენადი ხელია

**120 კგ.**
1. რიზა კაიალპი (თურქეთი)
2. გურამ ფერსელიძე (საქართველო)
3. ბანაკ ლუკაში (პოლონეთი)
3. ატილა გიუზელი (თურქეთი)

ჭადრაკი

# ვინ დაალაგებს საჭადრაკო დაფას?



საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში, წლებია ურთიერთდაპირისპირება და ქიშპია, - ორ, სამ და შესაძლოა, მეტ ბანაკად დაყოფილი უფროსუმცროსი თაობის მოჭადრაკეები ერთმანეთს სიტყვას, საქმეს და კვალიფიკაციას უწუნებენ. ამათ ბრძოლაში ქართული ჭადრაკი უკან და უკან მიექანება და რომ არ ვთქვათ მსოფლიო ჭადრაკში დაკარგული პოზიციების შესახებ, შიდა მეურნეობაც თავზე გვემხობა. სულაც არ არის გამორიცხული, რომ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თბილისის ჭადრაკის სასახლეც ნანგრევებად იქცეს...

ვითარება რომ გამოსწორებადია, ქართული საჭადრაკო თემი ერთხმად აღიარებს; აი, მოსაგვარებელი გზები კი განსხვავებული აქვთ და ამადაც მოიისურვა რამდენიმე ადამიანმა ქართული ჭადრაკის მესაჭეობა ეკისრა. თავიდან პრეზიდენტობის კანდიდატი ხუთი იყო: დიდოსტატები: **მაია ჩიბურდანიძე, გია გოგაძე, ლევან ფანცულაია, თამარ ხმიადაშვილი** და ჭადრაკის ფედერაციის რეიტინგოფიცერი **ვარლამ ვეფხვიშვილი.** შუა დისტანციიდან გვერდზე გასვლა სამმა ისურვა: მაია ჩიბურდანიძემ, თამარ ხმიადაშვილმა და ვარლამ ვეფხვიშვილმა საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს. ჭადრაკის ფედერაციის ყრილობა ხვალ, 29 ივნისს გაიმართება. მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ ყრილობა რიგგარეშეა.

ყრილობის მომზადებისთვის, ერთი თვის წინათ, სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელიც ხუთი კაცისგან შედგებოდა და დიდოსტატი **თამაზ გიორგაძე** ხელმძღვანელობდა.

კომისიამ გუშინ დაადგინა დღის წესრიგი, დელეგატთა სია; ხმის დამთვლელი კომისიის წევრთა ვინაობა. ასევე ცნობილია, თუ ვინ იმუშავებს სამდივნოში და სამანდატო კომისიაში. მათი ჩამოთვლისგან დღეს თავს შევიკავებთ, თუმცა საპატიო სტუმართა სიას კი გაგაცნობთ: **ბეჟან ხურციძე, ალბერტ ინდუაშვილი** და **გელა ებრალიძე.**

დღის წესრიგში სამი საკითხია შეტანილი: 1. ყრილობებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელსაც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ხმიადაშვილი წარადგენს; 2. ინფორმაცია - რიგგარეშე ყრილობის მოწვევის აუცილებლობის შესახებ. მომხსენებელი: ყრილობის მოსამზადებელი ჯგუფის ხელმძღვანელი თამაზ გიორგაძე; 3. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

საკითხთა რაოდენობა ბევრი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მოჭადრაკეთა ტრადიციულ "სიყვარულს" - თავგამოდებით ამტკიცონ საკუთარი პოზიციის მართებულობა და სიურპრიზებითაც კი გაგვანებივრონ, არ არის გამორიცხული, რომ ყრილობაზე მეტისმეტად "ჩამოცხეს". შესაბამისად, ყრილობამ, შესაძლოა, დიდხანს გასტანოს. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს და გამარჯვებულმაც და დამარცხებულმა მხარემაც ერთმანეთს ხელი გაუწოდონ და საერთო საქმისთვის - ქართული ჭადრაკის აღორძინებისთვის ურთიერთშეთანხმებით ილვაწონ.

**ზვიად შათირიშვილი**

# პირველი ძაგნიძის გუნდია

თურქულ ლიგაში ორი ტურიც გათამაშდა და ოთხი ლიდერიდან ორიღა დარჩა. წინ კიდევ 9 ტურია და ვითარების შეცვლა მოსალოდნელია, მაგრამ ისე ჩანს, რომ ქალაქ ადანას გუნდი - "ტრუვა სატრანქ სფორი", რომელშიც ქართველი **ნანა ძაგნიძე** ირიცხება უპირველესი ფავორიტი იქნება. ამ გუნდმა უდანაკარგო სვლა განაგრძო, თუმცა ქართველის შედეგიანობა უფრო გამოსარჩევია - ექვსიდან ექვსი შეხვედრა მოიგო, აქედან სამში თანამემამულე დიდოსტატ ქალბატონებს აჯობა: ჯერ **სოფიო გვეტაძეს** მოუგო, შემდეგ **ანა მათნაძეს** და მეექვსე ტურში **ნინო ხურციძეც** დაამარცხა.

ძაგნიძის გუნდს მარტო არ ტოვებს "დორუკ კოლეჯი" - მათაც ექვსი მოგება აქვთ. ამ გუნდში ქართველი არ თამაშობს. "დორეკ კოლეჯმა" მეხუთე ტურში **დავით არუთინიანის, თორნიკე სანიკიძისა** და **მაია ლომინეიშვილის** გუნდი - "სერვერგაზი" დაამარცხა - 7:3 და ასე ჩამოიცილეს ერთ-ერთი კონკურენტი.

"სერვეგაზს" ათი ქულა აქვს და მეხუთეზეა. მესამეზეა **მერაბ გაგუნაშვილის** "თურქჰავა იოლარი" - მასაც 10 ქულა აქვს. სამწუხაროდ, დანარჩენი "ქართული" გუნდები შედეგიანობით ჯერ ვერ გამოირჩევიან და ცხრილის მეორე ნახევარში არიან. შემადგენლობით ისინი სხვებს ბევრით არ ჩამორჩებიან და ალბათ დარჩენილ ტურში გამოაკეთებენ სატურნირო მდგომარეობას.

**ზვიად შათირიშვილი**



დავით არუთინიანი (მარჯვნივ)

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# გეორ-გიამ ჯგუფური ეტაპი დაძლია

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მიმდინარე "დიდი სლემის" გათამაშებაში პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** ჯგუფური ეტაპი დაძლია და დღეს მერვედფინალში გასასვლელ შეხვედრაში ითამაშებს.

ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე დანიელები **სოდერბერგი** და **ჰოიერი** იყვნენ. გეორ-გიამ ძალების მაქსიმალურად მობილიზება შეძლო და მოწინააღმდეგეს იოლად სძლია 21:13, 21:17. შედეგად გეორ-გია M ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა და მის მორიგ მოწინააღმდეგეს კენჭისყრა გამოავლენს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები პირდაპირ მერვედფინალში გადიან. მეორე და მესამე ადგილზე გასულებმა კი იქ თამაშის უფლებას ერთმანეთთან შეხვედრებში უნდა მოიპოვონ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატი. ანონსი

**29 ივნისი. VI ტური**

| | | |
|---|---|---|
| 17.00 | ლელო-არმაზი | სინათლე |
| 19.00 | ყოჩები-აია | ლოკომოტივი |
| 19.00 | აკადემია-დინამო | შევარდენი |
| 19.00 | ლოკომოტივი-უნივერსიტეტი | სინათლე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოსნობა)

# მდინარიდან ცეცხლის ხაზზე



თურქეთის ქალაქ კასტამონას საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს მშვილდოსანმა ქალებმა (**ხათუნა ნარიმანიძე, თამუნა ჯანიაშვილი, ლელა თოფურია, ასმათ დიასამიძე**) გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ვაჟთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში **თამაზ ფუტკარაძეც** გამოდიოდა, მეორე ადგილს დასჯერდა. ჩუბინები ბათუმში რომ დაბრუნდნენ, თამაზმა ხათუნას სთხოვა - თბილისში ნულარ ნახვალ, ჩემთან დარჩიო.

- ფაქტობრივად, ცოლად გაყოლა შემომთავაზა, - ღიმილით იხსენებს ხათუნა ნარიმანიძე. - ოთხი წელიწადი ვეხუმრებოდით ერთმანეთს - დღეს რა დროსია, ხვალისთვის იყოსო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა თურმე სერიოზული გამხდარა. ეს წინადადებაც არ ჰგავდა უწინდელ მასხრობას... დავთანხმდი... ღამის სამ საათზე მშობლები ჩამოვიდნენ თბილისიდან. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ეს მოხდა 1994 წელს. დღეს - თამაზ ფუტკარაძე საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია, ხათუნა ნარიმანიძე კი - ქვეყნის უპირველესი ჩუბინი, რომელმაც შარშან მსოფლიო ჩემპიონატზე ოლიმპიური თამაშების საგზური მესამედ დაიმსახურა.

გერმანიის ქალაქ ლაიფციგში უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რადგან ეს შეჯიბრება სალიცენზიოც იყო. ნარიმანიძეს საკვალიფიკაციო ეტაპზე 1309 ქულით 36-ე ადგილი ერგო და პლეი ოფში ჩაერთო. პირველ წრეში ბელგიელი **სილვია გეისკენსის** დასამარცხებლად დამატებითი სერია დასჭირდა. მერე უფრო იოლად ჩამოიშორა გზიდან იტალიელი **პია კარმენ ლიონეტი**, საკვალიფიკაციოში მეოთხე ადგილზე გასული იაპონელი **ნამი ჰაიაკავა**, ფრანგი **სოფი დედომონტი** და კვარცხლბეკსაც მიუახლოვდა, მაგრამ მეოთხედფინალში ამერიკელი **ჯენიფერ მიკლოში** გადაეღობა. დაძაბულ პაექრობაში ხათუნამ 103:107 დათმო შეხვედრა და საბოლოოდ, მეხუთე ადგილზე გავიდა. ეს იყო დიდი გამარჯვება ქართველი მშვილდოსნისა, რომლის სპორტული კარიერა ნიჩბოსნობით დაიწყო.

- მამაჩემი მოკრივე გახლდათ, ძმა კი - ძიუდოში სპორტის ოსტატი და საქართველოს ჩემპიონი. ამის მიუხედავად, ბავშვობაში სპორტზე არასდროს მიფიქრია, - მითხრა ხათუნამ. - 15 წლისამ (დაიბადა 1974 წლის 2 თებერვალს, თბილისში), კლასელების მიბაძვით, გასახდომად ცურვაზე დავიწყე სიარული. თურმე ის აუზი ყმაწვილებს ნიჩბოსნობისთვის ამზადებდა. ეს რომ მამამ გაიგო, თვითონ მიმიყვანა ნიჩბოსნობის ბაზაზე, სადაც დედაჩემის ბიძაშვილი **ჯემალ ნათელაშვილი** ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ყოფილა. მან კი ჩემი თავი **ჯემალ ნანიკაშვილს** ჩააბარა. სპორტის ეს სახეობა ძალიან მომეწონა და მონდომებით დავიწყე ვარჯიში. ერთ წელიწადში ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი გავხდი. მერე ზაპოროჟიეში ოთხადგილიანი ნავით საკავშირო პირველობაზე ვიასპარეზე.

**- საგულისხმო დებიუტი გქონიათ. რატომ უღალატეთ "პირველ სიყვარულს"?**

- სამწუხაროდ, მდგომარეობამ მაიძულა. 1991 წლის მარტში ბაზაზე საქართველოს ტელევიზიიდან გვესტუმრნენ - ჩემპიონები უნდა გადავიღოთო. მდინარეზე ნავი რომ შევაცურეთ, შემთხვევით ფეხი დამიცდა და მტკვარში ჩავვარდი. ცურვა კი ვიცოდი, მაგრამ ასე მოულოდნელად ცივ მდინარეში რომ აღმოვჩნდი, წყალი საკმაოდ ვყლაპე, რაც ჩემთვის სავალალო გამოდგა - "ბოტკინი" დამემართა და ექიმებმა ნიჩბოსნობაში ვარჯიში ამიკრძალეს. მე კი სპორტის მიტოვება არ მინდოდა. ნაცნობობით მშვილდოსნობაში აღმოვჩნდი.

ჩვიდმეტი წელიწადია, ხათუნა მშვილდითა და ისრით ცეცხლის ხაზზე დგას. თავიდან **ვასილი ტროპინი** და **გია მაკიევი** ავარჯიშებდნენ. 1995 წლიდან თამაზ ფუტკარაძესთან იმაღლებს ოსტატობას. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა საერთაშორისო ტურნირებზეც არაერთხელ ისახელა თავი: ანტალიის "გრან-პრის" გამარჯვებული და თურქეთის ღია ჩემპიონატების პრიზიორია. 2000 და 2004 წლებში სიდნეისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა. ერთხელ, ევროპის გუნდურ ზამთრის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა. შედეგები, ალბათ, უკეთესიც ექნებოდა, მაგრამ ქართველ ჩუბინს მრავალმა გარემოებამ შეუშალა ხელი. ჯერ იყო და, მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მერე ძმა დაეღუპა. სპორტისთვის თავის დანებებაც უნდოდა, მაგრამ ახლობლებისა და მეგობრების თანადგომით კვლავ დაუბრუნდა სასროლეთს.

წლევანდელი ოლიმპიური თამაშებისთვის ნაყოფიერად ემზადება ხათუნა ნარიმანიძე. რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში იასპარეზა. მათ შორის - ევროპის ჩემპიონატსა და მსოფლიო თასის ეტაპებზე. ირანის საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა. ახლახან საფრანგეთში უძლიერეს ჩუბინებთან პაექრობისას პლეი ოფში ფრანგ **ვირჟინ არნოლდს**, ბრიტანელ **ნაომი ფოლკარდის**, მონგოლ **ბიშინდე ურანთუნგალაგს** სძლია, მეოთხედფინალში თავადაც დამარცხდა კორეელ სუნ-ჰიუნ პარკთან და საბოლოოდ, მერვე ადგილს დასჯერდა. ყოველივე ზემოაღნიშნული იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ხათუნასგან პეკინში წარმატებას უნდა ველოდოთ.

ვაჟა დანელია

---

კალათბურთი. ინტერვიუ მიხეილ კოზეშავიძესთან

# მზადება დაწყებულია...

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ მიხეილ კოზეშავიძესთან, რომელიც, ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.**

**- ბატონო მიხეილ, პირველ რიგში, ხართ თუ არა კმაყოფილი ჩვენი ნაკრების ფიზიკური კონდიციებით?**

- კმაყოფილი ვერ ვიქნები და ამ ეტაპზე გუნდი იდეალურ ფიზიკურ კონდიციებს ვერც აღიდგენს. მე ჩემი გეგმა მაქვს, რომლის მიხედვითაც გუნდი საუკეთესო კონდიციებში ევროპის ჩემპიონატისთვის, ანუ ივლისის ბოლოსკენ უნდა იყოს. ფიზმომზადებაზე ნაკრების მოთამაშეებთან მუშაობს გამოცდილი სპეციალისტი ავთო ბერიძე, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი ვარჯიშებით ცდილობს, გააუმჯობესოს ბიჭების მზადყოფნა.

**- ნაკრების დამრტყმელ, ძირითად ბირთვს ალბათ, ლეგიონერები წარმოადგენენ.**

- კი, ასეა. ნაკრებში მაღალი კლასის შემსრულებლები გვყავს, თუმცა მათგან სამი, ანუ კოკა ტომარაძე, თორნიკე შენგელია და გიორგი შარაბიძე ამჟამად ნაკრებთან ერთად არ არიან და გუნდს ივლისის დასაწყისში შეუერთდებიან. გუნდშია ნიკა მეტრეველი, რომელიც კოჭს იტკიებს, თუმცა სერიოზული არაფერია და მან ევროპის ჩემპიონატისთვის სრულ მზადყოფნაში ჩადგომა უნდა მოახერხოს.

**- ტომარაძე და შენგელია ალბათ, სასტარტო ხუთეულის წევრებად მოიაზრებიან.**

- მოდით, ასე ვთქვათ, ისინი ნაკრების წამყვანი მოთამაშეები უნდა იყვნენ, ხოლო სასტარტოსი თუ სათადარიგოსი, ამას ეტაპობრივად გადავწყვეტ.

**- გუნდის კაპიტანი ვინ იქნება?**

- გუნდი ჯერ მთლიანად შეიკრიბოს, შემდეგ ბიჭები ფარული წილისყრით აირჩევენ კაპიტანს და ალბათ, სამართლიანიც ასე იქნება კაპიტნის სერჩევა.

**- თუ გყავთ გამოკვეთილი ლიდერი გამთამაშებლის პოზიციაზე?**

- არა, ამაზეც საკმაოდ ადრეა საუბარი. გვყავს სამი გამოკვეთილი პლეიმეიქერი ალეკო ძიძიგური, ტარიელ თავართქილაძე და გიორგი ნანიტაშვილი, რომლებიც მაქსიმალურად იხარჯებიან ვარჯიშებზე და ვინც საუკეთესოდ იქნება მომზადებული, უპირატესობასაც მას მივანიჭებ.

**- გუნდში არიან სუპერლიგის მოთამაშეები – იგივე ძიძიგური, ნანიტაშვილი, აკაკი დვალიშვილი და დავით მაისურაძე. დამქანცველი სეზონის შემდეგ, ისინი გადაღლილები ხომ არ არიან?**

- არა, ნორმალურად არიან. თანაც, თქვენს მიერ ჩამოთვლილი მოთამაშეებიდან დიდი სათამაშო დრო მაისურაძის გარდა თითქმის არავის ეძლეოდა. მაისურაძის გუნდიც, "დინამოც" პლეი ოფში ვერ გავიდა და აქედან გამომდინარე, ოთხივე მოთამაშეს ძალების აღდგენის დიდი დრო ჰქონდა და ექნება კიდეც, ხოლო თუ როგორ გამოიჩენენ ისინი თავს სხვა კომპონენტებში, ეს მხოლოდ და მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული.

**- გყავთ საკმაოდ ბევრი მაღალი მოთამაშეც.**

- კი, კარგი მაღლები გვყავს. მეტრეველი, შარაბიძე, გიორგი ჯგერენაია, მაისურაძე, რომლებიც არა მარტო სამწამიანში უნდა იდგნენ, არამედ პერიმეტრზეც ადიოდნენ და იქიდან უტევდნენ კალათს. საერთოდ, უნივერსალიზმის გარეშე, ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება წარმატების მოპოვება. გამონაკლისი არც ეს ასაკი და საქართველოს ნაკრებია. რაც უფრო მრავალმხრივია მოთამაშე, მით უფრო სახიფათოა მეტოქისთვის და მწვრთნელებსაც ვარირების მეტი საშუალება ეძლევა. ასე რომ, უნივერსალიზმს ვნერგავთ.

**- ევროპის ჩემპიონატის მეტოქეებზე რას გვეტყვით?**

- სამწუხაროდ, ინფორმაცია მხოლოდ ფინეთის ნაკრებზე გამაჩნია, ხოლო უნგრეთზე, სლოვაკეთსა და დანიაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. ფინელები დაახლოებით ისეთივე კალათბურთს თამაშობენ, როგორც მათი დიდი თანამემამულეები, ანუ მჭიდრო პრესინგი მთელ მოედანზე, ძალიან კარგი პერიმეტრული შეტევა, ხისტი დაცვა და საერთოდაც, კარგი დაცვა. ეს გუნდი საკმაოდ რთული დასამარცხებელი იქნება, თუმცა ჩვენ მაინც ჩვენსას ვეცდებით და მიზანიც ხომ ესაა, ნაკრები ერთი დივიზიონით მაღლა გადავიდეს, რისთვისაც ორ საუკეთესო გუნდში შესვლა იქნება საჭირო.

**- უნგრეთი მასპინძელია და ესეც არ უნდა იყოს უმნიშვნელო ფაქტორი.**

- კი, თავისთავად, ასეც იქნება. ვერ გეტყვით, რამდენად იქნებიან უნგრელები დამადლიერებულნი მსაჯებისგან, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ამ გუნდს საკუთარი გულშემატკივრის წინ უწევს გამოსვლა და მხოლოდ ეს ფაქტორი, მათ უდიდეს უპირატესობას მიანიჭებს.



ვაჟა სიმონიშვილი

---

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები

# მეორე გამარჯვება ოცქულიანი ჰანდიკაპით




გუშინ, საღამოს 6 საათზე "დინამოს" დილმის ბაზაზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა უკრაინელ თანატოლებს უმასპინძლა. შეხვედრის შედეგი ნამდვილად სასიამოვნოა – 81:61 ქართველთა სასარგებლოდ. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი 25 ივლისს იწყება და მანამდე მოსამზადებლად გუნდებს დიდი დრო აქვთ. შესაბამისად, უკრაინის ნაკრებიც ერთ თვეში ასე იოლად დასამარცხებელი აღარ იქნება.

მატჩის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, უკრაინელები ბოლომდე ბრძოლობდნენ და ასე უძალიანდებოდნენ შედარებით მაღალი შემსრულებლებით დაკომპლექტებულ მასპინძლებს. ეს სიტყვები გაბუქებული ნამდვილად არაა. თავად განსაჯეთ:

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში **გიორგი ჯგერენაია** ამერიკის სკოლების ლიგიდან ჩამოვიდა, **კოკა ტომარაძე** ესპანეთის "ბარსელონადან", ხოლო **ნიკა მეტრეველი** იტალიის "მონტეპასკიდან". ეს უკანასკნელი იტალიურ კალათბურთში იგივეა, რაც ფეხბურთში "მილანი". მეტსაც გეტყვით, ესპანური "არონადან" და "ვალენსიადან" **გიორგი შარაბიძე** და **თორნიკე შენგელია** ნაკრებს უახლოეს დღეებში შეუერთდებიან. იცით, ყველაზე საინტერესო რა არის? – ჭაბუკთა გუნდში ლეგიონერებს ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან ადგილობრივები. ასე რომ, უკრაინის ნაკრებთან მეორე მატჩმა იმედით აგვავსო. აკი თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კოკა ტომარაძემ – კარგი გუნდი გვყავს და ზედა ეშელონში მოხვედრაზე ფიქრი რეალურიაო.

უკრაინელთა მწვრთნელმა **ოლეგ რუბინმა** ხაზი გაუსვა მისი გუნდის უსუსურ თამაშს და აღნიშნა: ქართველებს ეტყობათ, რომ ნაკრების მაისურის მორგება დიდ რამედ ულირთ, ისე თავგანწირვით თამაშობდნენო.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მატჩის ოქმსაც გაეცნოს.

ვაჟა სიმონიშვილი

**საქართველო–უკრაინა 81:61**

23:19, 19:20, 25:7, 14:15

საქართველო: **ჩაჩიბაია** (12), **მეტრეველი** (20), **თავართქილაძე** (2), **ჩიკვილაძე** (15), **ტომარაძე** (18), **ჯგერენაია** (7), **მაისურაძე** (2), **ძიძიგური** (2), **ნანიტაშვილი** (3)

---

**საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში ცნობილი ფალავანი, შემდეგში სამბოს გამოჩენილ ოსტატთა, მათ შორის მირიან პავლიაშვ[illegible]ლმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,**

**ზაურ პავლიაშვილი**

**და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი. საპრეზიდენტო არჩევნები

# ზურაბ კაკაბაძე ისევ განზე გადგა

## ზაურ ცხადაძე ხვალ მწვანე შუქზე გაივლის

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ხვალ,12 საათზე, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს გამართავს.

შეგახსენებთ, რომ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მამუკა სხიერელმა** შარშან, ზაფხულში, ვადამდე დატოვა თანამდებობა, რის გამოც ოფიციალურ არჩევნებამდე დარჩენილ ერთ წელიწადში, დროებით, **თამაზ თევზაძე** აირჩიეს. თუმცა, თევზაძეც მალევე გადადგა და ხვალ პრეზიდენტს, კვლავ დროებით, 3-თვიანი პერიოდით აირჩევენ. ოფიციალური ვადით განსაზღვრული არჩევნები კი პეკინის ოლიმპიადის შემდეგ, შემოდგომით გაიმართება, სადაც ახალ პრეზიდენტს უკვე 4-წლიანი ვადით დაამტკიცებენ. თუმცა, აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხვალ არჩეულ პრეზიდენტს შემოდგომით უმტკივნეულოდ გაუგრძელებს ყრილობა მანდატს 4 წლით...

ხვალინდელ არჩევნებზე განაცხადი ორ კანდიდატს ჰქონდა შეტანილი - ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **ზურაბ კაკაბაძესა** და ვეტერან ხელბურთელსა და მკლავჭიდელს - კომპანია "თეგეტა მოტორსის" ერთ-ერთ დამფუძნებელს **ზაურ ცხადაძეს.**

როგორც ამას წინათ გაცნობეთ, ცხადაძე ხელისუფლების კანდიდატია, რაც საქართველოში არჩევნების მოგების ლამის 100-პროცენტიანი გარანტიაა. იქვე ისიც ვივარაუდეთ, რომ კაკაბაძე წინა არჩევნების მსგავსად, კვლავ განზე გადგებოდა და საკუთარ კანდიდატურას მოხსნიდა.



ზაურ ცხადაძე

გუშინ, ჩვენი ვარაუდი თავად კაკაბაძემ დაგვიდასტურა:

*"როგორც იცით, პრეზიდენტის კანდიდატად წარმადგინა სტუ-"თელავმა". რა თქმა უნდა, სტუ-ს დიდ პატივს ვცემ და მისი ხელმძღვანელობის მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ რაკილა ქართული ხელბურთის სამყარომ გადაწყვიტა, რომ ზაურ ცხადაძეს უჭერს მხარს, ჩემი კანდიდატურა მოვხსენი. ასეთ გადაწყვეტილებაში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ ცხადაძეს ხელისუფლება უჭერს მხარს და ქართულ ხელბურთს მაქსიმალურად მხარში ამოდგომის გარანტიას აძლევს. თავად ზაურიც ჩემი მეგობარია. იგი პირობას დებს, რომ ქართულ ხელბურთს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემა - უფულობა აღარ შეაწუხებს. თუკი ხელისუფლება და ცხადაძე ამის გაკეთებას მოახერხებენ, მე ხელბურთის მტერი კი არ ვარ, რომ მათ შევებრძოლო. სწორედ ქართული ხელბურთის წინსვლის სურვილმა გადამაწყვეტინა, რომ პრეზიდენტობაზე მეყარა კენჭი და თუკი ამას ვინმე ჩემზე უკეთ გააკეთებს, მას აუცილებლად ყველანაირად მხარში ამოვუდგები"*, - გვითხრა კაკაბაძემ.

მოკლედ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ყველაფერი აქედანვე გარკვეულია. ზაურ ცხადაძე პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატია და ახლავე შეგვიძლია მივულოცოთ გამარჯვება. ხმის მიცემის 18 ჴმოსანი დელეგატიდან, მას ხმათა 2/3 სჭირდება გასამარჯვებლად, მაგრამ ალბათ, თვრამეტივე დელეგატი უყოყმანოდ დაუჭერს მხარს მის კანდიდატურას.

**კობა ხატისაშვილი**

კრივი

# მუშტი თარაშ კანდელაკმაც მოიქნია

## კვიცი გვარზე ხტის

არაერთხელ ყოფილა, რომ დიდი სპორტსმენების შვილები საკუთარი მშობლის გზას გაჰყოლიან და წარმატებებით უჯობნიათ კიდეც მათთვის. თუმცა ბევრჯერ მშობლის წარმატებული კარიერა შვილისთვის მიუღწეველიც აღმოჩენილა და, საერთოდ, ყველა ხომ არ მიჰყვება იმ გზას, რომელმაც მისი მამა, თუ დედა საქვეყნოდ ცნობილ ადამიანად აქცია?

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ოლიმპიურ სახეობებში პირველი მსოფლიოს ჩემპიონი, **გიორგი კანდელაკი** 1997 წელს გახდა. მომდევნო წელს გიორგიმ მაშინ ჩვენთვის ჯერაც უცხო ხილს პროფესიონალურ კრივსაც გაუსინჯა გემო, რომელიც მოგვიანებით დაუმარცხებელმა დატოვა კიდეც, მაგრამ, როგორც ჩანს, კანდელაკებს სათქმელი ჯერ ბოლომდე არ უთქვამთ. სწორედ გიორგის პროფესიული კარიერის დასაწყისში, 1998 წელს მოევლინა ქვეყანას მისი შვილი **თარაშ კანდელაკი** და სულ ახალახან მან პირველი გამარჯვებაც მოიმკო. თანაც მამამისის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე, მათ მშობლიურ სოფელ ვარიანში. თარაში ორი წელია თბილისში, გიორგი კანდელაკის კრივის კლუბ „ჩემპიონში" ვარჯიშობს და ამჟამად 32 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობს.

ვარიანში შეჯიბრებაზე საქართველოს 16 ქალაქის წარმომადგენელ მოკრივეთა გარდა თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ჭაბუკი სპორტსმენები იყვნენ ჩასული. ერთია, რომ შეჯიბრებაზე ყველა გუნდმა თავისი გამორჩეული მოკრივენი ჩაიყვანა იქ და ორთაბრძოლებიც შესაბამისად საინტერესო სანახავი გამოდგა. ორგანიზაციული თვალსაზრისითაც ყველაფერი სახარბიელოდ იყო, მაგრამ ჩვენი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლები სასიამოვნოდ ცოტა განსხვავებულმა ფაქტმა გააოცა.

ჯერ კიდევ შერკინებების დაწყებამდე გიორგი კანდელაკმა ყველა რეფერის ჩვეული გულწრფელობით სთხოვა, მისი შვილის მიმართ სიმპათიები ოდნავადაც არ გამოეხატათ და თარაშის რინგზე ყოფნისას ზედმიწევნით ობიექტურნი ყოფილიყვნენ. ხოლო ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ, როდესაც მისმა შვილმა თურქი თანატოლი დაამარცხა, სიხარულთან ერთად გარკვეულწილად უხერხულადაც გრძნობდა თავს. მიზეზი? „ვისაც თარაშის გამოსვლა არ უნახავს, იფიქრებს მამამისის გამო გაამარჯვებინესო" — თქვა ტიტულოვანმა ქართველმა მოკრივემ. თუმცა ვინც ტურნირზე იმყოფებოდა სახელოვანი სპორტსმენის ვაჟის სიძლიერეს ცალსახად აღნიშნავდნენ, სტუმართა გუნდის მწვრთნელმა კი „ყველაზე იმედისმომცემი მოკრივის" პრიზი (ხრუსტალის ხელთათმანი) სწორედ თარაშ კანდელაკს გადასცა.



თარაშ კანდელაკი

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

ჩოგბურთი

# მეტრეველი და კორაშვილი მეორე ტიტულს უმიზნებენ!

ერთი დღეც და დასრულდება "რენასა და დათოს" თასის გათამაშება. წლევანდელი ტურნირი გამორჩეულია მონაწილეთა რაოდენობითა და სიძლიერით. ორგანიზატორებმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს, როცა ტურნირი "ავსტრიის ავიახაზების" შემდეგ, მომდევნო კვირაში დაგეგმეს. ამ შემთხვევაში მასპინძლებიც მოგებულნი დარჩნენ და სტუმრებიც - "ავსტრიის ავიახაზებზე" 10 ქვეყნის ჩოგბურთელები შეიკრიბნენ, რათა 14 და 16-წლამდელთა შორის რეიტინგული ქულები დაეგროვებინათ. ქულათა მარაგის შემატება "რენასა და დათოს" თასზეც მიეცათ და ამასთანავე, სათამაშო პრაქტიკაც საკმაოდ სოლიდური გამოუვიდათ. პირველ რიგში, ცხადია, ჩვენებურთა ბედი გვაღელვებს, - კარგად ვიცით, რომ უფულობის გამო ქართველ ჩოგბურთელებს საერთაშორისო ტურნირებში თამაშის საშუალება ნაკლებად აქვთ; აქ კი ზედიზედ ორ საერთაშორისო ასპარეზობაზე მოუნიათ ჩოგნის ცემა.

ქართველებს რომ ნიჭი მოგვდგამს, "ავსტრიის ავიახაზებზეც" დადასტურდა და "რენასა და დათოს" თასიც იგივეს ამტკიცებს: წინა ტურნირში 16 წლამდე ვაჟთა შორის გამარჯვებულმა **ალექსანდრე მეტრეველმა** ამჯერადაც შესძლო ფინალში გასვლა და ბოლო ნაბიჯსაც, იმედია, წარმატებულად გადადგამს, - ფინალში მისი მეტოქე პირველ ნომრად განთესილი უკრაინელი **მაქსიმ მალიშევი** იქნება. მეტრეველმა ნახევარფინალში თანამემამულე **დავით ხუციშვილი** დაამარცხა ორ სეტში - 7:5, 6:4. მალიშევმა კი სომეხი **კარენ ვოსკანიანი** შეაჩერა - 6:4, 6:1.

14 წლამდე გოგონებშიც შეიძლება წინა ტურნირის ტრიუმფატორი ვიხილოთ: უკრაინელი **ალექსანდრა კორაშვილი** ქართული წარმომავლობის არის და ჩვენთვის მისი წარმატებაც გასახარია. კორაშვილმა ნახევარფინალში **ანი გოგვაძე** დაამარცხა საკმაოდ იოლად და ფინალში უკრაინელ **ვიქტორია ლუშკოვას** დაუპირისპირდება.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ დუბლის შესრულება კიდევ ორ ჩოგბურთელს შეუძლია- 14 წლამდე ვაჟებში იტალიელი სტეფანო ნაპოლიტანო გავიდა ფინალში, რომელმაც "ავსტრიის ავიახაზები" მოიგო და 16 წლამდე გოგონებში სომეხმა **ანი ამირაგიანმა** მოახერხა გადამწყვეტ შეხვედრაში თამაშის უფლების მოპოვება.

სამწუხაროდ, ნაპოლიტანოს პირველობას ვერც ერთი ქართველი შეეცილება, - ფინალში გასვლის შანსი **ნიკა დოლიძეს** ჰქონდა, მაგრამ სწორედ იტალიელთან დათმო ნახევარფინალური შეხვედრა - 5:7, 4:6. ნიკასთვის ნაჩვენები შედეგი მაინც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში, სადაც სომეხი არმან დანელიანი და რუსი მაქსიმ კრავცოვი არკვევდნენ უძლიერესს, საბოლოოდ ფინალის საგზური რუსს დარჩა - 6:4, 6:4.

14-წლამდელებში, შესაძლოა, ქართული ზეობის მომსწრენი გავხდეთ: ანი ამირაგიანს **დიანა დავითაია** დაუპირისპირდება. "ავსტიის ავიახაზებზე" დავითაია ამირაგიანს მეოთხედფინალში შეხვდა და ბევრი პრობლემა არ შეუქმნია მისთვის - ორ სეტში დამარცხდა - 3:6, 2:6. დიანას რევანშის შანსი აქვს და იმედია, გამარჯვებას შესძლებს.

შეგახსენებთ, "რენასა და დათოს" თასის გათამაშება წლეულს ორთაჭალაში, საჩოგბურთო კლუბ "თბილისის "კორტებზე იმართება. შეხვედრები დილის ათი საათიდან იწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ლაზარემ მეოთხედფინალი იკმარა

ირლანდიურ ლიმერიკში, „ფიუჩერსის" სერიის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარია, დაასრულა ასპარეზობა 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა.** ზედიზედ ოთხი მატჩის მოგების შემდეგ (ორი კვალიფიკაციაში და ორი ძირითად ბადეში) ჩვენებური ტურნირის მეოთხედფინალში შეაჩერეს. დარბაზის ხელოვნურბალახიან კორტზე ლაზარეს მეტოქე 28 წლის ინდოელი **ჰარშ მანკადი** (674) იყო, რომელიც ბოლო ოთხი წელიწადი მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეთა სამასეულში „ტრიალებდა" და მხოლოდ შარშან გაიუარესა მდგომარეობა. გამოუცდელი ქართველი მანკადთან 2:6, 4:6 დამარცხდა. ნახევარფინალში მანკადი დანიელ **ფრედერიკ ნილსენს** (306) შეხვდება.

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ქართველი ქალები უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე ჩვენი ვაჟები, თუმცა აქვე უნდა დავურთოთ ობიექტური მიზეზიც – ვაჟებში წარმატების მიღწევა ორმაგად ძნელია, ჩოგბურთელთა კონტინგენტიც მეტია და ATP-იც გაცილებით მომჭირნედ გასცემს სარეიტინგო ქულებს (WTA-სგან განსხვავებით). ლაზარემ ლიმერიკის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლისთვის 3 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა, რომელიც მას ათიოდე დღეში დაერიცხება.

# ვინ, სად: იტალია, ბოსტონი...

ეს კვირა დასრულებულია ჩვენი ჩოგბურთელებისთვის. ვნახოთ, რას უნდა ველოდოთ მათგან მომავალ კვირაში. ქალთა შორის გრძელდება უიმბლდონის ჩემპიონატი, ბუნებრივია, იქ ქართველი არ მონაწილეობს, თუკი რუსეთის მოქალაქე **ანა ჩაკვეტაძეს** არ ჩავთვლით. უიმბლდონის მერე რანგით მეორე ტურნირი მომავალ კვირაში იტალიურ კუნეოში გაიმართება, სადაც საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. იტალიაში **მაკა ჩახნაშვილი** ითამაშებს, მაკა ბრძოლას საკვალიფიკაციო ბადიდან იწყებს.

ამერიკის ქალაქ ბოსტონში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი იწყება საპრიზო ფონდით 50 ათასი დოლარი. იქ, ორკვირიანი დასვენების შემდეგ კორტებს დაუბრუნდება 18 წლის **ანა ტატიშვილი** (212). ანა ძირითად ბადეში ითამაშებს, ხოლო 21 წლის **სალომე დევიძე** (521) – საკვალიფიკაციოში. ამავე ბადეში იქნება 21 წლის **სოფიო მელიქიშვილიც** (995), რომელსაც რეიტინგი ამის საშუალებას არ აძლევდა, რომ არა ორგანიზატორების მიერ ბოძებული „უაილდ ქარდი". ფრანგულ მონ დე მარსანში 25-ათასიან ტურნირში უნდა ეთამაშათ **სოფიო შაფათავასა** და **სოფიო ქვაცაბაიას,** თუმცა ორივე ჩვენებური მოიხსნა შეჯიბრებიდან. 17 წლის **მარიამ კუპრეიშვილი** დამასკოს (სირია) საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანა ტატიშვილი

# მაინც წარუმატებელი

საერთო ჯამში, 25 წლის **მაკა ჩახნაშვილისთვის** (179) ქალაქ პადოვას საერთაშორისო ტურნირი, „ტორნეო პორშე" მაინც წარუმატებელი გამოდგა. ჩვენმა პირველმა ჩოგანმა ვერ შეძლო ერთეულებში განცდილი მარცხი და დაკარგული ტიტული წყვილებში მიღწეული წარმატებით გადაეფარა. ამისთვის მაკას, სულ მცირე, ფინალის საგზური მაინც უნდა მოეპოვებინა, ის და რუსი **მარინა შამაიკო** კი წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში რუმინულ დუეტთან (**ლიანა-გაბრიელა უნგური, ანდა პერიანუ**) დამარცხდნენ – 4:6, 2:6 და ბრძოლას გამოეთიშნენ.

მაკა ჩახნაშვილი ვენეციის მხარიდან, სადაც პადოვა მდებარეობს, საფრანგეთის საზღვრისკენ გადავიდა, ქალაქ კუნეოში, იქ კი 100-ათასიანი საჩოგბურთო ტურნირი იწყება. კუნეოში იმდენად ძლიერი შემადგენლობა შეიყარა, რომ მაკას, რომელიც მსოფლიოს 179-ე ჩოგანია, საკვალიფიკაციო ბადეში მოუწევს თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მაკა ჩახნაშვილი

კალათბურთი. NBA. დრაფტი 2008

# როუზი, ბიზლი, მაიო და სხვები...




დერიკ როუზი

ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" 2008 წლის დრაფტის ცერემონია გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ნომრად მემფისის უნივერსიტეტის მცველი **დერიკ როუზი** აირჩიეს. 19 წლის კალათბურთელი "ჩიკაგო ბულზის" საკუთრება გახდა.

191 სანტიმეტრი სიმაღლის როუზი, გასულ სეზონში საშუალოდ 14.9 ქულას, 4.5 მოხსნასა და 4.7 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. ის დრაფტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტანდაბალი კალათბურთელია, ვინც პირველ ნომრად აირჩიეს. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ასეთი პატივი მხოლოდ **ალენ აივერსონს** ერგო. აღსანიშნავია, რომ კოლეჯში როუზი 23-ე ნომრად თამაშობდა, თუმცა ახლა, დერიკს მისი შეცვლა მოუწევს, რადგან თავის დროზე, "ჩიკაგოში" 23-ნომრიანი მაისურა ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანს** სამუდამო მფლობელობაში გადაეცა.

არც დრაფტის მეორე და მესამე ნომრების არჩევისას დაფიქსირებულა რაიმე სიურპრიზი. "მაიამი ჰიტმა" მეორე ნომრად ფორვარდი **მაიკლ ბიზლი** (203 სმ) დაიბევა. ამ კალათბურთელს მთელი სეზონის განმავლობაში დრაფტის პირველ ნომერს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ბიზლის აქციებმა ბოლოსკენ აშკარად იკლო. მაიკლი "მაიამიში" მძიმე ფორვარდის პოზიციაზე **უდონის ჰასლემის** კონკურენტი იქნება. ბიზლი კანზასის უნივერსიტეტის ლიდერი გახლდათ და საშუალოდ ერთ მატჩში 26.1 ქულასა და 12.4 მოხსნას უყრიდა თავს.

რაც შეეხება მესამე ნომერს, ის 20 წლის **ო ჯეი მაიო** გახდა სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტიდან. მესამე ნომრად არჩევის უფლება "მინესოტას" ჰქონდა, რომელმაც მაიოს აყვანის შემდეგ, ახალგაზრდა კალათბურთელი "მემფისს" დაუთმო. მის სანაცვლოდ კი, დრაფტის მეხუთე ნომერი, **კევინ ლავი** მიიღო. ასე აღმოჩნდა 191 სანტიმეტრი სიმაღლის გამთამაშებელი (საშუალო სტატისტიკა: 20.7 ქულა, 4.5 მოხსნა, 3.3 პასი) "მემფისში". სხვათა შორის, შარშან, მაიო სამქულიანებს 41 პროცენტის სიზუსტით ისროდა.

გარდა ამისა, "მინესოტამ" და "მემფისმა" კიდევ ერთი ტრეიდი განახორციელეს. "მგლებმა" **მარკო იარიჩი, ენტონი უოკერი** და **გრეგ ბუკნერი** მემფისის მიმართულებით გაუშვეს, "გრიზლისიდან" კი, **მაიკ მილერით, ბრიან კარდინალითა** და **ჯეისონ კოლინზით** გააძლიერეს შემადგენლობა.

გუშინდელი დრაფტის მთავარი მოულოდნელობა ლოს ანჯელესის უნივერსიტეტის მცველი **რასელ უესტბრუკი** გახდა, რომელიც "სიეტლმა" მეოთხე ნომრად აირჩია. საქმე ისაა, რომ დრაფტის წინ, ვესტბრუკს სადღაც მეათე ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ "სონიქსმა" იმავე უნივერსიტეტის ცენტრ **კევინ ლავსა** და უესტბრუკს შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა, რითაც ყველა ძალიან გააკვირვა. სტუდენტურ ლიგაში უესტბრუკი საშუალოდ 13 ქულას აგროვებდა და ჩემპიონატის მეორე სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა დაცვაში კარგი თამაშის წყალობით.

რაც შეეხება ლავს, როგორც ზემოთ ვთქვით, ის "მემფისმა" მეხუთე ნომრად აიყვანა და შემდეგ "მინესოტას" გაუცვალა. 208 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრი, თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ ლავმა აშკარად ჩააგდო NCAA-ს ჩემპიონატის "ოთხთა ფინალი". სეზონში კევინის საშუალო მაჩვენებლებმა 17.5 ქულა და 10.6 მოხსნა შეადგინა. სხვათა შორის, ლავის პოზიციის გათვალისწინებით, ის ძალიან კარგად ისვრის სამქულიანებს - 82 შორეული ტყორცნიდან, 29 ზუსტად მოათავსა კალათში.

თავის გულშემატკივრებს მორიგი სიურპრიზი შესთავაზა "ნიუ იორკ ნიქსმა". ამ გუნდის ხელმძღვანელობა მთელი წელიწადი იმაზე ლაპარაკობდა, რომ დრაფტზე ახალგაზრდა გამთამაშებლის აყვანა ჰქონდა განზრახული, მაგრამ "ნიუ იორკმა" მეექვსე ნომრად, ამ დრაფტის მთავარი ევროპელი, იტალიელი ვუნდერკინდი **დანილო გალინარი** (206 სმ, 107 კგ) აირჩია. "მილანის" ფორვარდი წლეულს, ევროლიგის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ დაასახელეს. სხვათა შორის, NBA-ის სკაუტები 19 წლის გალინარის სერბ **პრედრაგ სტოიაკოვიჩს** ადარებენ.

**დრაფტის პირველი ათეული**

1. ჩიკაგო - დერიკ როუზი (მცველი)
2. მაიამი - მაიკლ ბიზლი (ფორვარდი)
3. მინესოტა - ო ჯეი მაიო (მცველი)
4. სიეტლი - რასელ უესტბრუკი (მცველი)
5. მემფისი - კევინ ლავი (ცენტრი)
6. ნიუ იორკი - დანილო გალინარი (ფორვარდი)
7. კლიპერსი - ერიკ გორდონი (მცველი)
8. მილუოკი - ჯო ალექსანდერი (ფორვარდი)
9. დი ჯეი ავგუსტინი (მცველი)
10. ნიუ ჯერსი - ბრუკ ლოპესი (ცენტრი)

■ ■ ■

გუშინდელი დრაფტის დროს, ერთი მნიშვნელოვანი გაცვლა განახორციელეს "ნიუ ჯერსი ნეტსმა" და "მილუოკი ბაქსმა". ტრეიდში სამი კალათბურთელი მონაწილეობდა. "ნიუ ჯერსი" თავის ერთ-ერთ ლიდერს, **რიჩარდ ჯეფერსონს** შეელია, მის სანაცვლოდ კი, "ბაქსიდან" ორი კალათბურთელი მიიღო: ჩინელი **იი ცზიანლიანი** და **ბობი სიმონსი**.

გია თვალაბეიშვილი

ოლიმპიზმი. პეკინი-2008

# ბულგარეთმა ოლიმპიადიდან ძალოსანთა ნაკრები მოხსნა

ბულგარეთის ძალოსნობის ფედერაცია იძულებული გახდა, პეკინის ოლიმპიური თამაშებიდან თავისი ოლიმპიური ნაკრები მოეხსნა. ამის მიზეზი კი ის ფაქტი გახდა, რომ სპეციალურად, ოლიმპიადის წინ ჩატარებულმა დოპინგ-შემოწმებამ, რომელზეც სინჯები იმ ძალოსნებს ჩამოართვეს, რომლებსაც პეკინში მედლის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდათ, აკრძალული პრეპარატების გამოყენებაზე ნაკრების 11 წევრი გამოიჭირა.

ბულგარეთის ძალოსნობის ფედერაციის განცხადებით, დოპინგზე ჩავარდნილ 11-ვე ძალოსანს სინჯში ერთი და იგივე პრეპარატი, ანაბოლური სუბსტანცია მეთანდიენონი აღმოაჩნდა. დოპინგზე გამოჭერილებს შორის არიან **ივან სტოიცევი**, ვინც შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს ორი მედალი მოიპოვა და **ველიჩკო ჩოლაკოვი**, ვინც ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. დოპინგი რომ არა, პეკინში გამგზავრებას ტრავმის გამო მაინც ვერ ახერხებდა ოლიმპიური ჩემპიონი **მილენ დობრევი**, ვინც ათენში ოქროს მედალს 94-მდე წონაში დაეუფლა.

*"პეკინში ჩვენ სიხარულის ცრემლებს ველოდით, მაგრამ ახლა წუხილის ცრემლები გვახრჩობს. ოლიმპიადაზე ჩვენი დროშის არაერთხელ აღმართვის მოლოდინში ვიყავით, ახლა კი სირცხვილით თავი არსად გამოგვეყოფა. ამ სიტუაციაში აბსოლუტურად უმწეონი ვართ და იძულებულნი გავხდით, ნაკრები ოლიმპიადიდან მოგვეხსნა"*, - ნათქვამია ფედერაციის განცხადებაში.




ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ბულგარელი ძალოსნები დოპინგ-ტესტს აგდებენ. მათ სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე სამი ოქრო სწორედ დოპინგის გამო ჩამოერთვათ. მაშინ, ამ სკანდალის გამო, გუნდი თამაშებიდან მოიხსნა და შინ ტურნირის დაუმთავრებლად გაემგზავრა.

არადა, ბულგარული ძალოსნობა ერთადერთი ძალაა, რომელიც ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მეტნაკლებ წინააღმდეგობას უწევდა ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების ძალოსნებს.

ამ სკანდალურ შემთხვევასთან დაკავშირებით, ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტი სპეციალურ შეხვედრას გამართავს ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციასთან და მასთან ერთად, მომხდარსა და საერთოდ, დოპინგის პრობლემას განიხილავს. წინასწარი ინფორმაციით, შეხვედრაზე წამოყენებული იქნება დოპინგში მხილებულთათვის უფრო მკაცრი სასჯელის შემოღების ინიციატივა.

ბულგარეთის ძალოსნობის ფედერაციის ვარაუდით, ოლიმპიელ ძალოსანთა ორგანიზმში აკრძალული სუბსტანცია სავარაუდოდ, იმ პრეპარატების მეშვეობით მოხვდა, რომელთა გამოყენებაც არ იკრძალება. კონკრეტულად კი, ასეთი პრეპარატები სხვადასხვა ტიპის პროტეინები უნდა იყოს, რომლებიც მძიმე ვარჯიშების შემდეგ, ძალოსნებს ენერგიის აღდგენაში ეხმარება. თუმცა, ბულგარელი სპეციალისტები არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, აკრძალული სუბსტანციები ძალოსანთა ორგანიზმში სხვა პრეპარატების მეშვეობითაც მოხვედრილიყო.

ცნობისთვის, ცოტა ხნის წინათ, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ, დოპინგის გამოყენების გამო, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა 11 ბერძენი ძალოსანი, რომლებიც ასევე პეკინის ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ.

მერაბ ლორთქიფანიძე

მძლეოსნობა. დოპინგი

# გეტლინს იმედი გადაუწურეს

ბოლო იმედი იმისა, რომ აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევ ტურნირზე გამოსვლის უფლება მიეცემოდა, 100 მეტრზე სპრინტში ოლიმპიურ ჩემპიონ **ჯასტინ გეტლინს** გუშინ გადაეწურა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ატლანტას სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გეტლინის აპელაცია, რომლითაც სპრინტერი შესარჩევ ტურნირზე დაშვებას ითხოვდა, საფუძველს მოკლებულია.

ახლა უკვე გარანტირებულად შეიძლება იმის თქმა, რომ 26 წლის გეტლინი პეკინში თავისი ტიტულის დაცვას ვერ შეძლებს. ამგვარად, ნებისმიერ შემთხვევაში, ას მეტრზე სპრინტს ახალი ოლიმპიური ჩემპიონი მოევლინება.



შეგახსენებთ, რომ გეტლინს ორი წლის წინათ ჩატარებულმა შემოწმებამ სინჯში მამაკაცთა ჰორმონი ტესტოსტერონი აღმოუჩინა, რის გამოც, მას ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. განიხილებოდა რვაწლიანი დისკვალიფიკაცია, მაგრამ მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ სპრინტერს ოთხწლიანი სასჯელი ამყოფინა.

საერთოდ, დოპინგის გამო, ორწლიანი სასჯელია, მაგრამ გეტლინის ეს ჩავარდნა რეციდივად ჩაითვალა – პირველად ის 2001 წელს, ამფეტამინების გამოყენებაზე გამოიჭირეს, თუმცა მოგვიანებით დადგინდა, რომ ამ პრეპარატს სპორტსმენი გაფანტული ყურადღების სამკურნალოდ იყენებდა.

*"ყველაფერი დამთავრდა. აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა ბრძოლა მოიგო. მართლმსაჯულებამ გადაწყვიტა, რომ სპორტში გადაწყვეტილებას სწორედ ოლიმპიური კომიტეტი ღებულობს და ეს გადაწყვეტილება ხელშეუხებელია. ახლა ერთადერთი გზა უმაღლესი სასამართლოა, სადაც ამ საქმის გასაჩივრება შეიძლება, მაგრამ ჩემმა კლიენტმა ამ გზის გავლა არ ისურვა"*, - განაცხადა გეტლინის ვექილმა **ჯოზეფ ზარზაურმა**.

აღსანიშნავია, რომ ატლანტას სააპელაციო სასმართლოს გადაწყვეტილებამდე, ფედერალურმა სასამართლომ დროებით, ათი დღით შეაჩერა გეტლინის დისკვალიფიკაცია, რითაც ფაქტობრივად, ამ პერიოდში მას შიდა ტურნირებზე ასპარეზობის უფლება მისცა. მაგრამ ატლანტას მოსამართლე **ლეისი კოლიემ** ეს გადაწყვეტილება გააუქმა. განჩინების გამოცხადებისას, კოლიემ ხაზი გაუსვა, რომ ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელთა მონაწილეობის საკითხი მხოლოდ აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის გადასაწყვეტია.

მერაბ ლორთქიფანიძე

კრივი

# WBC ასაკობრივ ზღვარს აწესებს?

პროფესიული კრივის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ორგანიზაციის, WBC-ის პრეზიდენტი **ხოსე სულეიმანი** ახალი წინადადებით გამოდის. ამ ჩინოვნიკს სურს, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლებში, ასაკობრივი ცენზი იყოს დაწესებული. კერძოდ, საჩემპიონო ქამრისთვის ვერ იბრძოლებს ის მოკრივე, რომლის ასაკიც 39 წელს არის გადაცილებული.

როგორც აღმოჩნდა, სულეიმანი შეწუხებულია იმით, რომ 40 წელს გადაცილებული მოკრივეები სულ უფრო ხშირად ბრუნდებიან დიდ სპორტში და უმეტეს შემთხვევებში, ახალგაზრდა მეტოქეებთან ბრძოლებში სასტიკად მარცხდებიან. WBC-ის პრეზიდენტის აზრით, ეს საფრთხეს უქმნის ვეტერანების ჯანმრთელობას.

სულეიმანის ჰუმანურობა მისასალმებელია, მაგრამ მისმა წინადადებამ უკვე გამოიწვია სპეციალისტებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია. მაგალითად, ცნობილი მწვრთნელი, **ფელიქს ტრინიდად-უფროსი** თვლის, რომ მსგავსი საკითხები ინდივიდუალურად უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

*"ეს ყველაფერი მოკრივის მომზადების დონეზე უნდა იყოს დამოკიდებული. სანქცირებულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ის, თუ რა პირობებში მოიპოვა ვეტერანმა მოკრივემ სატიტულო ბრძოლაში მონაწილეობის უფლება, როგორ გამოიყურებოდა წინა ბრძოლებში, გაიარა თუ არა სამედიცინო ტესტები. ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოკრივის დამსახურებები"*, - აცხადებს ტრინიდადი.

თუ ახალი წესით ვიმსჯელებთ, ცნობილ უკრაინელ მძიმეწონოსანს, WBC-ის საპატიო ჩემპიონს, **ვიტალი კლიჩკოს** პროფესიულ კრივში კიდევ ორი წელიწადი გამოსვლის უფლება ექნება. კრივში ახლახანს დაბრუნებული მოკრივე, 19 ივლისს 37 წლის ხდება.

გია თვალაბეიშვილი

ჩოგბურთი. უიმბლდონი

# ივანოვიჩის გავარდა


პარიზში ტრიუმფის შემდეგ ივანოვიჩი ვერაფრით შეეგუა ბალახის საფარს

გუშინ უიმბლდონზე თამაშები პირველად შეწყვიტა წვიმამ, ტურნირს კი ქალთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ანა ივანოვიჩი** გამოეთიშა, რითაც "ოლ ინგლენდ კლაბის" კორტებზე სერბთა წარუმატებლობანი გაგრძელდა.

საფრანგეთის ღიას ჩემპიონი უიმბლდონიდან გავარდნას ჯერ კიდევ ორი დღით ადრე გადაურჩა, როცა ტურნირი მისმა თანამემამულე **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** დატოვა. მაშინ სერბმა ორი მატჩ პოინტი მოიგერია, მათგან ერთის მოგერიებაში ბადე დაეხმარა. მაგრამ განსაცდელს ამჯერად მაინც ვერ გადაურჩა. ის ორ სეტში, საკმაოდ იოლად დაამარცხა რეიტინგში 133-ე ადგილზე მყოფმა ჩინელმა **ძი ჭენმა**, რომელმაც პირველ ნომრად განთესილ მეტოქეს მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო.

*"ალბათ დამიჯერებთ, რომ ეს შედეგი ჩემთვის დიდი მოულოდნელობაა. კორტზე იმისათვის გამოვედი, რომ მასთან თამაშით დავმტკბარიყავი, მერე კი, როცა შევატყე, რომ ანა ბევრ შეცდომას უშვებდა, საკუთარი თავის გამხნევება დავიწყე"*, - თამაშის შემდეგ ყვებოდა სიტყვაძუნწი ჩინელი, ვინც პირველი სეტი 30 წუთში, მეორე კი 42 წუთში მოიგო. სხვათა შორის, ორი წლის წინ, ჭენს უიმბლდონზე ქალთა წყვილების ტიტული აქვს მოპოვებული.

*"წაგება სასიამოვნო არასდროს ყოფილა, მაგრამ როცა ფავორიტი ხარ და ტურნირს ასე ადრე ეთიშები, ორმაგად სამწუხაროა. თუმცა ცხოვრება ამით არ მთავრდება. ჯერ ყველაფერი წინ მაქვს და ვიმედოვნებ, სხვა დროს უიმბლდონისთვის უკეთ მოვემზადები. ხანდახან წაგება საჭიროა იმისათვის, რომ დროზე გამოერკვე და გააკეთო ის, რაც გასაკეთებელი გაქვს. სხვანაირად წარმატებას ვერ მიაღწევ"*, - განაცხადა ივანოვიჩმა, ვინც, შესაძლოა, მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი თავის თანამემამულე **ელენა იანკოვიჩს**, ან რუს **სვეტლანა კუზნეცოვას** დაუთმოს.

ჭენმა პირველ სეტში ორი ბრეიკის აღება შეძლო და ის თავის მოწოდებაზე, მეტოქის მიერ დაშვებული მორიგი შეცდომის წყალობით მიიყვანა გამარჯვებამდე. ბადე, რომელიც ორი დღის წინ სერბს მხსნელად მოევლინა, ახლა მტრად ექცა - ივანოვიჩის მიერ დარტყმულ ბურთებს ხშირად სწორედ ბადე "იგერიებდა". მაგრამ ერთხელ მაინც მისკენ მოუბრუნდა გული და მეორე სეტის მეოთხე გეიმში, როცა ჩინელს ბრეიკის აღება მოესწრო, მის მიერ დარტყმულ ბურთ "დაუხვდა" და სერბს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. მაგრამ ამით ცისქვეშეთელის აღმაფრენა ვერ შეაჩერა. მომდევნო გეიმშივე ჭენმა კიდევ ერთ ბრეიკს მიაღწია, რომელიც, როგორც მალე გაირკვა, მისთვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.

გუშინვე, ტურნირს მისი შარშანდელი ფინალისტი, ფრანგი **მარიონ ბარტოლიც** გამოეთიშა, რომელიც ამერიკელ **ბეთანი მატეკთან** დამარცხდა. მესამე წრეს ვერც ფრანგი **ამელი მორესმო** გასცდა, ვისაც უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონთა ჯახში ადვილად აჯობა **სერენ უილიამსმა** (სერენას უიმბლდონი ორჯერ, 2002 და 2003 წლებში აქვს მოგებული, მორესმოს კი – 2006 წელს).

მამაკაცთა ბადეს კი მეხუთე ნომრად განთესილი ესპანელი **დავიდ ფერერი** გამოაკლდა, რომელსაც ხორვატმა **მარიო ანჩიჩმა** ფარ-ხმალი ოთხ დაძაბულ სეტში დააყრევინა. ანჩიჩი ბოლო ჩოგბურთელია, ვინც ბალახის კორტზე **როჯერ ფედერერის** დამარცხება შეძლო (2002 წელს). მან პირველი ორი სეტის მოსაგებად თითო ბრეიკი იმყოფინა. მომდევნო ორი სეტის გამარჯვებული კი ტაიბრეიკზე გამოვლინდა. მათგან პირველი ესპანელმა მოიგო, მაგრამ მეორეში უფრო შედეგიანი ანჩიჩი გამოდგა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### კაცები. მესამე წრე

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-მარკ გიშელი (საფრ) 6:3, 6:3, 6:1; **მარიო ანჩიჩი (ხორვ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 6:4, 6:4, 6:7(5), 7:6(5); **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 10)**-სიმონ შტადლერი (გერმ) 7:6(2), 6:4, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 22)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 11) 6:4, 6:4, 6:0; **სტანისლას ვავრინკა (შვეი, 13)**-მიშა ზვერევი (გერმ) 7:5, 6:1 ზვერევი გამოეთიშა; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 20)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:1, 6:3, 7:6(2); **მარატ საფინი (რუს)**-ანდრეას ზეპი (იტა, 29) 7:6, 3:6, 7:6, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 31)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:4, 7:5, 4:6, 6:4

### ქალები. მესამე წრე

**ძი ჭენი (ჩინ)**-ანა ივანოვიჩი (სერბ, 1) 6:1, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)**-ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხ) 6:2, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-ამელი მორესმო (საფრ, 29) 7:6(5), 6:1; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 8)**-ევგენია როდინა (რუს) 6:4, 6:3; **ბეთანი მატეკი (აშშ)**-მარიონ ბარტოლი (საფრ, 11) 6:4, 6:1; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 14)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:3, 6:2; **აგნეშ სავაი (უნგრ, 15)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 7:6(5), 2:6, 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 18)**-კეისი დელაკვა (ავსტრალ) 6:2, 6:4

ფორმულა 1. სკანდალის გამოძახილი

# ბერნის მოსლი გაუფრთხილებია

როგორც ირკვევა, ფორმულა ერთის კომერციულ უფლებათა მფლობელი **ბერნი ეკლსტოუნი** საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ **მაქს მოსლის** ჯერ კიდევ ცნობილ სკანდალამდე ორი თვით ადრე აფრთხილებდა, რომ მის წინააღმდეგ გარკვეული პირები შეთქმულებას ამზადებდნენ.

"ტაიმსი" გვატყობინებს, რომ ბერნიმ თავისი მაშინდელი მეგობარი მოსლი პირადად გააფრთხილა. პრეზიდენტს მან აუწყა, რომ უცნობ პირებს, რომელთა ვინაობის დადგენა ვერ მოახერხა, დიდი ფულადი სახსრები ჰქონდათ გამოყოფილი იმისათვის, რომ მოსლის პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლისთვის რეალური საფუძველი მოემზადებინათ.


მოსლი და ბერნი ერთ დროს მეგობრები იყვნენ

თავის მხრივ, ბერნის ეს ინფორმაცია კომპანია "ტიტონ ინტერნეიშენლის" თანამშრომელმა **დინ ეტიუმ** მიაწოდა. ეს კომპანია ფორმულა ერთის კორპორატიული ინფორმაციის დაცვას უზრუნველყოფს და ბუნებრივია, მისი სპეციალისტები საქმეში კარგად არიან ჩახედულნი. ეს კომპანია იმითაცაა ცნობილი, რომ ის გარეული იყო რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის თანამშრომელ **ალექსანდრ ლიტვინენკოს** მკვლელობის საქმეში. სწორედ "ტიტონ ინტერნეიშენლის" ოფისში იქნა აღმოჩენილი იმ რადიოაქტიური ნივთიერების კვალი, რომლითაც ლიტვინენკო მოწამლეს.

*"იანვარში მოსაწვევი მივიღე, რომელშიც ლაპარაკი იყო (უცნობ) ადამიანებზე, რომლებიც მოსლის დამხობას აპირებდნენ. მოწვევის ავტორი მარწმუნებდა, რომ ჩემთან შეხვედრის მსურველებს შეუზღუდავი ბიუჯეტი და გარკვეული ფაქტები გააჩნიათ, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოების თვალში მოსლის დისკრედიტაცია. მათ იცოდნენ, რომ ბერნისა და მოსლის შორის ურთიერთობა დაიძაბა და რომ მე ბერნისთან ვთანამშრომლობდი. მაგრამ არ იცოდნენ, რომ მე ურთიერთობა მაქსთანაც მაქვს. ყოველივეს შესახებ ეკლსტოუნს მოვუყევი, მან კი ეს ინფორმაცია მაქსს გააცნო. მაქსმა თავად დამიდასტურა, რომ ამის შესახებ ბერნისგან შეიტყო. ჩვენ შორის ნდობა არსებობს და ვიფიქრე, რომ გაფრთხილებას მოსლი სერიოზულად მიიღებდა. მე ბერნის ვკითხე, ხომ არ აქვს მოსლის რაიმე საიდუმლო, რაზეც მან უარყოფითად მიპასუხა"*, - ჰყვება ეტიუ.

სკანდალის აგორებამდე მცირე ხნით ადრე, მოსლი დაკავშირებია ეტიუს და მისთვის უთქვამს, რომ მსგავსი გაფრთხილება სხვისგანაც მიუღია. მაქსს საიდუმლო სამსახურის სპეციალისტისთვის თავისი ცხოვრების ზოგიერთი ნიუანსი გაუმხელია, რამაც მოგვიანებით საფუძველი მისცა იმისათვის, რომ ყოველივეში ეკლსტოუნი დაედანაშაულებინა. სწორედ ამ ფაქტის გამო გადაწყვიტა ეტიუმ ჩრდილიდან გამოსვლა და "ტაიმსს" ინტერვიუ მისცა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 28 ივნისი. შაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:20 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
17:50 საფეხბურთო კლუბი.
18:50 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
22:00 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:40 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
08:05 მძლეოსნობა.
09:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შეჯამება.
10:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. ლიგა დე კიტო (ეკვადორი)-ფლუმინენსე (ბრაზილია).
12:20 სპორტის სამყარო.
12:50 მძლეოსნობა.
14:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ინტერი-მილანი.
16:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბაიერნი-ჰანოვერი.
17:45 მძლეოსნობა.
18:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლივერპული-არსენალი.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შეჯამება.
22:35 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. მინესოტა-პიტსბურგი.
00:10 ფეხბურთი. დოკუმენტური ფილმი.
01:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პორტუგეზა-სანტოსი (LIVE).
03:15 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
03:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ინტერი-მილანი.
05:30 პროფესიული კრივი. მენი პაკაიო-დავიდ დიასი (LIVE).

#### EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-დომინიკის რესპუბლიკა. პოლონეთი.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდიის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
17:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ტაილანდი. პოლონეთი (LIVE).
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. ნორვეგია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
20:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. აშშ-დომინიკის რესპუბლიკა. პოლონეთი (LIVE).
21:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ტაილანდი. პოლონეთი.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
22:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ტაილანდი. პოლონეთი.
22:30 ცხენოსნობა. Global Champions. მონაკო (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. ს. სილვესტრი (გერმანია)-ხ. კასტილიო (ესპანეთი). გერმანია.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 რალი. IRC-ს სერია. I დღე. ბელგია.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. რუსეთი-ესპანეთი.
11:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ყაზახეთი. ვიეტნამი (LIVE).
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-თურქეთი. ვიეტნამი (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. რუსეთი-ესპანეთი.
17:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. მე-3 ადგილისთვის. ნორვეგია (LIVE).
18:45 ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
19:00 რალი. IRC-ს სერია. II დღე. ბელგია (LIVE).
19:15 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
22:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ტაილანდი. პოლონეთი.
23:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. ფინალი (LIVE).
00:45 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:45 რალი. IRC-ს სერია. II დღე. ბელგია.
03:15 ახალი ამბები.

### 22 ივნისი. კვირა

#### რუსთავი 2

22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. გერმანია-ესპანეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:20 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 FUTBOL MUNDIAL
. საფეხბურთო ჟურნალი.
16:15 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
18:25 საფეხბურთო კლუბი.
19:30 ევრო 2008. საუკეთესო მატჩები.
21:45 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ფინალი. გერმანია-ესპანეთი (LIVE).
01:00 საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. დოკუმენტური ფილმი.
08:55 ფეხბურთი. ევრო 2008. შეჯამება.
10:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
11:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პორტუგეზა-სანტოსი.
12:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მილანი-ნაპოლი.
14:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჰამბურგი-ბაიერნი.
16:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
18:05 ფეხბურთი. დოკუმენტური ფილმი.
18:55 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
19:25 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. მონრეალი-ფილადელფია.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ფინალი. გერმანია-ესპანეთი (LIVE).
00:40 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მილანი-ნაპოლი.
03:30 ბილიარდი. ჩემპიონთა თამაშები.
04:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ატლეტიკო-ალმერია.
06:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
06:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

#### EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ბრაზილია. ვიეტნამი (LIVE).
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ტაილანდი. პოლონეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. სან მარინო (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო (LIVE).
16:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ბრაზილია. ვიეტნამი.
17:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-აშშ. პოლონეთი (LIVE).
19:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. სან მარინო.
19:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ტაილანდი-დომინიკის რესპუბლიკა. პოლონეთი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ტაილანდი-დომინიკის რესპუბლიკა. პოლონეთი (LIVE).
21:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ნორვეგია.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ესპანეთი-ბულგარეთი.
23:30 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. მჩატე წონა. კ. სპინკსი (აშშ)-ვ. ფილიპსი (აშშ). სენტ ლუისი. აშშ.
01:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
02:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ესპანეთი-ბულგარეთი.
03:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი.
11:00 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. IV ტური. ავსტრალია-ფიჯი.
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინო (LIVE).
13:15 ახალი ამბები.
13:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. ნორვეგია (LIVE).
14:30 ახალი ამბები.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. გერმანია (LIVE).
16:00 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. მე-3 ადგილისთვის. ნორვეგია (LIVE).
17:45 ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
18:00 პლაჟის რაგბი. საფრანგეთი (LIVE).
20:00 ახალი ამბები.
20:15 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
21:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი (LIVE).
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ესპანეთი-ბულგარეთი.
02:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| დერი-სტ. პატსი | 0:3 |
| გალვეი-დროგედა | 0:1 |
| უნივერსიტი-კორკი | 0:2 |
| ფინ ჰარპსი-ბრეი | 1:0 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-რუსენბორგი | 1:1 |

#### რუსეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ალანია-დინამო (ბრ) | 1:0 |
| ს. ენერგია-დინამო (ბარ) | 1:0 |
| კამაზი-ზვეზდა | 0:1 |
| მაშუკი-როსტოვი | 0:1 |
| ნოსტა-სიბირი | 2:1 |
| საკ მოსკოვი-ტორპედო | 1:2 |
| ვიტიაზი-ურალი | 0:3 |
| ვოლგა-სკა ენერგია | 1:3 |
| ანჟი-ბალტიკა | 1:1 |
| სკა (რ)-მეტალურგი | 1:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაფა, აფრა და ტალღები...



**ვინდსერფერები - ცრუმორწმუნე ადამიანები არიან. მათ უფლება არ აქვთ, სტიქიას არ სცენ პატივი: არ არსებობს იმაზე მოსაწყენი და ნაღვლიანი სანახაობა, ვიდრე ვინდსერფინგი უქარო დღეს. სამაგიეროდ, თუ ქარიც არის, ტალღაც და მზეც - აფრიანი დაფით შეიარაღებულ ადამიანზე ბედნიერი არავინაა.**

ვინდსერფინგი არც ისე დიდი ხნის წინათ მოიგონეს. მისი ისტორია 60-იანი წლების შუაში, სამხრეთ კალიფორნიაში იღებს სათავეს. ზაფხულში, სერფინგის დაფებით შეიარაღებული ბიჭები ოკეანის ნაპირთან მოწყენილები ისხდნენ და ტალღებს ელოდნენ. კარგა ხანი იყვნენ უსაქმოდ და უცებ, ერთ-ერთს თავში ბრწყინვალე აზრმა გაუელვა: თუ დაფაზე აფრას დაამაგრებდნენ და ქარის დახმარებით ისრიალებდნენ, დიდი ტალღების გარეშეც გავიდოდნენ ფონს. ასე წარმოიშვა პირველი სეილბორდი - დაფა და მასზე დამონტაჟებული აფრა, რომელსაც ანძაზე სპეციალური სახსრებით ამაგრებენ. თანამედროვე სეილბორდი პირველყოფილისგან დიდად არ განსხვავდება - უბრალოდ, უფრო მსუბუქია, რადგან მის დასამზადებლად ფანერის ნაცვლად, პლასტიკატს იყენებენ.

ვინდსერფერები ყველაზე მეტად მაშინ ბრაზობენ, როცა მათი საყვარელი გასართობი ჩვეულებრივ სერფინგში ერევათ. მართლაც: ერთი შეხედვით დიდი განსხვავება არ არის - ის მხოლოდ ერთ სიტყვასა ("ვინდი") და ერთ დეტალში (აფრა) გამოიხატება. ტექნიკური პრინციპი იგივეა - ორივე შემთხვევაში დაფა წყალში კი არ იძირება, არამედ ზედაპირზე სრიალებს. სწორედ ეს სრიალი გახლავთ ვინდსერფინგის მთავარი მიზანი.

ვინდსერფინგი თავის "უფროს ძმაზე" უფრო პოპულარული გახდა და ამის მარტივი მიზეზი არსებობს: ვინდსერფინგისთვის საჭირო არ არის ოკეანის დიდი ტალღა - მას ქარი ცვლის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰავაიზე ან კალიფორნიაში გამგზავრება არ მოგიწევთ - თავისუფლად შეიძლება ახლოს მდებარე ტბით ან წყალსაცავით დაკმაყოფილდეთ. მოკლედ, ვინდსერფინგი იმით იგებს, რომ უფრო ხელმისაწვდომი გასართობია.

ვინდსერფინგის ტექნიკა საკმაოდ მარტივია. ჩვეულებრივ, დამწყებ სპორტსმენებს შიში იპყრობთ. ისინი თვლიან, რომ დაფა, ანძა და აფრა ძალიან ბევრს იწონის და რთული სამართავია. სინამდვილეში კი, დაფა მთელი თავისი მოწყობილობით არა უმეტეს 12-13 კილოგრამს იწონის, ამ ყველაფრის მართვა (გარკვეული მეცადინეობის შემდეგ) რთული არაა და ძალიან იშვიათად გამოდის მწყობრიდან.

და მაინც, პროფესიონალებს ვინდსერფინგი რთულ და ინტელექტუალურ სპორტის სახეობად მიაჩნიათ. ტალღის დაჭერის შემდეგ, მაქსიმალური სიჩქარის განსავითარებლად ბევრი რამ არის საჭირო: გასათვალისწინებელია ქარის მიმართულება, მისი სიჩქარე, ტალღის სიმაღლე და მიმართულება და კიდევ ბევრი რამ. თეორიულად, ყველგან შეიძლება ვინდსერფინგით დაკავდე - მთავარია, გვერდით იყოს წყალსაცავი, სადაც ქარი უბერავს. მაგრამ ნამდვილ სპორტსმენს ეს პირობები არ დააკმაყოფილებს. ისეთებს, რომლებსაც სასრიალოდ შორს წასვლა ეზარებათ, პროფესიონალები "ჭაობის ადამიანებს" უწოდებენ. ვინმემ 20 წელიწადიც რომ ისრიალოს რომელიმე პატარა ტბაზე და ზღვაზე, ნამდვილ ტალღებზე არ იყოს ნამყოფი, ის პროფესიონალად ვერ ჩაითვლება. ზღვაზე სულ სხვა შეგრძნებები და რისკი არსებობს.

სხვათა შორის, სეილბორდით სრიალი შავ ზღვაზეც შეიძლება, მაგრამ ნამდვილი ვინდსერფინგისთვის საზღვარგარეთ წასვლა სჯობს. მთავარ საკულტო ადგილად, რა თქმა უნდა, ჰავაია მიჩნეული. ითვლება, რომ სწორედ იქ არის მსოფლიოში საუკეთესო ტალღა, თანაც საკმაოდ უხიფათო. ევროპაში ყველაზე პოპულარული ადგილია ქალაქი ტარიფა - ესპანეთის ყველაზე სამხრეთი წერტილი. ეს ძველი კონტინენტის ყველაზე ქარიანი ადგილია, ვინაიდან აქ ხმელთაშუა ზღვიდანაც უბერავს და ატლანტიკის ოკეანიდანაც. შემოდგომაზე, ტარიფაში რამდენიმე თვით მთელი ევროპიდან იკრიბებიან ვინდსერფერები. ქალაქი, რომელიც სასტუმროებისგან, ბარებისა და სეილბორდების გაქირავების ცენტრებისგან შედგება, ევროპის ყველაზე დიდი სერფ-ფართის მასპინძელი ხდება. სხვათა შორის, ეს არის საზოგადოება, რომელსაც განსხვავებული კულტურა გააჩნია.

ვინდსერფერებს საკუთარი მუსიკა, ჩაცმის სტილი და სლენგი აქვთ. მაგრამ მათივე სიტყვებით, მთავარი სულიერება და სამყაროს სხვაგვარი აღქმა გახლავთ. სხვათა შორის, სიმართლეს მოკლებული არ არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვინდსერფინგი ერთგვარად წარმართული რელიგიაა. ზოგიერთები ამას პირდაპირ აღიქვამენ და თაყვანს სცემენ ქარსა და ზღვას, ცდილობენ საჭირო ამინდის გამოძახებას. რა თქმა უნდა, ასეთი ფანატები ცოტანი არიან, მაგრამ არსებობს გარკვეული ცრურწმენები, რომლებსაც ყველა იცავს. მაგალითად, საღამოს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხვალ კარგი ქარი იქნება: ამინდი აუცილებლად გაფუჭდება. ან კიდევ, ზღვაში დაფით შესვლამდე წვერის გაპარსვა აკრძალულია...

ვინდსერფერების ცრურწმენა გასაგებია: ისინი ძალიან არიან დამოკიდებულნი ამინდზე. ნამდვილი სერფერები აგრესიულობით გამოირჩევიან. ისინი ყველაფერზე წავლენ იმ დროს, თუ რომელიმე გამოუცდელი სერფერი, ასე ნანატრ ტალღაზე სრიალისას გზას გადაუჭრის. საქმე ჩხუბამდეც კი მიდის. ვინდსერფერებში ასეთი აგრესია არ არის - ისინი უფრო ფილოსოფიური აზროვნებისკენ არიან მიდრეკილნი. სხვანაირად, შეიძლება ჭკუიდან შეიშალნონ. წარმოიდგინეთ: დილით ადამიანი ამინდის პროგნოზს უსმენს და იგებს, რომ იმ დღეს, რომელილაც სანაპიროზე ძლიერი ქარია მოსალოდნელი. კაცი ივიწყებს სამსახურს, ცოლს, შვილებს, მანქანაში ჯდება და აღნიშნულ ადგილზე მიდის. მისვლისთანავე კი, ქარი წყდება. ამ დროს, თუ საქმეს ფილოსოფიურად არ მიუდექი, თავისუფლად შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე.

ძნელი სათქმელია, რამდენად სახიფათოა ვინდსერფინგი. მაგრამ გარკვეული ხიფათი მაინც არსებობს. აქ მთავარი არ არის სერფერებზე დადარაჯებული ზვიგენების საფრთხე. ყველაზე უარესია ქარი, რომელიც სანაპიროდან ზღვისკენ უბერავს. მან შეიძლება ყველაზე გამოცდილი სერფერიც გაიტაცოს და ნაპირს ათეულობით კილომეტრით დააშოროს. იყო ერთი ასეთი შემთხვევა: ერთ სერფერს ღია ზღვაში აფრის დასამაგრებელი მოწყობილობა გაუტყდა. ასეთ სიტუაციაში არაფრის გაკეთება არ შეიძლება. და როცა ნაპირს დაახლოებით 30 კილომეტრით დაშორდა, სერფერმა მოისაზრა დაფის გადაგდება და ნაპირზე ცურვით გამოაღწია. ის ძლიერი ადამიანი იყო, უფრო სუსტი ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა და შესაბამისად, დასაღუპად იქნებოდა განწირული.

კიდევ ერთ საფრთხეს თავად დაფა წარმოადგენს, რომელსაც ძირზე დანასავით ბასრი გამონაზარდი აქვს - ის ტალღების გასაპობად არის საჭირო. სწორედ ამის გამო, აკრძალულია ერთი და იმავე ადგილას, სერფერებისა და დაივერების ერთდროულად ყოფნა: ტალღაზე დიდი სიჩქარით მოსრიალე სერფერი ვერაფერს ამჩნევს და თავისუფლად შეიძლება "დანა" გაჰკრას თავში რომელიმე მყვინთავს. არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს მარჯნის რიფები, რომელთა შემჩნევა წყლის ქვეშ, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამიტომაც, ყველა ვინდსერფერი, ცოტათი ლოცმანიც გახლავთ: სახიფათო ადგილებში ზეპირად აქვთ შესწავლილი აკვატორია.

ძალიან ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვინდსერფინგს მთელს ცხოვრებას უკავშირებენ: ეს უფრო ჰობია, ვიდრე პროფესიული სპორტი. იდეალური ვარიანტია შვებულების დროს სრიალი. დიდხანს სწავლა საჭირო არ არის: მთავარი ელემენტების ასათვისებლად, საკმარისია სადმე ზღვაზე ინსტრუქტორთან გატარებული რამდენიმე კვირა.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ვინდსერფინგს გართობად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე სპორტის სახეობად, აქ საკმაოდ ბევრი პროფესიული ტურნირი იმართება. ძირითადად, პირველობა სამ დისციპლინაში თამაშდება: courserace, სლალომი და ფრისტაილი. სლალომი შეიძლება სპრინტს შევადაროთ: სპორტსმენები მოკლე დისტანციაზე ერთდროულად იღებენ სტარტს. courserace - მარათონია და ვინდსერფერები ცალ-ცალკე გადიან სტარტზე. ფრისტაილში კი, სპორტსმენები აკრობატულ თვისებებს ავლენენ: ხტომები, სალტოები და ბევრი სხვა.

იმის თქმაც შეიძლება, რომ ვინდსერფინგი ოლიმპიურ პროგრამაში არის წარმოდგენილი - უკვე 30 წელიწადია ტარდება შეჯიბრებები აფროსნობის იმ კლასში, რომელსაც ოფიციალურად ვინდსერფინგი არ ჰქვია, მაგრამ, ფაქტობრივად, სწორედ ამ სახეობას წარმოადგენს.

ტურნირებში გამარჯვება, რა თქმა უნდა, პრესტიჟულია, მაგრამ ნამდვილი სერფერისთვის ის არ დგას პირველ ადგილზე. მისთვის მთავარია ის შეგრძნება, რომელიც დაფით ტალღაზე 60-70 კილომეტრი საათის სიჩქარით სრიალის დროს წარმოიქმნება. ამბობენ, როცა ადამიანი პირველად დაიჭერს ტალღას და სრიალს იგრძნობს - სწორედ ეს გახლავთ "არდაბრუნების წერტილი", რის შემდეგაც, ამაზე უარს ველარასოდეს იტყვის. თურმე, ადამიანს ძალიან ცვლის ქართან და ტალღებთან ურთიერთობა.

გია **თვალაბეიშვილი**